წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.



დგას ბუცები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს, თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია,
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც, უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!



სამსჯავროზე

## მე ვერ მოვერიე ამ ხალხს!

ახალი ელჩი

## ნუ დავკარგავთ ემიგრაციის გაღებადების შანსს!



„მამული" გილოცავთ 2009 წელს!

ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * იანვარი, 2009 N50 * გამოცემის მე-6 წელი * ასავალ-დასავალის



და მე ვიგონებ
ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი
გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა
ღამის მთევარი
თოვლში ნაბდითა...
დილით მისდევდა
სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა
ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

მამული

# აშშ - საქართველოს ქარტია
## სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ

**პრეამბულა**
**ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო:**

1. ვადასტურებთ ჩვენი, როგორც მეგობრების და სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობის მნიშვნელობას, განზრახული გვაქვს გავაღრმავოთ პარტნიორობა ორი ერის საკვანძო სფეროში და გავაფართოვოთ თანამშრომლობა ორმხრივი პრიორიტეტების ფართო სპექტრში.

2. ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი დემოკრატიები თანამშრომლობის ფუძემდებელი საერთო ღირებულებებისა და საერთო ინტერესების, მათ შორის დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების გაფართოების, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების, მათ შორის რელიგიური თავისუფლების და ეროვნული უმცირესობების უფლებების პატივისცემის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების მხარდაჭერის და ევროპაში ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების.

3. ხაზს ვუსვამთ ორმხრივი ურთიერთობის გაფართოებას ეკონომიკის, ენერგეტიკის, დემოკრატიის, მენეჯმენტის, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროში.

**ნაწილი I:**
**პარტნიორობის პრინციპები**

წინამდებარე ქარტია ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებსა და შეხედულებებს:

1. ერთმანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერა წარმოადგენს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის საფუძველს.

2. ჩვენი მეგობრობა ეფუძნება საერთო გაგებას და ერთობლივ რწმენას, რომ დემოკრატია წარმოადგენს პოლიტიკური ლეგიტიმურობის და სტაბილურობის მთავარ წყაროს.

3. დემოკრატიათა შორის თანამშრომლობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებითი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირებისათვის.

4. ძლიერი, დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული საქართველო, რომელსაც შესწევს საკუთარი თავდაცვის ძალა, წვლილი შეიტანოს არა მარტო საქართველოს მოქალაქეების, არამედ ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმტკიცებაში.

5. საქართველოს მზარდ დემოკრატიას ძალუძს ასახოს მისიის თავისი შორსმიმავალი პოტენციალი, რათა მხარი დაუჭიროს კავკასიის რეგიონში ... ისევე როგორც მისი ფარგლებს გარეთ.

6. ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს ძალისხმევას, გააღრმავოს ევროატლანტიკური ინსტიტუტების, მათ შორის ნატოს, ევროკავშირის და სხვა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების, ეკონომიკური, უსაფრთხოების და სოციალური სფეროების ...

7. პარტნიორები აცხადებენ, რომ მათ საერთო მიზანს წარმოადგენს საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროპულ და ტრანსატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტებში, საქართველოს მიერ აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების საფუძველზე.

**ნაწილი II:**
**თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში**

ორივე ქვეყნისათვის საერთო ინტერესს წარმოადგენს ძლიერი, დამოუკიდებელი, სუვერენული, ერთიანი და დემოკრატიული საქართველო. ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ერაყში კოალიციის ძალისხმევაში. ამით საქართველომ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ აქვს პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო უსაფრთხოებაში. საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავება წარმოადგენს საერთო პრიორიტეტს და ჩვენ ვგეგმავთ უსაფრთხოების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის პროგრამის წამოწყებას, რომლის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება და ნატოს წევრობისათვის მომზადება. ამასთან, აღსანიშნავია 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე ალიანსის განაცხადი, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი.

1. ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო შეადგენენ და შეასრულებენ ორგანიზებულ გეგმას, რომლის მიზანია ნატოსა და საქართველოს შესაძლებლობების თავსებადობისა და კოორდინაციის ამაღლება, მათ შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის გაუმჯობესების გზით.

2. აღიარებენ რა, რომ მსოფლიოში მშვიდობასა და სტაბილურობას საფრთხეები ემუქრება, ითვალისწინებენ რა საქართველოსა და რუსეთს შორის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულებას, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო გეგმავენ გააფართოვონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამების ფარგლები, ამ საფრთხეების აღმოფხვრისა და მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ხელის შეწყობის მიზნით. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა და პარტნიორობა სასარგებლოა როგორც ორივე სახელმწიფოსთვის, ისე რეგიონისთვის.

3. აცნობიერებენ რა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხეს, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო გეგმავენ ... მასობრივი განადგურების იარაღის და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების და მასალების უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ... საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერების გზით.

4. თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების შესახებ ... ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს საქართველოს ... შეიარაღებული ძალების ... საერთაშორისო სტანდარტებთან ... თავდაცვის ... გზით.

**ნაწილი III:**
**ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა**

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო გეგმავენ გააფართოვონ თანამშრომლობა ... ეკონომიკური ზრდისა და ... მიზნით ...

1. ეძიებენ რა ეკონომიკური ზრდის ... ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ...

2. ამერიკის შეერთებული შტატები ... საქართველოს ... ინვესტიციების ...

3. ვაღიარებთ რა ... ენერგეტიკული უსაფრთხოების ... ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბუნებრივი აირის მილსადენები, რათა შეიქმნას ახალი სამხრეთული დერეფანი, რომელიც დაეხმარება საქართველოს და დანარჩენ ევროპას აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან იმპორტის უზრუნველყოფით მოახდინონ ბუნებრივი აირის მომარაგების დივერსიფიკაცია.

**ნაწილი IV:**
**დემოკრატიის გაძლიერება**

აღიარებენ რა დღეისათვის საქართველოს მნიშვნელოვან მიღწევებს, ჩვენი ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, რათა ერთობლივად ვიმუშაოთ მედიის თავისუფლების, პარლამენტის, სასამართლო რეფორმის, სამართლის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებისათვის. ჩვენ ერთხელ კიდევ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას დემოკრატიის, შემწყნარებლობის და ყველა თემის მიმართ პატივისცემის საერთო ღირებულებებისადმი და განზრახული გვაქვს ვითანამშრომლოთ შემდეგ საკითხებში:

1. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო მზად ვართ ვითანამშრომლოთ, რათა ხელი შევუწყოთ დამოუკიდებელ მედიას, გამოხატვის თავისუფლებას და ობიექტური ახალი ამბებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის ჟურნალისტებისა და მედიისათვის დახმარების გაწევის გზით.

2. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო მზად ვართ ვითანამშრომლოთ სამართლის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ჩათვლით. ამ მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს დახმარება გაუწიოს ამ პროცესს, მათ შორის მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების და პოლიციის ოფიცრების ტრენინგის ჩათვლით. სამართალდამცავი და სასამართლო შტოს გაფართოებული ურთიერთობების მეშვეობით, ჩვენ ვგეგმავთ ჯეროვანი ძალისხმევა მივმართოთ ისეთი საერთო ტრანსნაციონალური დანაშაულის საფრთხეების წინააღმდეგ, როგორიცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ადამიანებით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ფულის გათეთრება და კომპიუტერული დანაშაული.

3. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ვგეგმავთ ვითანამშრომლოთ, რათა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო პროცესის გამჭირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის, მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეებისა და მედიის ჩართვის გაფართოების გზით, ხელი შევუწყოთ კარგი მმართველობის გაუმჯობესებას.

4. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო პირობას ვდებთ, ვითანამშრომლოთ საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის ზრდისათვის, მათ შორის წავახალისოთ პოლიტიკური პარტიების განვითარება, ანალიტიკური ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი მონაწილეობით სრულვყოთ კანონმდებლობა და გავატაროთ რეფორმები უფრო კონკურენტული საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

5. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ვგეგმავთ ვითანამშრომლოთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობის გასაძლიერებლად, რათა მოხდეს საჯარო პოლიტიკის შემუშავება და ანალიზი, მოქალაქეების ინტერესების მხარდაჭერა, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და უზრუნველვყოთ საჯარო მოხელეებზე ზედამხედველობა.

**ნაწილი V:**
**ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული გაცვლის გაფართოება**

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო გამოხატავენ სურვილს, მოხდეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლის პროგრამების გაფართოება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დემოკრატიისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და გაზრდის ურთიერთგაგებას.

1. აღიარებენ რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავების მნიშვნელობას, ორივე მხარეს განზრახული აქვს შემდგომში ხელი შეუწყონ კულტურულ და სოციალურ გაცვლას და საქმიანობას ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა ფულბრაიტის პროგრამა, მომავალი ლიდერების გაცვლის პროგრამა (FLEX), სტუდენტური გაცვლა (UGRAD), საკანონმდებლო განათლება და პრაქტიკა (LEAP), საერთაშორისო ვიზიტორი ლიდერების პროგრამა და ინგლისური ენის სწავლებისა და სწავლის პროგრამა.

2. ხაზს ვუსვამთ რა ჩვენი ქვეყნების მომავლისათვის სიახლეებისა და დინამიზმის აუცილებლობას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს განზრახული გვაქვს უზრუნველვყოთ გაძლიერებული თანამშრომლობა უმაღლესი განათლების, ბიზნესისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში. შეერთებული შტატები გეგმავს გაამარტივოს შეერთებული შტატების ვიზის მოთხოვნის პროცესი ამერიკის კანონმდებლობის და პროცედურების შესაბამისად, ისე, რომ კულტურის, განათლების, ბიზნესის და სამეცნიერო საქმიანობაში კვალიფიციურ პირებს მიეცეთ მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს განზრახული აქვთ საქართველოს ომის შემდგომ გარემოში აღადგინონ დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მედია და ხელი შეუწყონ უწყვეტ კონტაქტებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და დანარჩენი საქართველოს მცხოვრებლებს შორის.



# ჩვენი მილოცვა

**და მადლობა ქართულ პრესაში ობიექტურობის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და სიმამაცის დამკვიდრებისათვის**

**ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა და სასიამოვნოა, რომ „ოქროს ფრთის“ წლევანდელ ლაურეატებს შორის არის ჩვენი პარტნიორი გაზეთის „ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი, პოეტი ლაშა ნადარეიშვილი, რომელიც ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა „ქართულ პრესაში ობიექტურობის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და სიმამაცის დამკვიდრებისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ დააჯილდოვა.**

- ეს მხოლოდ ჩემი ჯილდო კი არ არის, ეს ჯილდოა „ასავალ-დასავალის“ მთელი კოლექტივის და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მრავალრიცხოვანი, ერთგული მკითხველის კუთვნილია! - აღნიშნავს ლაშა ნადარეიშვილი.

ლაშა ნადარეიშვილისათვის მინიჭებული „ოქროს ფრთა“ **საშობლოდან გადახვეწილი, ემიგრაციაში მყოფი ათასობით ქართველისათვის მიძღვნილი საჩუქარია**, იმ ქართველების საჩუქარი, რომლებიც ამ მართალი გაზეთის ღვაწლს ჩვენი გაზეთის, თქვენი „მამულის“, ფურცლებზე ეცნობიან და მარადიულ საშურო მეგობრობის მადლით.

„ასავალ-დასავალის“ რედაქტორს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილს „მამულიდან“ სტეფლოდორნი საუბარში აცხადებს, რომ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის მიერ მოძღვნილ ამ საჩუქარს ყველა საშშობლოდან გადახვეწილ ქართველ მკითხველს გიძღვნით, დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ და გისურვებთ, ოქროს ფრთები გამოისხას ჩვენს საერთო ოცნებას - გაძლიერებულ, გაბრწყინებულ ძლიერ საქართველოში დაბრუნებას!

# ასავალ დასავალი

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი ყოველწლიურად „ოქროს ფრთით“ აჯილდოებს თავის საქმეში წარმატებულ და საზოგადოებისათვის პატივსაცემ ადამიანებს. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა.**



# ნუ გაუშვებთ ქართველი ემიგრაციის გალეგალების ამ შანსს ხელიდან!

## ახალი ელჩი



საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული არაერთი საერთაშორისო დონის სახელშეკრულებო აქტის, ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკულად გადადგმული არაერთი ნაბიჯის, ამ სახელმწიფოთა მეთაურების, პოლიტიკური ელიტის, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მიერ გაკეთებული მხარდამჭერი განცხადებებისა და საქმიანი ვიზიტების საფუძველზე, ეს ორი დემოკრატიული მენტალიტეტის მატარებელი ქვეყანა თითქმის ორი ათეული წლის ურთიერთობის შედეგად სტრატეგიულ პარტნიორად ჩამოყალიბდა.

მოგილოცავთ!

საერთოც ბევრი გვაქვს და განმასხვავებელიც...

ჩვენც ქართველი ემიგრანტები, ამ პათოსს სიხარულით ვუერთდებით და ჩვენი წვლილი შეგვაქვს ამ ურთიერთობათა გაღრმავებაში. ამერიკელებიდანაც დამოკიდებულება პოზიტიურია ჩვენს მიმართ. ბევრი რამ გაკეთდა ქართული დიასპორის მიერ იმისათვის, რომ ამ უცხო ქვეყანაში ქართველებმა უცხოდ არ ვიგრძნოთ თავი.

დიახაც, დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს ქართული დიასპორა:

- უკვე მეხუთე წელია გამოიცემა ქართული პერიოდული გამოცემა, გაზეთი „მამული“, სადაც დალოცვილი ქართული ანბანით არის გაწყობილი მისი ყოველი გვერდი, აღარაფერს ვამბობ ძარღვიან ქართულ სიტყვაზე;

- ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური დასი, სადაც გაიგონებ მადლიან ქართულ სიტყვას, და დაინახავ ქართულ ტრადიციებზე მდგარ ქართულ სახიობას;

- ფუნქციონირებს ქართული საკვირაო სკოლები, მათ ბაზაზე კი იდგმება ბავშვთა შესანიშნავი სპექტაკლები (მათი ბოლო სპექტაკლის „ჰელადოსის“ პრემიერა გუშინ გაიმართა ნიუ იორკში);

- ამერიკის კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობით უკვე მეათე წელია შტატებში წარმატებით მოღვაწეობს აქ დაარსებული, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მოცეკვავე წეროები“, საქართველოზე, მის კულტურაზე უზომოდ შეყვარებული ამერიკელი კაცის, ვიქტორ სირელსონის თავკაცობით, რომლის ისტორიაც უკვე ასამდე სხვადასხვა შტატებში გამართულ კონცერტს ითვლის;

- არსებობს ქართული ასოციაცია „თვისტომი“, რომელიც ყოველი გაჭირვებულის მეოხია ამერიკაში, მათ სამედიცინო დახმარებას და დიაგნოსტიკას უზრუნველყოფს მიზერულ ფასებში, ხშირ შემთხვევებში უსასყიდლოდაც;

- და რაც მთავარია, დიასპორის ბედნიერების ნაწილია, რომ საქართველოს საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევით ნიუ იორკში ლოცულობს ქართული, წმიდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია, დეკანოზ ალექსანდრე თანდილაშვილის შეწევნით, შენობაში შესულს ქართული, ტკბილი გალობა შემოგებება და გრძნობ, რომ მარტო არა ხარ.

არცერთ ამ წამოწყებას ამერიკის ხელისუფლება ალმაცერად არ შეხვედრია, იგი გვაძლევდა სტიმულს იმისას, რომ მეტი და მეტი ქართული ტრადიცია დაგვემკვიდრებინა ამერიკის მიწაზე.

ჩვენშიც ბევრი რამ ჩამოყალიბდა და დაფუძნდა ამერიკული, ამას ყველაზე უკეთ შინ, საქართველოში გრძნობენ. არა! ჩვენ ერთმანეთს არ ვამადლით მეგობრულ დამოკიდებულებას, არ ვამადლით სიტყვის მიგებებას, მაგრამ ის გვინდა, რომ ეს უპირველესად საქართველოს საელჩომ დაინახოს კარგად, ახლა მაინც...

ახლა მაინც, როცა შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში ახალი ელჩი გვყავს:

- ბატონი ბათუ ქუთელია!

ადრე თუ ბატონობით მივმართავდით, ახლა უკვე მისი აღმატებულება საქართველოს ელჩია, რომელსაც დიდი იმედებით ხვდება ქართული დიასპორა, და იმედოვნებს, რომ ახალი ელჩი არ დაგვამადლის ქართული სიტყვის მიგებებას და არ გამოიყენებს თავის თანამემამულეებთან დიპლომატიური ტრიუკების „მდუმარების ენას“, როგორც ეს ტრადიციულად ჩვეოდათ მის ყველა წინამორბედს, უკლებლივ ყველას.

ჩვენ გადამთიელები არა ვართ, ასე რომ გვეპყრობოდა (იმედია წარსულში) მშობლიური ქვეყნის საელჩო. მრავალგზის გადავდგით ბიჯი მათთან საურთიერთობოდ, ჩვენი გაზეთის ყველა ნომერს ვაწვდიდით მათ, მაგრამ პასუხად დელიკატურად ვღებულობდით ინდიფერენტულ დამოკიდებულებას, ეს საწყენიცაა იმ ფონზე, როდესაც თვით ამერიკის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ჩვენთან მეგობრობენ: ნიუ ჯერსის სენატორი ბატონი ფრანკ ლაუთენბერგი გაზეთ „მამულის“ რედაქტორის პატივსაცემად კაპიტოლიუმზე აღმართავს ამერიკის დროშას; ნიუ იორკის სენატორის წარდგინებით მსოფლიოს უმაღლესი, იმპერატორი ნაგებობის თავზე არჩევენ საქართველოს დროშის შუქ-ფერებს და ერთი ღამით უძღვნიან „მამულის“ ხუთი წლის იუბილეს.

ამ დროს საქართველოს საელჩოდან არ განხორციელებულა არცერთი სატელეფონო ზარი, წერილობით მილოცვაზე ოცნებას რომ თავი დავანებოთ, რედაქციის მისამართით. ის კი არადა, გაზეთის არსებობის მანძილზე საელჩოს არასოდეს მოუმართავს თხოვნით, რომ გაზეთში დაებეჭდათ საახალწლო, საშობაო, სააღდგომო თუ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მილოცვა დიასპორისადმი. საელჩოს შენობის სამ სართულზე მომუშავე არცერთი თანამშრომლის თავსა და გულში არ დაბადებულა იდეა, რომ მოემზადებინათ წერილის პროექტი პრეზიდენტისადმი, რითაც შეძლებდნენ ერთხელ მაინც გაემხნევებინათ საქართველოს საზღვრებს გარეთ დროებით მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები.

თუმცა, არ ვიქნები ობიექტური, თუ არ დავაკონკრეტებ, რომ ჩემი გაზეთის რედაქტორად მუშაობის მანძილზე ერთადერთხელ საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა ემიგრაციას, თუმცა ახალწლის მისალოცად კი არა, არც მეტი, არც ნაკლები მადლობის მოსახდელად, რომ „მეორად“ არჩევნებში მას დაუჭირეთ მხარი.

დამეთანხმებით, რამდენად საოცნებოა სატელეფონო დაკავშირება საქართველოს საელჩოსთან რიგითი მოქალაქეებისათვის, მაშინ როცა საელჩოს არცერთ თანამშრომელს თავის მოვალეობად არ ჩაუთვლია ყურადღება მიაქციოს ამერიკაში გამომავალი ქართული გაზეთის რედაქტორის ზარს, მოისმინოს დატოვებული შეტყობინება, და დააბრუნოს ზარი.

თავად წარმოიდგინეთ, არაპირადულ, საქვეყნო საკითხზე დატოვებულ შეტყობინებას არ ისმენენ და ესენი თქვენს საპასპორტო პრობლემაზე დაგიბრუნებენ ზარს? ან გიპასუხებენ?

მახსენდება ამ ერთი წლის წინ, პრეზიდენტ სააკაშვილის ვაშინგტონში ვოიაჟის დეტალები, როცა მასობრივად დარიგდა მოსაწვევები, ამერიკის სხვადასხვა შტატებიდან მოიწვიეს ქართველები, ხოლო მოსაწვევის გარეშე დატოვეს და არ ისურვეს გაზეთ „მამულის“ რედაქტორისა და ასოციაცია „თვისტომის“ პრეზიდენტის ნიკოლოზ ჩხეიძის მოწვევა, და ვერც დამატებით სიაში შეძლეს მათი დამატება!

ასეთი „იაღლიშები" არ უნდა მოსდიოდეს ჩვენს საელჩოს!

ჩვენი გაზეთი არ წარმოადგენს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ორგანოს, ან პოლიტიკურ ორგანოს, ჩვენთან ურთიერთობის გამო რომ პრობლემები შეექმნას საელჩოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ის სამსახურეობრივად ვალდებულია ჩვენთან კონტაქტზე გამოვიდეს, და ჩვენი სატკივარი მოისმინოს, რათა შემდეგ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასთან დააყენოს შესაბამისი საკითხები, სამომავლოდ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის უფრო შემჭიდროებას რომ ემსახურება.

სათქმელი და სატკივარი კი ბევრია, თუნდაც ეს, ქვემოთ რომ მოგითხრობთ:

საქართველოს ტერიტორია ახლა ჩვენი მეზობელი ქვეყნის მიერ ოკუპირებულია, რაც ორჯერ გაუსაძლისს ხდის ოჯახების გადასარჩენად ოკეანეს გადმოღმა გადმოხვეწილ საქართველოს იმ მოქალაქეების ყოფას, რომელთა ახლობლები ამჟამადაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ განადგურებული სახლ-კარის ფონზე.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ხელეწიფება ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ქართულ ემიგრაციას აქაური ყოფა და დაეხმაროს მათ ლეგალური სტატუსის მინიჭების საქმეში.

დიახ, უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ჰქონდა ჩვენს ქვეყანას შანსი, რომ მიერთებოდა TPS პროგრამას, როგორც ქვეყანა, სადაც საომარი მდგომარეობა მიმდინარეობს და აფხაზეთის ტერიტორიიდან გამოყრილ 300 ათასამდე ადამიანს საშუალება არ ეძლეგა საკუთარ ოჯახში დაბრუნების.

ეს პროგრამა გახლავთ „დროებითი განსაკუთრებული დაცვის სტატუსი“, რომლის საფუძველზეც ამერიკის ხელისუფლებამ გაანინა ლეგალური შესაძლებლობა დროებით განსაკუთრებული შეღავათების სტატუსის მინიჭების, დახმარების აშშ-ში მყოფ ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებს, რომელშიც ან რომლის ნაწილშიც საომარი მოქმედებების გამო შეუძლებელია მოსახლეობის უსაფრთხოდ დაბრუნება. ამ სტატუსს დღესდღეობით წარმატებით იყენებს ნიკარაგუას, სუდანის, სომალის, ბოსნიის, ჰერცეგონიის, ლიბერიის ქვეყნები.

ჩვენ კარგად გვესმის აშშ-ში ქართული დიასპორის პრობლემები, და ისიც ვიცით, თუ რა წვლილი შეაქვთ მათ საქართველოში მილიონობით დოლარის ფულადი გადმორიცხვების სახით ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში, ამიტომაც უპრიანი იქნებოდა სახელმწიფოს ხელიდან არ გაეშვა და გამოეყენებინა ეს შანსი, რაც უმალ ასახვას ჰპოვებდა ისევ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საქმეში.

ამ სტატუსის განსასაზღვრავად აშშ-ში საჭირო არ უნდა იყოს რაიმე რთული და რაც მთავარია, დროში გაწელილი იურიდიული პროცედურები. მხოლოდ საჭიროა ქვეყნის განაცხადი, თუმცა „მამულის“ რედაქცია და ასოციაცია „თვისტომი“ საკონფერენციო ზარის მეშვეობით დაუკავშირდა ამერიკის უსაფრთხოების დეპარტამენტს, სადაც არ დაადასტურეს საქართველოს მხრიდან ასეთი მიმართვის მიღება.

ბატონებო, ფრიად სამწუხაროა, რომ ამ შანსსაც ხელიდან ვუშვებთ!

არადა, ამ სტატუსის საქართველოსათვის მინიჭების შემთხვევაში აქ მყოფ ათობით ათას საქართველოს მოქალაქეს მიეცემა რეალური საშუალება უმარტივესად მოაგვაროს წლების განმავლობაში აქ მოუგვარებელი და ძალზე ძვირი გალეგალების საკითხი სულ რაღაც 50 დოლარად.

ის კი არადა, დიასპორას არ დასჭირდება ძვირადღირებული ადვოკატების ქირაობა და მარტივად, ფორმა I-821 შევსებით შეძლებს სტატუსის მიღებას და ნორმალურად მუშაობას, და გალეგალებისათვის საჭირო ის 20 თუ 25 ათასებიც ისევ ჩვენი ქვეყნის ეკონობრუნვაში მოხვდება.

ასე რომ, ბატონო ელჩო, ამ საკითხის გადაწყვეტა პოლიტიკური ნების პრეროგატივაა, მაგრამ ჩვენი დიასპორის სატკივარი და ყოფა ცილდება ყოველგვარ პოლიტიკას და ეს გვინდოდა გვეთქვა!

ახლა ჯერი თქვენზეა!

„მამული“ მზადაა თქვენს გვერდით დასადგომად!

**მანუჩარ კაჭახიძე**

მხარდაჭერისათვის:
**წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის მოძღვარს**
**მამა ალექსანდრე თანდილაშვილს;**

გვერდში დგომისათვის:
**ბატონ თემურ ცაგურიას;**

შემწეობისათვის:
**კომპანია „ნატახტარის“ წარმომადგენელს ნიუ იორკში ბატონ ნიკო ფანცულაიას;**

ვიდეო -კლიპის მომზადებისათვის:
**რიჩარდ დავითაშვილს და სტუდია STVR**





## ასე მზადდებოდა ჩვენი გაზეთის იუბილე

# მამული გიხდით მადლობას



**ამონარიდი რედაქტორის გამოსვლიდან:**

მიირთვით სულო და გულო, რაც გნებავთ, მენიუ პირველ გვერდზე იბეჭდება: -

— ძარღვიანი ქართული ლექსი მოგენატრათ?!

- აქვე, სულ თავში!

- ცხელ-ცხელი ამბები გნებავთ სამშობლოდან მოსული?!

- მოწინავე სტატიებშია!

გაზეთის სტუმრებიც თანმიმდევრულად მისდევენ საზოგადოებრივ მიმოხილვებს.

ჩვენში სუფრაზე თეფშების დახვავება იციან, ერთი მეორეზე აწყობენ, აქაოდა, ყველაფერი დაეტიოს და სტუმარი უპატივცემულო არ დამრჩესო.

ასე ვარ მეც, იმერელი ვარ, და მიტომ... ვახვავებ სტრიქონებს ერთმანეთზე, და ერთმანეთში ვხლართავ, როგორც რძიან სულგუნს ჩაფლავენ ცხელ ღომში.

რაც არ მეტევა, სტრიქონებს შორის ქვეტექსტებით ვაწებებ, ერთ ნომერში მეტი ვთქვა მინდა, ვიდრე ამის საშუალებას გაზეთის ფართობი მაძლევს.

ვტრაბახობ ახლა მე, იმერელი ვარ, და მიტომ. ამითაც თავმომწონე ქართველები ერთმანეთს არ ვგავართ, საკუთარი ღირსება რომ განსაკუთრებულად მოგვაქვს გარეთ და მაღლა ვწევთ პიროვნულ თავმოყვარეობას!



ღონისძიებაში მონაწილეობისათვის:
**„მოცეკვავე წეროებთან“ არსებულ ბავშვთა ცეკვის ანსამბლს „ფესვები“**
**(ქორეოგრაფები შორენა ბარბაქაძე და გია მიქელაძე );**

**ნიუ იორკის ქართულ თეატრს,**
**ხელმძღვანელებს ლია და ვიქტორ სირელსონებს;**
**მსახიობებს: ხათუნა იოსელიანს, ცუცა კაპანაძეს, ხატია პაიჭაძეს, ნატო გოდერძიშვილს, რამაზ ზურაბიშვილს, მაკა კოპალეიშვილს, ირმა გაჩეჩილაძეს;**

**მომღერლებს: დათო ამბროსიძეს, ვანო გოდერძიშვილს, ვასო კოლხიდაშვილს, თემურ ივანეიშვილს,**





ნანა კაჭილოტის ფოტორეპორტაჟი





ორგანიზებაში დახმარებისათვის:
**იამზე გოგუაძეს, ნინო ხარაბაძეს, თინიკო ყენიას, ნანა და ზეინაბ ნაკაშიძეებს, მარინა გელაშვილს, მარინა ორჯონიკიძეს, ლალი ამბროსიძეს, ხათუნა მოდებაძეს, ნანა ანთიძეს, ლუიზა ცაავას, აზა ბრეგვაძეს, მაია ბარბაქაძეს, მანანა ჩიტაურს, ნუკრი კოჭლამაზაშვილს, დალი ხოფერიას, მანანა ჯიქიას, მზია მშვენიერაძეს, ეკა მაისურაძეს, ხათუნა ბალათურიას, თენგიზ ტიბუას, ნოდარ ვაშაკიძეს და ზურაბ ჭუმბურიძეს;**

საინფორმაციო მხარდაჭერისათვის:
**გოგა გოგილაშვილს და WWW.GOGAGGG.COM;**
**ლევან დვალიშვილს და WWW.DESPANI.COM;**
**გიორგი გაგიევს და WWW.BABAJANA.COM;**
**ნიკა გელაშვილს და WWW.GELANYUSA.COM;**



## ამ სიას ვბეჭდავთ მადლიერებითა და ისტორიისათვის შემონახვის სურვილით:

ნანა ბერაძე - 100$
ნაზი ჩხიკვაძე - 100$
მანანა ჯიქია - 200$
ნანა ნაკაშიძე - 200$
გია ხუციბერიძე - 70$
მაია მაკარიძე - 25$
უცნობი - 20$
ინეზა ქვანია - 5$
უცნობი - 10$
დათო აბაშიძე - 100$
უცნობი - 5$
ნაირა ლორია - 100$
იამზე გოგუაძე - 40$
მაია ბარბაქაძე - 50$
ნინო ხარაბაძე - 200$
კლარა ცხონდია -100$
ირინა აბულაძე - 10$
ნანა ჯღერია - 50$
ფირუზა ქაჯაია - 100$
დარეჯან ჯიქია - 50$
ხათუნა გ. - 10$
დალი ხოფერია - 300$
ელნირი კოხრეიძე - 50$
ზაირა სარაჯიშვილი - 100$
ლუდა თაბაგარი - 100$
მარინა გიორგაძე - 50$
რუსუდან სანაძე - 100$
ლეილა ტაბატაძე - 140$
იზოლდა შარიქაძე - 30$
რუსუდან ჩოგოვაძე - 300$
იზოლდა ბურდული - 100$
ქეთევან მანდარია - 100$
მარინა მემლიქიძე - 40$
რუსუდან ჩუბინიძე - 30$
თამაზ ხარაბაძის ოჯახი - 500$
ხათუნა, ზურა მოდებაძეები - 50$
ზურა, ჯაბა ჭუმბურიძეები - 50$
გია, ლილი შიოლაშვილები - 200$
ჟუჟუნა ნარეკლიშვილი - 50$
ნელი ქართველიშვილი - 50$
მარინა გელაშვილი - 50$
ნარგიზა ბიბიჩაძე - 30$
ნათელა მაზმიაშვილი - 20$
ნატო მამსირაშვილი - 30$






**ინგა გრიგოლიამ „საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და „მაესტროს" შორის არჩევანი გააკეთა და 11 იანვრიდან ყოველ კვირა დღეს, უკვე „პირველ არხზე" გაუძღვება საავტორო გადაცემას... როგორი ტიპის გადაცემა იქნება და როგორი იქნება თავად გადაცემის ავტორი? რა კითხვები აქვს დღეს მას ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლებთან, თავად ინგა გრიგოლია გვესაუბრება:**

# 11 იანვარს, კვირას, 8 საათზე ეთერშია ინგა გრიგოლია




- ოთხი დეკემბრიდან სწორედ **„პირველი არხი"** დაერქმევა „საზოგადოებრივ მაუწყებელს" და როგორც იქნა, გადაწყდა ოთხთვიანი სრული პაუზის, გაურკვევლობისა და დაბრკოლების შემდეგ „პირველ არხზე" ჩემი დაბრუნების საკითხი. **მექნება კვირის შემაჯამებელი თოქ-შოუ, ერთი-ერთზე საუბრის ფორმატით, ოღონდ არა ერთი სტუმრით და მე გაძლევთ გარანტიას, რომ იქნება ძალიან მწვავე! დაახლოებით ისეთი, როგორიც იყო ყოველთვის ინგა გრიგოლია!** დებატები ჩემთან აღარ იქნება. რამდენიმე პროექტი მქონდა წარდგენილი და მათ შორის, ესეც.... ლევან ყუბანეიშვილის მხრიდან, რამდენიმე დღის წინ გაიჟღერა გადაწყვეტილებამ, რომ არხისთვის ეს პროექტი იყო საინტერესო... სხვათაშორის, „პრაიმ-ტაიმის" ტიპის გადაცემის პროექტიც მქონდა, მაგრამ... **ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ეთერში გავსულიყავი პოლიტიკური გადაცემით! დახურული გადაცემის ფონზე მე არ დავიწყებდი არაპოლიტიკური გადაცემის მომზადებაზე მუშაობას.**

**ყოველ კვირას, საღამოს რვა საათზე, გავა ჩემი გადაცემა ეთერში.** უკვე სტუდიის დიზაინზეც მუშაობენ და იმის მიუხედავად, რომ ერთი-ერთზე იქნება საუბრები და ხელისუფლებასთანაც და ოპოზიციასთანაც მე მომიწევს ოპონენტობა, **გაძლევთ პირობას, რომ ეს იქნება ძალიან მწვავე ინტერვიუები! შეიძლება იმაზე მწვავეც, ვიდრე აქამდე ყოფილა! გულწრფელად გეუბნებით, დაუსმელი არ დარჩება არცერთი კითხვა, რომელიც დასასმელი იქნება ნებისმიერი პოლიტიკოსისათვის!** დებატები იქნება სამშაბათს და ხუთშაბათს, რომელსაც **ნათია სორდია** წაიყვანს, **ეკა კვესიტაძე** ამზადებს პოლიტიკურ თოქ-შოუს, რომელიც ოთხშაბათობით გავა ეთერში... გაგიკვირდებათ და, მიუხედავად ასეთი ყბადაღებული კრიტიკისა „პირველი არხის" მიმართ, ძალიან სერიოზული გადაცემები და საერთო ბადე იქნება... **თითქმის ყველა ჩემი მეგობარი „პირველ არხზე" იქნება წარმოდგენილი ოთხი დეკემბრიდან: ეკა ხოფერია, სოფო მოსიძე, დაჩი გრძელიშვილი, ნინო ქაჯაია, გიორგი კალანდია, სალომე დადუნაშვილი, ნინო ზაუტაშვილი...** შესაბამისად, როდესაც იყო არჩევანი „პირველ არხსა" და „მაესტროს" შორის, მე არჩევანი „პირველი არხის" სასარგებლოდ გავაკეთე. **სხვათაშორის, ლევანმა მომცა პირობა, რომ იგი არასდროს ჩაერევა ჩემი გადაცემის არც დაგეგმვაში და არც მომზადებაში. „არც კი გკითხავ, სტუმარი ვინ გეყოლებაო" - მეუბნებოდა... ძალიან ხმამაღალ ნათქვამად გამომივა, მაგრამ ჩემი გადაცემის დაგეგმვაში ვერავინ ერევა!** ამის გარანტიას გაძლევთ და ეს შეგიძლიათ გადაამოწმოთ **გიორგი თარგამაძესთან, ზაზა შენგელიასთან, ბიძინა ბარათაშვილთან** და იგივე **ლევან ყუბანეიშვილთან!** ამასთან, **ლევანმა მომცა პირობა, რომ კვირაში კიდევ ერთ დღეს დამიმატებს ამ გადაცემისთვის...** პირველი გადაცემა გავა **კვირას, 11 იანვარს!** ეს იქნება გადაცემა კვირის მთავარი თემით!

**- იანვარში, როცა შენი გადაცემა გავა ეთერში, მივიწყებული მაინც ვერ იქნება ის პრობლემები და ტრაგედიები, რომლებიც ბოლო თვეების განმავლობაში დაატყდა ქვეყანას...**

- პირიქით... **ვფიქრობ, რომ იანვარი იქნება უკვე ძალიან ცხელი ეტაპის დასაწყისი ქართულ პოლიტიკაში!** რასაკვირველია, დავიწყებული კი არ იქნება, პირიქით, ვფიქრობ, რომ მომავალი პოლიტიკური პროცესები აგებული იქნება ზაფხულის მოვლენებზე!

**- შენს გადაცემებში მოწვეული თუ გყოლია შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი?**

- კი, **„პირველებში" მყავდა მოწვეული და, სხვათაშორის, მაშინ მის რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებით ჭორები დადიოდა... მე მას ვკითხე, „ხართ თუ არა მართლმადიდებელი"-მეთქი... მან მაშინ უხერხულად ჩათვალა ამ თემაზე საუბარი...**

**- ანუ, არც დაადასტურა და არ უარყო?**

- **კი... მან არ ისურვა თავის მრწამსზე საუბარი და, სხვათაშორის, მეც დავეთანხმე მას ამაში... თუმცა, კითხვა, რომელიც არსებობდა, თუნდაც არაკორექტული, მე უნდა დამესვა და დავსვი!**

**- არ გეშინია, რომ ვინმე ისევ ბოიკოტის რეჟიმში გააგრძელებს შენთან ურთიერთობას?**

- ბოიკოტი ვეღარ ერქმევა ამას... ძალიან დიპლომატიურად შენიღბავენ არმოსვლის მიზეზებს, დამერწმუნე... თუმცა, ხელისუფლებამ საკუთარ ტყავზე იწვნია ის, რაც ბოიკოტის რეჟიმით დაიწყო და შარშან, ნოემბრის აქციებით დასრულდა... სხვათაშორის, ხელისუფლებას, საერთაშორისო ზეწოლის შედეგად მოუწია ძალიან ბევრი რამის დათმობა მედიასთან დაკავშირებით... ერთსაც გეტყვით: **გარანტია რომ არ მქონდეს, რომ მე ვიქნები თავისუფალი, რასაკვირველია, მე ამ გადაცემის მომზადებას არ დავიწყებდი!** სხვათაშორის, იმის მიუხედავად, რომ ტელევიზიის წინ გამართულ მიტინგებზე ფორმაში არა, მაგრამ მოთხოვნებს ვეთანხმებოდი, მე ლევანთან მეგობრული ურთიერთობა არ გამიწყვეტია! ღმერთმა დამიფაროს, პოლიტიკური პოზიციების გამო ადამიანები შევარჩიო სამეგობროდ... თუმცა, მასთან ჩემს პროექტებზე არ ვსაუბრობდი.

**- ინგა, არ გთხოვ პოლიტიკური განცხადების გაკეთებას, მაგრამ შენი პასუხი აინტერესებს საზოგადოებას კითხვაზე, რომელიც დღეს ყველაზე ყბადაღებულ კითხვად იქცა ჩვენში... ომი მოვიგეთ თუ წავაგეთ?**

**- ომი წავაგეთ!!! რას ჰქვია, მოვიგეთ? უფრო მეტიც: ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიები!** მაგალითისთვის მარტო კოდორიც საკმარისია... **როცა შენ კარგავ ტერიტორიებს, იმ ომს მოგებული ნამდვილად არ ჰქვია! მე მივეკუთვნები ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს ომი ჩვენ წავაგეთ!** ხოლო, რა მოვიგეთ ამ ომისგან, მე არ ვიცი! მე გადაცემები მაქვს მომზადებული, თუ როგორი ზარ-ზეიმით გადაიტანეს კოდორში აფხაზეთის დევნილი მთავრობის უწყებები და მახსოვს, სააკაშვილი იქიდან როგორ მართავდა ბრიფინგებს... ეს ყველაფერი მახსოვს და **დღეს, როდესაც კოდორში შენი ქვეყნის დროშა არ ფრიალებს, როგორ უნდა თქვა, რომ ომი მოიგე?**

ესაუბრა

**გიორგი მამაცაშვილი**



**ვესაუბრებით საზოგადოების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, უზადო იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ მწერალს, ბატონ ოტია იოსელიანს:**

# მითხარით, ბატონებო, თუ რამე კარგზე თვალი მიგიწვდებათ და მეც გამახარეთ!

- რაც ჩვენ უბედურება თავს დაგვატყდა, როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ომი მოვიგეთ! მაშინ წაგება რას ჰქვია, ეგებ გაგვიმარტონ?! შარშან ახალგორში მიმიწვიეს, ვესტუმრე კიდეც, ახლა კი იქ ვინ შეგიშვებს?! 14 სოფელს ითხოვენ ზუგდიდიდან, ენგურსგაღმა რაც იყო, წაიღეს! ამას ჰქვია მოგება?! დალის ხეობას ჩაფრენილები იყვნენ კბილებით და ამათი წყალობით, კისრისტეხით გამოყარეს მოსახლეობა იქიდან. 61 ბავშვი ჩემთან მოვაყვანინე სახლში, რათა შეგვემსუბუქებინა ის უბედურება, რასაც დევნილები განიცდიან. აქეთ გვადანაშაულებენ: **თურმე, ქვეყანა აშენებულა და ჩვენ ვერ გაგვიგია?! როგორ, გაკეთდა, დამშვენდა, ბრძოლა მოვიგეთ და მე ვერ დავინახე?!** შეურაცხყოფას რატომ მაყენებ?! ხალხის ასეთი აბუჩად აგდება დაუშვებელია. გზად თბილისისკენ მომავალმა დავინახე პატარ-პატარა შენობები, რომელთაც დევნილებისთვის აშენებენ. გამოდის, ის კაცი შინ ვეღარ დაბრუნდება... ჩვენ ახლაც დაპყრობილები ვართ, სადაც მტრის ჯარისკაცის ჩექმაა, საზღვარიც იქაა. **წინაპარმა დაგვიბარა:** დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო, **მე კი მივამატე:** ბაბა დაუძახე, მაგრამ მამად არ გაიხადო-მეთქი. შენ კი ბუნაგში შეუვარდი?! გადაირია ნადირი. ოქროსავით ბიჭები დაიხოცნენ და მკვდარი ვერ დავუბრუნეთ პატრონს. შვილის საფლავის დატირების საშუალებაც მოვუსპეთ ზოგიერთს. უცნობ ჯარისკაცებად დამარხეს ლომივით ბიჭები, მერე კი უგზოუკვლოდ დაკარგულებად გამოაცხადეს, მშობლებს ცოცხალი ეგონებათ და იმედით იცხოვრებენო. **ომის მონაწილემ მიამბო: ვაზიანში ავტომატი და ოთხი ცარიელი მჭიდი მომცეს, რომ ჩახვალ, დანარჩენს იქ მოგცემენო. არც იქ მიუციათ.** საშინელი უთავბოლობა იყო! ომის საშიშროება დღესაც დიდია, გაიხსენეთ, რა თქვეს რუსებმა: **ქართველები ხოცავდნენ ოსებს და ჩვენ მშვიდობის დასამყარებლად ჩავერიეთ.** რაიმე უბედურება არ ავტეხოთ, რომ აქეთაც მოინდომოს ამისთანა მშვიდობა და თბილისშიც დაგვამშვიდობიანოს.

**- მომავალი გველუპებაო, ბატონო ოტია, ბრძანეთ...**

- ბარსელონაში ვიყავი 5 თუ 6 თვის წინ. მოწვევა გამიკეთეს. ატირებული ჩამოვედი. ოცი ათასი ქართველი მარტო ერთ ქალაქში ბარსელონაშია ჩაწერილი და ჩაუწერლები?! ხატი წავასვენეთ აქედან. ბარსელონაში დარბაზი უქირავებიათ ჩვენებს, სადაც ხატები აქვთ დასვენებული და ლოცულობენ. საუბრისას შევაპარე, ეს ეკლესია კი არა, დარბაზია, საქართველოში კი უამრავი სალოცავია და იქნებ წამობრძანებულიყავით-მეთქი... გამახარეს: ვაშენებთ, ბატონო ოტია, მართლმადიდებლურ ეკლესიასო. ეს ხალხი იქიდან წამომსვლელია?! სვანეთშია ასეთი სოფელი - ცანა. იქიდან მოედინება ცანისწყალი, ქვემოთ რომ ცხენისწყალს უწოდებენ. მხოლოდ ერთი კაცი ცხოვრობს სოფელ ცანაში - მინდია ჩარკვიანი, სოფლები კალა, იფარი, ფაქტობრივად, დაცლილია. დაცემულია შობადობა. ერთადერთი რაიონია საჩხერე, სადაც პლუს 11 ბავშვია. **ესეც იმ ღვთისნიერი კაცის წყალობით, რომელსაც მოდგნენ და ლანძღეს ულმერთოდ...** ამათი გათვლებით, რაც მეტი ბნელი იქნება, მით უფრო ადვილია მართვა, თუმცა, რა უნდა ვმართოთ, როცა შემოგველია ქვეყანა ხელში! ახლა, რაც 7 აგვისტომდე გვქონდა, ისიც სანატრელი გაგვიხდა და ვიხვეწებით, უკან დაიწიონ, მაგრამ რუსი გაჯიუტდა: ვიყავი იქით და დაგეყენებიო.

**- ბატონო ოტია, რაღაც უიმედო ჩანხართ...**

- წინ ვეღარაფერს ვხედავ და შიში მიპყრობს, დეპრესია მეწყება... **მითხარით, ბატონებო, თუ რამე კარგზე თვალი მიგიწვდებათ და მეც გამახარეთ.** გავრბივართ ჯანდაბაში და სადაც გავძღებით, სამშობლო იქ გვგონია. გაქრა ფინიკია, კართაგენი, შუმერები, ერთი ზურაბ ქაფიანიძე დაგვრჩა შუმერი. ერები გაქრნენ, მაგრამ კულტურა დარჩა. არიან ერები, რომელთაც კულტურა არა აქვთ და არც არავინ იცნობს. ჩვენ კულტურასა და ხელოვნებას ვსპობთ და მათხოვრებად ვიღუპებით. ბრძოლაში მაინც დავღუპუ-ლიყავით, რომ კაცობრიობას დავნანებოდით!

რა გადაარჩენს ქვეყანას, სადაც კაცი ნანათხოვრები ფულით 24 საათი ქეიფობს?! დღეს ვაჟკაცად იმას მოიხსენიებენ, ვინც ფუთ ღვინოს სვამს და ერთ ცხვარს აყოლებს აღმოსავლეთში, დასავლეთში კი ბურვაკს, რადგან გოჭი არ ჰყოფნის.

გიორგი ღვინიაშვილი მესტუმრა ამასწინათ. 2007 წლის ნოემბერში ეგ იყო თბილისის პროკურორი. 4 საათი ვილაპარაკეთ მაშინდელ ამბებზე, **მე ვუთხარი: იცით, რა ჩაიდინეთ? რას დაამსგავსეთ ჩემი საწყალი პოლიცია, რომელმაც ათასი უბედურება გამოიარა და ყოველთვის ხალხის გვერდით იდგა?!** პარლამენტში მიშას შევარდნისას, ისეთი კანონი მოქმედებდა, შეეძლოთ, ესროლათ, კობა იყო ნარჩემაშვილი მინისტრი, მაგრამ მათ ეს არ იკადრეს. თქვენ კი გაქცეულ კაცს ურტყით, ქალებს არ დაინდეთ! ასეთ საქციელს ბარსელონელი ქართველების შთამომავლებიც არ გაპატიებენ, თორემ ჩვენ აღარ გვყავს შთამომავლობა... **ღვინიაშვილმა მომისმინა და ბოლოს მკითხა: მაშ, რა ექნა მიშას, გადამდგარიყო?! ათასი კაცი როცა ყვირის, ათასი კაცი არის ხმა ღვთისა და ხმა ერისა - რასაც ითხოვს, უნდა აღსრულდეს!**

**- ბატონო ოტია, თქვენთან სტუმრობისას არ დაარიგეთ სააკაშვილი?**

- ეგ ადრე იყო. მაშინ მიშა შაშიაშვილს მოჰყვა ჩემთან. არადა, ჩემთან „მოყოლით" სტუმრობა არ შეიძლება. უნდა ვიცოდე, ვინ მოდის, თორემ ერთხელ შევარდნაძესაც არ ვუშვებდი ეზოში. მე მეგობრებს ყოველთვის მეტს ვთხოვ.

**- შემოუშვით შევარდნაძე?**

- შემოსაშვები არ იყო, მაგრამ ვაჟამ იქუხა ჩარგალიდან: **„დღეს სტუმარია ეგ შენი, გინდ ზღვა ემართოს სისხლისა"!** იქვე წავუკითხე ეს სიტყვები და ვუთხარი: ვაჟა გიშვებს-მეთქი. უფრო ადრე სააკაშვილი რომ გაიჯგიმა კართან, მოგეხსენებათ, სიგრძე კი აქვს (სიგრძე და სიმაღლე სხვადასხვა ცნებაა). მოვიხმე მიშა ჩემთან და ვკითხე: **სად მიგყავს ჩემი ხალხი?!** კულტურა, ხელოვნება, მეურნეობა თქვენ არ გინდათ, გამოდის, უკან გვაბრუნებ, გამოქვაბულში?! არაო, მიპასუხა მიშამ, წინა გამოქვაბულში მივდივართო! მერე ტელევიზიაში ვნახე, გადაცემის დაწყებამდე გრიმს მიკეთებდნენ, შემოვიდა სააკაშვილი, წაისვა სახეზე გრიმი და შევარდა. როცა გამოდიოდა, გავახსენე, ჩემთან სტუმრობისას რაც ვუთხარი. ხელები ასწია და მიპასუხა: ბატონო ოტია, ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც მითხარიო.

**- პირველ ინაუგურაციაზეც ხომ დალოცეთ, გელათში?**

- მომღერალთა გუნდთან ერთად ვიდექი. რეჟისორმა მთხოვა, მიშას ღვინო არ დაალევინო, დაღლილიაო. ეგ კიდევ გამოვარდა, ხალხის მასა გამოარღვია, გამოღლიტა ვიღაცას ხელიდან ჯამი და დაისხა ღვინო. რომ ვლოცავდი, მისმენდა, მაგრამ, მგონი, ვერ აცნობიერებდა ნათქვამს...

ერთი საშიში დაავადება გვჭირს! გამოთაყვანება. **წინა წლები სანატრელი გაგვიხდა. ყველაფრის მიუხედავად, თურმე, მიშასაც ჰყავს მომხრეები, ალბათ, ანგარებიანი.** ეს დამღუპველია. მე ყველა ღირსეული მინდა მყავდეს. ახლა რჩევა უნდა, დაკვალიანება. დღეს ჩემი ბრძოლა ეს ინტერვიუა, დახურეს ჟურნალები, წიგნი არ უნდათ, გამომცემლობა არა გვაქვს. ჩემს სამშობლოს შემოევლოს ყველაფერი, მაგრამ რუსები თუ დავკარგე, მე დავკარგე. იქ გამოდიოდა ჩემი წიგნები, იქ ითარგმნებოდა სხვადასხვა ენებზე, მაგრამ ჩემი ქვეყნის მტერი ჩემი მტერია. მწარე სიტყვის და რჩევის გამო მტრად გვთვლიან? **მე ვარ ქვეყნის მტერი და სხვა ვინმე - ჩემზე ერთგული მოყვარე?!**

ესაუბრა

**ბექა სივსივაძე**

**საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს გასული წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინცდამაინც დიდი იმედი არა აქვს იმისა, რომ „ნაცმოძრაობის" მიერ ოკუპირებული პარლამენტი მის ანგარიშს განიხილავს.**



# როცა სახალხო დამცველი ტეხს განგაშს!

**- როგორ აისახა თქვენს ანგარიშში ხელისუფლების მხრიდან მედიაზე ზეწოლის თემა?**

- ნათელია, რომ დღეს ტელევიზიებზე მოქმედებს მკაცრი სახელისუფლო ცენზურა და ამას ადასტურებს ტელევიზიების ყოფილ მფლობელთა განცხადებებიც. მაგალითად, **„რუსთავი-2"-ის ყოფილი მფლობელი ქიბარ ხალვაში** სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან პირდაპირ ჰყვება, თუ როგორ ერეოდნენ ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკაში, საინფორმაციო ბადეში თბილისის მერი **გიგი უგულავა, გიგა ბოკერია** და **გიორგი არველაძე.** ეს ადამიანები ერეოდნენ „რუსთავი-2"-ის საკადრო საკითხებშიც. სწორედ მათი ჩარევით გახდა იძულებული ქიბარ ხალვაში, არხის გენერალური დირექტორობიდან გაეთავისუფლებინა **ნიკა ტაბატაძე,** საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობიდან კი - **თამარ რუხაძე.**

უშუალოდ **გიორგი არველაძის** მოთხოვნით იქნა დანიშნული „რუსთავი-2"-ის გენერალურ დირექტორად **კობა დავარაშვილი.** როცა **ქიბარ ხალვაშმა არველაძეს** ჩამოუთვალა დავარაშვილის უარყოფითი თვისებები და უთხრა, როგორ შეიძლება, ასეთი ადამიანის ტელევიზიის გენერალურ დირექტორად დანიშვნაო, არველაძემ მიუგო, სწორედ ასეთი ადამიანი გვჭირდებაო!

**დავარაშვილი** თათბირებზე საინფორმაციო გამოშვებების რედაქტორებსა და ჟურნალისტებს ავალებდა არა ნიუსების გადაცემას, ამბის მოყოლასა და მოვლენების გაშუქებასა, არამედ **კატეგორიულად ითხოვდა მათგან, რომ ემუშავათ ახალი ადამიანის გამოყვანაზე.**

**- საზოგადოებას დღემდე ვერ გაურკვევია, ვინ არის „რუსთავი-2"-ის მფლობელი. ვის ეკუთვნის ეს ტელევიზია?**

- დღეს „რუსთავი-2"-ის მფლობელად ითვლება ორგანიზაცია **„გეო მედია გრუპი"**, რომელიც დარეგისტრირებულია მარშალის კუნძულებზე. კერძოდ, მითითებულია მისამართი: **აჯელფეიქის კუნძული, აჯელფეიქის ქუჩა, ენ-ეიჩ 96960.**

**- ტელეკომპანია „იმედთან" დაკავშირებით რა სიტუაცია გვაქვს?**

- ამ ქვეყანაში ისედაც ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ უკვე არსებობს დოკუმენტები იმის შესახებ, რომ **ტელეკომპანია „იმედი" უკანონოდ არის წართმეული მისი კანონიერი მფლობელებისათვის.** არსებობს „იმედის" ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერის **გიორგი ჯაოშვილის** მიერ ნიუ-იორკის სასამართლოსათვის 2008 წლის 22 აპრილს გაგზავნილი ახსნა-განმარტება, სადაც წერია, რომ **ჯაოშვილს** მოატყუეს **ჯოზეფ ქეის** ადვოკატმა და გადამხდელთა კავშირში ბადრი პატარკაციშვილის მოადგილემ **გიორგი ისაკაძემ.** ამ ადამიანებმა ჯაოშვილს აჩვენეს, ვითომ ბადრი პატარკაციშვილის ანდერძი, სადაც ეწერა, რომ „იმედი" უნდა გადაფორმებულიყო ჯოზეფ ქეიზე. **მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ანდერძი იყო ყალბი, მასზე არსებული ხელმოწერა იყო გაყალბებული, რაც ამერიკელმა ექსპერტებმაც დაამტკიცეს.**

ჯაოშვილი წაიყვანეს ნოტარიუსთან, სადაც წინასწარ ჰქონდათ გამზადებული ყველა დოკუმენტი და მოაწერინეს ხელი. საინტერესო ის არის, რომ **ბადრი პატარკაციშვილის ქონება იყო დაყადაღებული და მისი ვინმეზე გადაფორმება არ შეიძლებოდა ყადაღის მოხსნის გარეშე.** ამის შესახებ ჯაოშვილს უთხრეს, რომ ყადაღა უკვე მოხსნილი იყო. იმავე დღეს, ანუ 2008 წლის 13 თებერვალს ხელისუფლებამ ახსნა ყადაღა პატარკაციშვილის ქონების იმ ნაწილს, რომელიც უნდა გადაფორმებულიყო ჯოზეფ ქეიზე. **როდის აქეთ ზრუნავდა ხელისუფლება ასე გულდასმით პატარკაციშვილის ანდერძის აღსრულებაზე?** ცხადია, ეს იყო პოლიტიკური სპეკულაცია.

2008 წლის 14 მაისს მოსამართლე დიანა ბერიკაშვილმა ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, რომ თუკი ბადრი პატარკაციშვილის ქონება დარჩებოდა მის მეუღლეს ინა გუდავაძეს და შვილებს, არსებობდა პატარკაციშვილის ქონების გაფლანგვის საფრთხე.

ეს რომ არ მოხდესო, - დაასკვნა მოსამართლე ბერიკაშვილმა, - ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს ინა გუდავაძეს, ქალიშვილებს **ია პატარკაციშვილს** და **ლიანა ემოტოვას** აეკრძალათ პატარკაციშვილის ქონებით სარგებლობა. სამაგიეროდ, იმავე მოსამართლის იმავე დადგენილებაში **ჯოზეფ ქეის მიეცა უფლება, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება პატარკაციშვილის ქონებაზე.**

**- ბატონო სოზარ, თქვენი ანგარიშის მომდევნო თავი შეეხება შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას, ასევე პოლიტიკურ დევნას.**

- პოლიტიკური დევნის ფაქტები უამრავია. 7 ნოემბერზე იმდენი ვილაპარაკეთ, ახლა აღარაფერს ვიტყვი, მაგრამ ის, რაც 21 მაისის შემდეგ ხდებოდა, არის პოლიტიკური დევნის ნათელი მაგალითი. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნიღბიანი პირები დაერივნენ ოპოზიციის წარმომადგენლებს და ურტყამდნენ მათ, სადაც წააწყდებოდნენ. ესენი იყვნენ შავფორმიანი ადამიანები, ნიღბებით, ხელკეტებით, შავი „ჯიპებით", რომლებიც ოპოზიციის აქტივისტებს სცემდნენ სასტიკად და არცერთი ასეთი ფაქტი გამოძიებული არ არის.

**პოლიტიკური დევნა იყო, როცა 2008 წლის იანვარში თბილისში საპროტესტო აქციებზე მომავალ ადამიანებს აკავებდა პოლიცია, მძღოლებს ართმევდა მანქანებს, მოქალაქეები მიჰყავდათ ნარკოლოგიურ შემოწმებებზე, ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ადამიანები ვერ ჩამოსულიყვნენ მიტინგებზე.**

**უამრავ ადამიანს ჩაუდეს იარაღი, ნარკოტიკები და შეუთითხნეს სისხლის სამართლის საქმეები.**

**- 2007 წლის 7 ნოემბერს მიტინგზე თქვენც გცემეს. თუ არის დადგენილი ჯინსებში და შავ ლაბადებში გამოწყობილი ნიღბიანი ადამიანების ვინაობა, რომლებიც მომიტინგეებს არა რეზინის, არამედ ხის ხელკეტებით სცემდნენ?**

- ცხადია, მათი ვინაობა დადგენილი არ არის და არც დაადგენენ, რადგან ეს ხელისუფლებისათვის ნიღბის ჩამოხსნას ნიშნავს. რაც შეეხება ჩემს ცემას. **ისინი, ვინც ჩემს საცემრად გამოგზავნეს, იყვნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები.**

**- თვლით, რომ თქვენს საცემრად სპეციალურად გამოგზავნეს სპეცრაზმი?**

- იქ, სადაც მე მცემეს, არაფერი ხდებოდა. პოლიცია მისდევდა ხალხს. მე მათ მოვუწოდე გაჩერებისკენ, დამემორჩილნენ კიდეც, ხალხიც გაიფანტა და ამ დროს მოვარდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმი. **რა უნდოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ?** მისი დანიშნულება ციხეში მომხდარი არეულობის აღკვეთა და იქ წესრიგის დაცვაა. **რა ესაქმებოდა ბაჩო ახალაიას სპეცრაზმს რუსთაველის პროსპექტზე?**

**- 2007 წლის 7 ნოემბერს არამარტო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმი, არამედ გენშტაბის აწ უკვე ყოფილი უფროსი ზაზა გოგავაც ვიხილეთ.**

- არამარტო **გოგავა,** არამედ თავდაცვის მინისტრი **კეზერაშვილიც.** მათ საკუთარი ხალხი დაამარცხეს, მაგრამ ცხინვალის ომის დროს რა ქნეს, ყველამ ვნახეთ.

**- აგვისტოს ომის შემდგომი ფაქტები თუ მოხვდა თქვენს ანგარიშში?**

- ჩემი ანგარიში 2008 წლის მხოლოდ პირველ ნახევარს ეხება და აგვისტოს მოვლენების შესახებ მთლიანობაში არაფერს ვამბობთ, თუმცა, არის რამდენიმე ფაქტი, რომელიც მოხვდა ანგარიშში. ეს არის **როინ შავაძის** მკვლელობა და **დავით ცინდელიანის** გაუჩინარება. ეს არის ფაქტები, რომლებზეც მთელმა ქართველმა საზოგადოებამ განგაში უნდა ატეხოს.

**- როინ შავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით თქვენ განაცხადეთ, რომ ეს არის სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე უარესი ფაქტი. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

- საქმე გვაქვს უკანონობის ზეიმთან და როინ შავაძის საქმე სწორედ რომ გირგვლიანის მკვლელობის განმეორებაა.

**როინ შავაძე** დააპატიმრა ბათუმის **კუდ**-ის თანამშრომელმა **გია ჩიქოვანმა**, მეტსახელად **„მაიმუნამ", რომელმაც მანამდე ახალგაზრდა გოგო გააუპატიურა, მაგრამ ამისთვის არ დასჯილა.** ამ დაპატიმრების შემდეგ შავაძე მალევე გამოუშვეს, თუმცა, ხელმეორედ შავაძე უკვე უამრავი ადამიანის თვალწინ დააპატიმრეს, რის შემდეგაც იგი რამდენიმე საათით უკვალოდ გააქრეს.

თვითმხილველები ამბობენ, რომ როინ შავაძე დაპატიმრების ადგილზევე იქნა სასტიკად ნაწამები და ნაცემი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ შავაძის ცემა და წამება გრძელდებოდა დაპატიმრების შემდეგაც.

**- რა იყო შავაძის დაპატიმრების მიზეზი?**

- შავაძე მონაწილეობდა აგვისტოს ცხინვალის ომში და გაავრცელეს ვერსია, რომ ის იყო სამშობლოს მოღალატე, რაზეც არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა. **ღალატის ბრალდებას რომ ვერ უმტკიცებდნენ, შემდეგ ჩაუდეს ნარკოტიკი. შავაძე იპოვეს წამებით მოკლული და გზაზე დაგდებული.**

ახლა მის ოჯახს ემუქრებიან. როინ შავაძის მეუღლეს ურეკავენ და ეუბნებიან, რომ თუ არ გაჩუმდება, მის ძმას მოკლავენ ან ნარკოტიკს ჩაუდებენ. გაჩუმების სანაცვლოდ ფულსაც სთავაზობდნენ. ზეწოლა ხორციელდებოდა ადვოკატზეც, ჟურნალისტებზეც, რომლებსაც **კუდ**-ში იბარებდნენ და „საქმეებს ურჩევდნენ".

**მოკლედ, ეს არის ისევე თეთრი ძაფით ნაკერი საქმე, როგორიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. შავაძეც და გირგვლიანიც მოკლულია პოლიციის მიერ, ორივე შემთხვევაში ხელისუფლება ცდილობს მიცვალებულის დისკრედიტაციას და ამით ოჯახის დაშანტაჟებას და ორივე შემთხვევაში აშკარაა ხელისუფლების პოლიტიკური ნება, რომ ეს საზარელი მკვლელობები არ იქნეს გამოძიებული.**

არანაკლებ საზარელია **დავით ცინდელიანის** საქმე, რომელიც პოლიციამ ქუთაისიდან მამის თვალწინ მოიტაცა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ეს ადამიანი უკვალოდ არის გამქრალი. დღემდე არავინ იცის, ცინდელიანი ცოცხალია თუ არა, არავინ იცის მისი ადგილსამყოფელი.

**ამ დროს კი შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოიჩინა არნახული ცინიზმი და 10 ათასი ლარი დააწესა ჯილდოდ იმ ადამიანისათვის, ვინც პოლიციის მიერ გატაცებული ცინდელიანის კვალს მიაგნებს.**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ეს არის საშინელი ფაქტები, რომლებიც არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანების, არამედ მთელი ქვეყნის უბედურებაა, რის გამოც მთელმა ქართველმა საზოგადოებამ განგაში უნდა ატეხოს!**

ესაუბრა

**ჯაბა ხუბუა**

# გარდაიცვალა რუსეთის პატრიარქი

მწყემსმთავრისა და სულიერი მამის გარდაცვალება ნებისმიერი ერის ტრაგედიაა და, მიუხედავად რუსეთ-საქართველოს შორის დღეს არსებული ვითარებისა, ქართველი ხალხიც ვალდებულია, **გულწრფელად თანაუგრძნოს რუს ერს.**

რუსეთის პატრიარქი არასდროს ყოფილა საქართველოს წინააღმდეგ კრემლის აგრესიული პოლიტიკის მხარდამჭერი და, მითუმეტეს, მონაწილე. **საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები მაშინაც ინარჩუნებდნენ კეთილმეგობრულ ურთიერთობებს, როცა საქართველოს და რუსეთის ხელისუფლებებს შორის ვითარება უკიდურესად იძაბებოდა.**

**რუსეთის პატრიარქი ალექსი მეორე** საქართველოსადმი კრემლის დამოკიდებულებისგან შორს რომ იდგა, ამაზე აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის 7 ოქტომბერს მომხდარი ფაქტიც მეტყველებს, როცა **რუსეთის პატრიარქი წინ აღუდგა ქართული ეკლესიის დაშლას.**

**კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, სეპარატისტულ რეგიონებში არსებულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიებმა სურვილი გამოთქვეს, გამოყოფოდნენ ქართულ ეკლესიას და რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასულიყვნენ.**

**ამ ფაქტთან დაკავშირებით, რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ წმინდა სინოდის კრება მოიწვია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შენარჩუნებულიყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მთლიანობა და ოსური და აფხაზური ეკლესიები, რომლებიც რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლას ითხოვდნენ, საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში დარჩენილიყვნენ.**

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული მართლმადიდებლური ეკლესიები რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში გადასვლის სურვილს რომ დამოუკიდებლად არ გამოთქვამდნენ და რომ კრემლის ვერაგული ჩანაფიქრი იყო, ვფიქრობ, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ **რუსეთის პატრიარქი რუსეთის ხელისუფლების ნებას შეეწინააღმდეგა და საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი.**

ეს, რა თქმა უნდა, არამარტო **ალექსი მეორის** კეთილშობილების, არამედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის



**ილია მეორის** მსოფლიო ავტორიტეტის წყალობითაც მოხდა!

**„მწამს, რომ ვერანაირი პოლიტიკური კატაკლიზმები ვერ შეარყევს ჩვენს ძმურ ერთობას",** - ეს სიტყვები აწ გარდაცვლილ **რუსეთის პატრიარქს** ეკუთვნის.

**დღეს ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ შესაძლოა, საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ ახალი ძალით იფეთქოს და კვლავ განმეორდეს ის, რაც აგვისტოში მოხდა. ასეთ ვითარებაში ორმაგად სამწუხაროა საქართველოსა და ქართველი ერისადმი ქრისტესმიერი სიკეთით განწყობილი რუსეთის პატრიარქის გარდაცვალება.**

არავინ იცის, აპირებს თუ არა რუსეთი საქართველოში სამხედრო ინტერვენციის მეორე ტალღის განხორციელებას, მაგრამ ფაქტია, რომ **სწორედ ამ საშიშროების ფონზე მოულოდნელად გარდაიცვალა რუსეთის პატრიარქი, რომელიც საქართველოს ეკლესიის დაშლას შეეწინააღმდეგა,** პატრიარქი, რომლის ავტორიტეტიც რუსეთის ხელისუფლებას ბევრ რამეში ამუხრუჭებდა!

**ჯაბა ხუბუა**

ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს გაგივლია,
შეამჩნევდი მიმობნეულს მინდორ-ველად;
პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია,
იმერეთში ეძახიან „საპოვნელას“.
შეეხედე და მიმიხვდი იმთავითვე.
თურმე ყველა სასოებით ანდობს იმედს,
ბედს დღეებს თუ დანაკარგს - რამე ნივთებს,
ევედრება: „საპოვნელა, მაპოვნინე!“
მეც სათუთად მივიბნიე იგი მკერდზე,
ჩემს გულშიაც მივუჩინე მყუდრო ბინა.
ვენაცვალე! სხვა საუნჯეს აღარ ვეძებ,
რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა.



# „დღეს მე ჩემი ქართველობის მრცხვენია!“

## უკანასკნელი ინტერვიუ

**ის დიდი ილიას მკვლელობამდე 5 თვით ადრე, 1907 წლის 7 აპრილს დაიბადა. იყო ვაჟას და აკაკის თანამედროვე.**

**სავალალო 7 ნოემბრის კადრებისთვის არ უყურებია, მხოლოდ სხვებისაგან მოყოლილით იცოდა, რაც მოხდა. ინტელიგენცია „ჩარეცხილებად“ რომ გამოაცხადეს, ამასაც უმალავდნენ, თურმე, და პირველად ჩვენგან გაიგო. ქართველი მწერლები მწერალთა სახლიდან რომ გამოაძევეს, ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს საკუთარი სახლი წაართვეს. „ჭრიჭინას“ გახსენებაზე სიხარულისაგან თვალზე ცრემლი მოადგა აწ უკვე ზეციურ საქართველოში გადასახლებულ პოეტს მარიკა ბარათაშვილს.**

**- ქალბატონო მარიკა, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა ნახეთ, როგორ ურტყამდნენ ქართველებს, როგორ ესროდნენ რეზინის ტყვიებს და ცრემლსადენ გაზს?**

- საოცარი სირცხვილის გრძნობა დამეუფლა. აღარ ვიცი, ვინ ვართ ჩვენ? ქართველები ვართ თუ არა? საერთოდ, ადამიანები ვართ თუ არა? ვის ველოდებით, რას ველოდებით; ვინ გაგვაზრდის? ვინ გაგვისწორებს ანგარიშს [illegible]? ვინ ვართ, [illegible]? **დღეს მე ჩემი ქართველობის მრცხვენია.** რამ შეგვაცვალა ერთმანეთი?

მწერალთა სახლი ჩვენი ყველას სახლია, ჩვენი სულების თავშესაფარია, და როცა იქიდან მწერლები გამოყარეს, ძალიან დიდი შეურაცხყოფა ვიგრძენი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ თითქოს სახლი წამართვეს. დაკარგულივით ვგრძნობ თავს.

**ვინ არიან ისინი? რა მოუვიდათ? რამ შეაცვალათ ჩვენი თავი?**

**- ქალბატონო მარიკა, იქნებ გაიხსენოთ „ჭრიჭინას“ დაწერისა და მისი ფილმად ქცევის ისტორია...**

- ჩემი „ჭრიჭინა“... ჭრიჭინას ხმას რომ გავიგონებ, სიცარიელე თანდათან უკან იხევს და რაღაც სისავსე გადმოდის ჩემს გულიდან. მიყვარს ჩემი ჭრიჭინა და მინდა ჭრიჭინებით იავსოს ჩემი ქვეყანა, მე ჭრიჭინებით, რომლებიც მღერიან ჩემს გულში... ჭრიჭინას რეალური პროტოტიპი მე ვიყავი, მემღერებოდა, სიცოცხლე მიყვარდა, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა და ხალხი მიყვარდა.

**ჩარეცხილებიო?!** იცით, ჩემთვის ძალიან დიდი გულისტკივილია მაგის გაგონება. არა ვართ ჩარეცხილები ქართველები. თუმცა, უპატრონოები ვართ. გვგონია, რომ ჩვენ ვართ ყველაფერი, მაგრამ, ფაქტობრივად, აღარაფერი ვართ.

**- ქალბატონო მარიკა, 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან ილია რომ მოკლეს, თქვენ 5 თვის იყავით...**

- 1907 წლის 7 აპრილს დავიბადე, და, ცხადია, ილიას მკვლელობა არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, აკაკი წერეთელი რომ გარდაიცვალა! პატარა გოგო ვიყავი, მამამ წამიყვანა დაკრძალვაზე, მიმიყვანა აკაკის კუბოსთან და მითხრა: აი, შვილო, დაიმახსოვრე, ეს იყო დიდი პოეტი და შენც ამისთანა უნდა გამოხვიდეო. **ბებიაჩემის ძმა იყო შიო მღვიმელი.** როცა ჩვენთან მოდიოდა, ვუცქერდი, როგორ წერდა ლექსებს და ასეთი ლექსი მომიძღვნა:

„ჩემს პატარა წიწკნატელას,
რომ უცინის თბილად ყველას,
ცუგრუმელას, ცისარტყელას,
ბარათაშვილ მარიკელას“!

როცა აყვავდა
ბაღში ნუშები,
და იცინიან
ლაღად
ტყემლებიც,
ნუ გაიკვირვებ,
თუ ვიღუშები,
ნუ გაიკვირვებ,
თუ ვიცრემლები.

## ეკონომიკური პროგნოზი

**მსოფლიოში ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. რა ელის საქართველოს ეკონომიკას მსოფლიო ფინანსურ- ეკონომიკური კრიზისის პირობებში? გაიზრდება თუ შემცირდება სიღარიბე 2009 წელს? - ამ თემაზე ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს ნოდარ ჯავახიშვილს ვესაუბრებით.**



### ნოდარ ჯავახიშვილი: საბანკო სისტემა თუ დაინგრა, სამშენებლო ბიზნესი კი არა, მთელი ეკონომიკა დაინგრევა!

**- ბატონო ნოდარ, გაუძლებს ჩვენი პატარა გემი იმ შტორმს, ზღვაში რომ გველის?**

- განვლილმა წლებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს გემს ძალიან სუსტი კაპიტანი და სუსტი გუნდი ჰყავს. ეს გუნდი წლების მანძილზე პრაქტიკულად არ იცვლება, ერთი თანამდებობიდან გადადიან მეორეზე, შემდეგ მესამეზე, მეოთხეზე... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დღევანდელი პრეზიდენტის გუნდის წევრებს სურვილი აქვთ, მოასწრონ ყველა მინისტრის პოსტის გამოვლა, მათი გაკეთებული საქმე კი ჯერჯერობით არავის უნახავს!

ჯერ კიდევ 2007 წელს ვამბობდი, რომ 2008 წლის შემოდგომა საბანკო და საინვესტიციო სფეროში ძალიან მძიმე იქნებოდა. არც მაშინ და არც მერე, ეს ყურად არავინ იღო. სულ რამდენიმე კვირის წინათ განაცხადა ხელისუფლებამ, რომ თურმე, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენით ჩვენც კრიზისულ ფაზაში შევდივართ. **გარწმუნებთ, მსოფლიოში სულ რომ არ ყოფილიყო არანაირი კრიზისი, ჩვენთან ეს მაინც იქნებოდა, რადგან ბოლო 2-3 წელია, მიზანმიმართულად ნადგურდება საქართველოს ეროვნული ბანკი.** ეროვნული ბანკის ფუნქციის მოშლამ გამოიწვია კომერციული ბანკების მხრიდან ავანტიურისტული ქმედებები, რომელიც ერთ დღეს აუცილებლად გამოჩნდებოდა და დაინგრეოდა. **მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გავლენის აცილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვექნებოდა საწარმოო პოტენციალი.** საქართველოს ეკონომიკას კი მხოლოდ ჩვენი სტატისტიკის მიერ უსაზღვროდ დამახინჯებული ციფრები და ხელისუფლების მყვირალა ლოზუნგები აქვს.

როგორ შეიძლება გავუძლოთ რაიმე რყევას, როცა ქვეყანა საკუთარი წარმოების ხორბლის მხოლოდ **9 პროცენტით** არის უზრუნველყოფილი და **91 პროცენტი** საზღვრებს გარედან უნდა შემოიტანო? ასეთი სიტუაციაა, პრაქტიკულად, ყველა პროდუქტთან მიმართებაში. ეროვნული წარმოება1997 წლიდან მოყოლებული, კატასტროფულად ეცემა. **უკუსვლა განსაკუთრებით საგრძნობი 2003 წლის შემდეგ გახდა. ეს არ არის ჩემი შეფასება, ეს ოფიციალური სტატისტიკა გახლავთ, რომელიც, როგორც ჩანს, არ გაუანალიზებიათ და არ მიუწვდიათ მიხეილ სააკაშვილისთვის, თორემ ციფრებს აუცილებლად შეცვლიდა.** 2003 წლის მერე ხომ მუდმივად გვარწმუნებენ იმაში, რომ ეკონომიკა გაიზარდა და სიღარიბე შემცირდა. ნახეთ თითოეულ ადამიანზე ნებისმიერი პროდუქტის მოხმარების მაჩვენებელი და თავად დარწმუნდებით, როგორც შემცირდა სიღარიბე. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. **ერთი ადამიანი წელიწადში 90 კილოგრამზე მეტ კარტოფილს უნდა მოიხმარდეს, მაგრამ ოფიციალური მონაცემებით, 47 კილოგრამზე მეტს ვერ მოიხმარს, რადგან არც წარმოება გვაძლევს ამის საშუალებას და არც გადახდის უნარი.** ერთადერთი, კვერცხის ბიზნესშია შედარებით უკეთესი სიტუაცია, თუმცა, არც ამ სფეროში გვაქვს სრული უზრუნველყოფა. შედარებით უკეთესი სიტუაციაა ასევე შაქრის წარმოებაშიც. სხვა ყველა პროდუქტთან დაკავშირებით მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული. სხვათაშორის, კვერცხის ბიზნესთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით. 2005 წელს ქათმის გრიპის გამო ეს ბიზნესი ჩავარდა და დიდი ზარალი ნახა. 2007 წელს სანახევროდ ვიყავით კვერცხით უზრუნველყოფილი, მაგრამ არცერთი ცალი კვერცხის იმპორტი არ განხორციელებულა, არადა, ეკონომიკის კანონია, როცა ადგილობრივ წარმოებულ პროდუქციაში დეფიციტი ჩნდება, ის აუცილებლად ივსება იმპორტით. მაშ, რაშია საქმე? აქ მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება - **კვერცხის ბიზნესში ჩვენ გვყავს სერიოზული მაფია.** ის დანაკარგი, რაც 2005 წელს ქათმის გრიპის გამო მიიღეს, 2007 წელს ხალხის ხარჯზე აანაზღაურეს. ასეთ სახელმწიფოში ეკონომიკური პროგრესი შეუძლებელია.

**- თქვენი ვარაუდით, 2009 წელს საქართველოში სიღარიბე გაიზრდება?**

- მსოფლიოს ცნობილი ექსპერტების შეფასებით, შიმშილი მთელ მსოფლიოში გაიზრდება. ეს ტენდენცია აუცილებლად შეგვეხება ჩვენ, რადგან არცერთ სფეროში საკუთარი პროდუქციით არ ვართ უზრუნველყოფილი. ამის თავიდან ასაცილებლად ახლაც შეიძლება სერიოზული ღონისძიებების განხორციელება, მაგრამ მე ვერ ვხედავ, რომ ვინმე რაიმეს გაკეთებაზე ფიქრობდეს. **56 000 ტონა გოსტენილი საზღვრებს გარედან შემოდის საქართველოში, ეს მაინც ხომ ადვილად მოგვარებადი პრობლემაა? უბრალოდ, უნდა დათესო და მორწა.**

როგორ დავიჯერო, რომ ხელისუფლებას კრიზისი ადარდებს, როცა ეკონომიკის მინისტრმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, გუშინ მივიღეთ პრეზიდენტისგან დავალება, რომ კრიზისის პრობლემებზე ვიმუშავოთო. მაშ, რისთვის არსებობს ეკონომიკის სამინისტრო, თუ პრეზიდენტისგან მიღებული დავალების გარეშე არაფერს აკეთებს? რატომ იღებენ ხელფასს? როგორც იქნა, აღიარეს, რომ სერიოზული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი გველოდება, მაგრამ ერთი განკარგულება მაინც გამოიცა იმისათვის, რომ არამწარმოებლური ხარჯები შეიზღუდოს? უკრაინაში მთელ რიგ ჩინოსნებს მანქანები ჩამოართვეს და საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადიან, ჩვენთან კი ჩინოსნების ცოლ-შვილსაც მილიონიანი მანქანები ემსახურებათ. 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგა მაშინ, როცა მსოფლიოში გაგანია კრიზისი მძვინვარებდა და საქართველო ომის მძიმე შედეგებსაც უკვე იმკიდა, თუმცა, ჩათვალეს, რომ **ამის მიუხედავად, პარლამენტის ხარჯები 6 მილიონით უნდა გაზრდილიყო.**

**- შეგიძლიათ გააკეთოთ პროგნოზი, რა ელის ლარს და დოლარს 2009 წელს?**

- **შეუძლია, ვინმეს თქვას, რას მოიმოქმედებს ეს ხელისუფლება?** პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. ხელისუფლება დღესაც გვარწმუნებს, რომ მათ ამით შეამცირეს მსოფლიო კრიზისის გავლენა ჩვენს ფინანსურ სისტემაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ესენი აზრზე ან ჯერ კიდევ არ მოსულან, ან შეგნებულად აკეთებენ ამას. **მიაქციეთ ყურადღება, როგორ იცვლება დოლარის ყიდვა-გაყიდვის მარჟა შაბათ-კვირას - ეშინიათ, არ იციან, ორშაბათს რა იქნება და რისკის ფასებს უმატებენ.** არ ვიცი, კიდევ რა მზაკვრულ სიურპრიზს მოგვიწყობენ.

**- ამბობენ, რომ ბანკებს მოუსწრებს ის ფინანსური დახმარება, რომელიც მსოფლიომ გამოგვიყო.**

- დახმარება ყოველთვის არ არის საშველი. **გარწმუნებთ, რა დახმარებაც უნდა მივიღოთ, თუ ეროვნული ბანკი არ აღიდგენს თავის თავდაპირველ ფუნქციებს, ჩვენს საბანკო სისტემას არაფერი ეშველება.** დაეხმარებიან და კიდევ შეჭამენ, მერე ისევ დასჭირდებათ დახმარება და სულ ვინ მოგვცემს ამ დახმარებას?

სამშენებლო ბიზნესი ბანკის სესხებით იყო ავანტიურა, რომელიც მოიფიქრა საბანკო სექტორმა და თავად გაება ამ მახეში. საბანკო სისტემა თუ დაინგრა, მხოლოდ სამშენებლო ბიზნესი კი არ დაინგრევა, არამედ მთელი ეკონომიკა.

**- როგორ ფიქრობთ, როდის გაუმკლავდება მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს?**

- ძალიან დიდი ტვინები მუშაობენ ამაზე და მართლა აქვთ დაინტერესება, რომ ამ მდგომარეობიდან გამოიყვანონ მსოფლიო. თუმცა, ეკონომიკა ვერ გაჯანსაღდება, თუ მსოფლიო არ მიხვდება, რომ დროა, შეამციროს არამწარმოებლური ხარჯები. **მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს და ამ დროს ვიღაც ტოპ-მოდელს ათობით მილიონს უხდიან იმაში, რომ პოდიუმზე გაიაროს და მის უკანალს თვალი გააყოლონ.**

მსოფლიოში კრიზისი მალე აღარ იქნება, მაგრამ საქართველოს არაფერი ეშველება მანამ, სანამ ხელისუფლება ხალხზე არ იზრუნებს. დღეს ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ერთ პრინციპზეა მორგებული - **ხელისუფლებას სჭირდება, რაც შეიძლება ცოტა გადაიხადოს ამომრჩევლის მოსყიდვაში.**

ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ეს ქვეყანა მისია და არა...!

ესაუბრა
**თეა ასათიანი**

## პოლიტოლოგთა აზრით

**2008 წლის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებსა და 2009 წელს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსალოდნელ ცვლილებებზე პოლიტოლოგები რამაზ კლიმიაშვილი და სოსო ცინცაძე გვესაუბრებიან.**

### რამაზ კლიმიაშვილი: ამერიკაში ახლა ჭკვიანი ხელისუფლებაა და ასეთი დარტყმის ქვეშ არ დაგვაყენებენ!



**რამაზ კლიმიაშვილი:** - 2008 წელი საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება როგორც კატასტროფა ქართველი ერისათვის. **ომი, რომელიც სულ რაღაც ღღენახევარი გაგრძელდა, საქართველოსთვის უდიდესი ტრაგედიით დასრულდა. დაკარგული ტერიტორიები, დაბრუნების ნაცვლად, გავზარდეთ, მივუმატეთ კოდორის ხეობა, ახალგორი...**

**- 2009 წლის პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოსა და ამერიკას შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება იქნება. ჯერ ამბობდნენ, რომ ეს სამხედრო თანამშრომლობას შეეხებოდა, ახლა ამბობენ, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას შეეხება. იქნებ გაგვარკვიოთ, რა ხდება?**

- ამერიკელები ჭკვიანები არიან და ახლა სამხედრო ბაზებზე არ საუბრობენ. ჩვენი პარლამენტარები აცხადებენ, რომ ბაზების საკითხი სამომავლოდ განიხილება. **არც ახლა და არც სამომავლოდ ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ბაზები არ გვჭირდება. ეს საქართველოს უდიდესი საფრთხის ქვეშ დაყენებას ნიშნავს.** ვთქვათ, ამერიკამ დაარტყა ირანს, ირანის რაკეტები აუცილებლად მოგვწვდება ჩვენ!

ამერიკაში ახლა ჭკვიანი ხელისუფლება მოდის და იმედი მაქვს, რომ ასეთი დარტყმის ქვეშ არ დაგვაყენებენ. მართალია, სააკაშვილი თავს იწონებს, ობამას მოსვლით არაფერი შეიცვლებაო, მაგრამ გარწმუნებთ, ობამას მოსვლით ბევრი რამ შეიცვლება.

მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ბუში იყო ამერიკის ყველაზე სუსტი პრეზიდენტი და მისი პოლიტიკური კურსი კატასტროფული იყო თავად ამერიკისათვის. **ერთადერთი სააკაშვილია, რომელიც ბუშის თაყვანისმცემლად რჩება!**

**- გაქვთ მოლოდინი, რომ 2009 წელს საქართველოს ახალი ხელისუფლება ეყოლება?**

- **2009 წელს საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება.** დღეს სააკაშვილი არის ბანკროტი. ხომ ხედავთ, ბუში სპეციალურ ინსტიტუტსაც კი ქმნის, რომ აქედან ლამაზად წაიყვანოს თავისი პროექტი!

2009 წელს ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები იქნება, შემდეგ - საპარლამენტო. დღესაც ჩვენ, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო კამპანიის პირობებში ვცხოვრობთ. რაც უფრო მალე წავა, მისთვისვე არის უკეთესი. მისი აქ დარჩენა საშიშია, შეიძლება ისევ რაღაც პროვოკაცია მოაწყოს და მაშინ კი რუსები თბილისთან ნამდვილად აღარ გაჩერდებიან, ყველაფერს ბოლომდე მიიყვანენ!

### სოსო ცინცაძე:



**სოსო ცინცაძე:** - 2008 წელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი წელი იყო. წლის დასაწყისში იყო ორი არჩევნები, რომელმაც კიდევ უფრო დაძაბა შიდა პოლიტიკური სიტუაცია და გააძლიერა პოლიტიკურ ძალთა პოლარიზაცია. წაგებული ომი ისეთი ტრაგედიაა, რომელიც ყველაფერს ფარავს. ამას მოჰყვა დაკარგული ტერიტორიები, დევნილები, ეკოლოგიური კატასტროფა ბორჯომის ტყეში. წლის დასასრულს რაღაც იმედის ნაპერწკალი გამოჩნდა ამერიკასთან ხელშეკრულების პერსპექტივით, თუმცა, რა ხელშეკრულება იქნება ეს, ჯერ არ ვიცით და დიდ იმედებს ჯერ ნუ დავამყარებთ.

**- თქვენ ახსენეთ გასული წლის არჩევნები. როგორ ფიქრობთ, 2009 წელს საქართველოში ისევ იქნება არჩევნები?**

- საპრეზიდენტო არჩევნებს გამოვრიცხავ. თუ რაღაც კატაკლიზმები არ მოხდა, ძნელი სავარაუდოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე წავიდეს ხელისუფლება. საპარლამენტო არჩევნები კიდევ უფრო დასაშვებია, მაგრამ ვშიშობ, რომ **თუ საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა, არცერთი ოპოზიციური პარტია მზად არ იქნება იმისათვის, რომ არჩევნები მოიგოს.** ოპოზიციას ვურჩევ, რომ მზად იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.

სხვათაშორის, კიწმარიშვილმა სწორად აღნიშნა, პრეზიდენტმა შეიძლება არჩევნები მაშინ დანიშნოს, როცა ამას არავინ ელოდება.

**- ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან ხშირად მართავს შეხვედრებს. ამბობენ, რომ მან უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია...**

- საერთოდ, მოქმედი პრეზიდენტის ყველა აქცია და ნაბიჯი გათვლილია მომავალი არჩევნებისათვის. **არ ვარ პრეზიდენტის დამცველი, მაგრამ ვინ უშლის ოპოზიციას, რომ მათაც დაიწყონ საარჩევნო კამპანია? ამის ნაცვლად ისინი რაღაც სისულელეებით არიან დაკავებული.** ოპოზიციამ იდეფიქსად გაიხადა კონსულტაციები, მოლაპარაკებები, გაერთიანებები, დაშლები და ა.შ. ყველივე ამის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლია, მაგრამ ამას ჯერ კიდევ ვერ მიხვდნენ. ოპოზიციის გაერთიანება კარგია, საჭიროა, მაგრამ ერთია საჭიროება და მეორე -შესაძლებლობა. მე არ ვთვლი, რომ დღეს საქართველოში ოპოზიციის გაერთიანება შესაძლებელია.

**- საუბრობენ ახალი რუსული ინტერვენციის გეგმაზეც. როგორ ფიქრობთ, არის ამის საშიშროება?**

- **რუსეთისთვის ახლა ბროლის ოცნება იქნება, რომ საქართველომ მას ომის დაწყების საბაბი მისცეს.** იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლება პროვოკაციაზე მეორედ აღარ წამოეგება. რუსეთი მეორედ ღიად ომს ვერ დაიწყებს. ერთი აგრესია ბოლომდე შერჩა თუ არა, არავინ იცის, მეორე აგრესია და მეორედ თავის მართლება, რომ საქართველომ დაიწყო ომი, მას აღარ აწყობს.

**- თქვენ ბრძანეთ, რომ საუკეთესო ვარიანტია მიხეილ სააკაშვილი ნადირაძეების, ბალავაძეების, კირკიტაძეების და სამყურაშვილების გარეშე. დღესაც ასე ფიქრობთ თუ გირჩევნიათ, რომ ის ბუშმა წაიყვანოს?**

- ბუშს ვურჩევ, აღარ უნდა **„თავისუფლების ინსტიტუტის“ შექმნაზე ზრუნვა, საქართველოში უკვე არსებობს „თავისუფლების ინსტიტუტი“ და უდიდეს სამსახურს გაუწევს ქართველ ხალხს, თუ ამათ მოგვაშორებს აქედან.** პირველ რიგში, წაიყვანოს **რამიშვილი** და **თუთბერიძე.** ისეთ მშვენიერ „თავისუფლების ინსტიტუტს“ შეუქმნიან, რომ ტეხასიდან გასაქცევად გაუხდება საქმე.

### დღეს პრეზიდენტის პოსტზე რეალური ალტერნატივა გვყავს!

**- „თავისუფლების ინსტიტუტს“ ისევ ისეთი გავლენა აქვს სააკაშვილზე?**

- რამდენიმე თვის წინათ ქალბატონი თუთბერიძე იმუქრებოდა, გაბედოს პრეზიდენტმა და ჩვენს მიერ დაგეგმილ რეფორმებზე უარი თქვასო. რამიშვილი ახალ კონსტიტუციას გვიწერს, მეტი რაღა გავლენა გინდათ!

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მე არ ვიქნებოდი მომხრე ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისა, თუ ის თავის გარემოცვას რადიკალურად განაახლებდა და იქ პროფესიონალებს მიიყვანდა. თუმცა, შარშან სააკაშვილს რეალური ალტერნატივა არ ჰყავდა. დღეს ოპოზიციაში ახალი სახეებია: **ბურჯანაძე, ალასანია, ნოღაიდელი...** დღეს სააკაშვილს პრეზიდენტის პოსტზე რეალური ალტერნატივა ჰყავს!

ესაუბრა
**თეა ასათიანი**

***

*მეთექვსმეტე სართულზე ფეხით ავედი... ხელისუფლების „თექვსმეტი გამარჯვება“ გამახსენდა და კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილთან ჩვენი საუბარიც ასე დაიწყო:*



### ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები!

**- ბატონო ჯემალ, დიდი ხანია, მედიაში აღარ გამოჩენილხართ... არადა, თუ პრეზიდენტისა და „ნაცმოძრაობის“ „ლეგენდად ქცეულ“ თექვსმეტ გამარჯვებას გავიხსენებთ და პარალელსაც გავავლებთ, საინტერესოა, თქვენი ბინიდან დანახული თექვსმეტი სირცხვილიც ჩამოგვეთვალა...**

- მარტო თექვსმეტი?

**- თუ ბავშვურ თამაშსაც გავიხსენებთ, თქვენს შეკითხვაზე მეც კითხვით დაგიპირისპირდებით... მაშ, რამდენი?**

- ნუ დაგავიწყდებათ, მე-16 სართულზე ვცხოვრობ და აქედან ძალიან ბევრი რამე ჩანს. **თექვსმეტი კი არა, უთვალავი შეცდომაა დაშვებული, თუნდაც მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში!** უდიდესი გაურკვევლობაა დღეს საქართველოში! უდიდესი! როგორც ხელისუფლებიდან, ისე ოპოზიციური სპექტრიდან... შავზე - თეთრიაო, გვიმტკიცებენ და ასე უნდათ ქვეყნის აშენება?!.. მეცოდება საზოგადოების ის ნაწილი, ვისთვისაც ძნელია ამ ყველაფერთან შეგუება. **პეშვი ლობიოც კი არა აქვთ სახლში საახალწლოდ და პოლიტიკოსები თვითკმაყოფილნი და ყალბი დაპირებებით აბრუებენ მათ!**

**როდესაც ერისკაცს, ვახუშტი კოტეტიშვილს ასვენებდნენ ქაშუეთის ტაძრიდან, იმ დროს ერთი წუთით მაინც მივაგებდი პატივს მის ხსოვნას! „შეჩერდით, დიდ კაცს ასაფლავებენ!“ - ეთქვათ მაინც და მერე ემღერათ... ეს დიდი სირცხვილი იყო!**

**- ბატონო ჯემალ, პირდაპირ გკითხავთ: „გიხაროდენ“ თქვენც მავანთა თხოვნით არ დაწერეთ?**

- კი, **„გიხაროდენ!“ ზურაბ ჟვანიას თხოვნით დავწერე. „ტიტები“, „ო, ენავ, ჩემო,“ „ტიტები 18 წლის შემდეგ“ და მრავალი სხვა - ჩემი გულის კარნახით!** „გიხაროდენ!“ არის ერთი გულწრფელი სიმღერა, რომელიც ეფერება საქართველოს და რწმენას გვმატებს!

**- ბატონო ჯემალ, ისევ პოლიტიკას დავუბრუნდეთ... ომი მოვიგეთ თუ წავაგეთ?**

- **ტერიტორიები დავკარგეთ და რომელ გამარჯვებაზეა საუბარი? რამდენი ლტოლვილი გვყავს... რამდენი ახალგაზრდაა დაღუპული და რამდენის ვინაობა არ ვიცით... სირცხვილია!!! ომი წავაგეთ!!!**

რაც შეეხება პოლიტიკოსებს, რომლებიც დღეს ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადაბარგდნენ... მე ერთი რამ მინდა ვთხოვო მათ: **პირველ რიგში, უნდა მოიხსნან ყოველგვარი ამბიცია და სასწრაფოდ გასცენ პასუხი საზოგადოებას იმ შეკითხვებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, მათ მიმართ არსებობს!**

**- თქვენ გაქვთ ეს შეკითხვები? ბრძანეთ და ჩვენ ვკითხავთ...**

- **მე მათთან დასასმელი მაქვს ყველა ის შეკითხვა, რომლებზე პასუხიც ხალხს აინტერესებს! მათ ისედაც ყველაფერი კარგად იციან! ნუ მოიყრუებენ ყურს, რადგან საქმე აქვთ ხალხთან!**

**- ბატონო ჯემალ, საუბრის ბოლოს რა ეტყვით მკითხველს?**

- ვსარგებლობ შემთხვევით და **დამდეგ ახალ წელს მინდა მივულოცო ჩემს ქვეყანას! დაე, 2009 წელს აღარ იყოს ამდენი სიყალბე, ამდენი მლიქვნელობა, ამდენი გაჭირვება... მინდა, რომ ალარასდროს, არავის ნებით, არავინ არც იმღეროს, არც აშენოს, არც ხატოს და არც წეროს! მხოლოდ საკუთარი სინდისის კარნახითა და ნამუსით აკეთოს ყველამ თავისი საქმე! დაე, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები და... ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები...**

ესაუბრა
**გიორგი მამაცაშვილი**



*„ქალბატონო ნინო, მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვით: საზოგადოება პასუხებს ელის იმ კითხვებზე, რომლებიც წლების განმავლობაში დაუგროვდა თქვენს მიმართ! ხართ თუ არა მზად, დღეს ამ კითხვებს გასცეთ პასუხი? - ცხადია! რა თქმა უნდა!" - ასე დაიწყო საუბარი საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერმა, ქ-ნმა ნინო ბურჯანაძემ.*

# ნინო ბურჯანაძე: მე ვერ მოვერიე ამ ხალხს!

**- ბოლო დროს ერთი-ორჯერ შეახსენეთ პრეზიდენტს და რამდენჯერმე აღნიშნეთ კიდეც, რომ არაერთხელ გაგიფრთხილებიათ მიხეილ სააკაშვილი მოსალოდნელი არასასიამოვნო პროცესების შესახებ, რომლებიც შეიძლებოდა ქვეყანაში განვითარებულიყო... შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ან კარგად ვერ აფრთხილებდით, ან თავად სააკაშვილი არ გიჯერებდათ... თუმცა, არცერთი კონკრეტული მაგალითი ამ ე.წ. „გაფრთხილებისა" არ გიხსენებიათ... დააკონკრეტებთ?**

- სიმართლე გითხრათ, მე არ მომწონს სიტყვა „დაგიჯერათ" ან „არ დაგიჯერათ"... მით უფრო, როცა ქვეყნის პრეზიდენტზეა საუბარი. **არც არასდროს მქონია იმის პრეტენზია და მცდელობა, ვინმეს დაეჯერებინა ჩემთვის და ჩემს ჭკუაზე ევლო,** მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი აზრი მიმეწოდებინა ხელისუფლებაში რეალურად მყოფი გუნდისთვის და, მითუმეტეს, პრეზიდენტისთვის.. **მე ხშირ შემთხვევაში ვცდილობდი, გამომეხატა საზოგადოების იმდროინდელი რეალური განწყობა.** ვერ ვიტყვი, რომ არასოდეს არ ითვალისწინებდნენ ჩემს აზრს... ასე რომ ყოფილიყო, გარწმუნებთ, მე ბევრად უფრო ადრე წამოვიდოდი, ვიდრე 2008 წლის 21 აპრილს! ძალიან ხშირად ჰქონია ჩემს სიტყვას სერიოზული გავლენა და ძალიან ხშირად შემიცვლია, შემირბილებია კიდეც ვითარება! სწორედ ეს მაბრკოლებდა და უფრო ადრე არ გადავდგი რადიკალური ნაბიჯი. მეგონა, რაღაც მნიშვნელოვანს მაინც შევძლებდი, რომ... **საბოლოოდ, მაინც მივედი იმ დასკვნამდე, რომ ველარ ვახერხებდი ვერც პრეზიდენტის და ვერც მის ირგვლივ მყოფი ადამიანების დარწმუნებას და მათი რადიკალური, ზოგჯერ რეაქციული გადაწყვეტილებების წინააღმდეგობას...**

**- ქალბატონო ნინო, ზოგადად საუბარს იქნებ, ჯობდეს, კონკრეტული ფაქტები გაიხსენოთ.**

- მაგალითად, 7 ნოემბრის მოვლენები... თუნდაც, ერთი „დეტალი". სხვათაშორის, არაერთხელ მითქვამს მათთვის, რომ **იმ ფორმით, რა ფორმითაც სპეცრაზმი მოქმედებდა, არ შეიძლება საკუთარ ხალხს თან, თუნდაც რადიკალურ ოპოზიციასთან ურთიერთობა.**

**- თუმცა, არასდროს გამოირჩეოდით რადიკალური პოზიციით და მეტიც, არასდროს გაგიკეთებიათ მკვეთრი განცხადებები ქვეყანაში მომხდარ ამა თუ იმ დანაშაულთან დაკავშირებით...**

- მთლად არც ამაში დაგეთანხმებით! [illegible]

**- რუსეთის ბაზების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანასა და ნახევარი საქართველოს რუსეთისთვის ჩაბარებას შორის დიდი სხვაობაა...**

- გეთანხმებით! როგორ უნდა ვისაუბროთ დღეს რუსეთის ბაზების გაყვანის პოზიტიურობაზე, როდესაც ნახევარ საქართველოში რუსის ჯარი დგას?!

**- ქალბატონო ნინო, 2003 წლის დეკემბერი მახსენდება, „კმარა" რომ შემოიჭრა უნივერსიტეტში, თქვენ, სხვათაშორის, საკმაოდ პოზიტიური როლი ითამაშეთ იმ დღეებში საუნივერსიტეტო პროცესების დარეგულირებაში და პირობაც დადეთ მაშინ - „დედა-უნივერსიტეტში ბუზს ვერავინ ააფრენსო", თუ ხატოვნად ვიტყვით... არათუ ბუზი ვერ ააფრინეს, ბატონმა სააკაშვილმა, ჯერ იყო და, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე ლამის თითის ქნევით დაუნიშნა უნივერსიტეტს რექტორად, თქვენ კი დუმდით! შემდეგ იყო და, ლამის მეორე ბესლანი მოაწყვეს ცოდნის ტაძარში, ღვაწლმოსილი პროფესორები ხელებაწეულები გამოჰყავდათ შენობიდან პატრულის თანამშრომლებს, ვგონებ, არც მაშინ ამოგიღიაც ხმა...**

- ეს თქვენ გგონიათ ასე!

**- საზოგადოებას არ გაუგია თქვენი აღშფოთება...**

- შესაძლებელია, რადგან **ნინო ბურჯანაძე არასდროს არ მუშაობდა საკუთარი პერსონის პიარზე და არასდროს არ მუშაობდა საზოგადოების წინაშე ქულების ჩაწერაზე!** მეტსაც გეტყვით: ნინო ბურჯანაძე იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც პროფესორებს დაელაპარაკა, მათ შეხვდა და რომელმაც მათ თანადგომა აღუთქვა!

**- თქვენი თანადგომა რაში გამოიხატა?**

- გარწმუნებთ: **უმწვავესი რეაქცია მქონდა, როდესაც პატრული შევიდა უნივერსიტეტში** და ძალიან მძიმე საუბარი მქონდა ხელისუფლების ყველა იმ წევრთან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში!

**- ბატონ სააკაშვილთანაც?**

- **მათ შორის, ბატონ სააკაშვილთანაც! მაშინ მე ვუთხარი კიდეც ხელისუფლებას, რომ უნივერსიტეტში პოლიციის შეყვანა არ მოუფიქრებიათ ბოლშევიკებსაც კი...** და რომ, ეს ჩვენ მძიმედ შემოგვიტრიალდებოდა!

**- როგორ ფარულად გიკეთებიათ საქმეები და ჩვენ არ ვიცოდით... ამას გულწრფელად გეუბნებით...**

- **შეიძლება, ეს ჩემი შეცდომაც იყო, როგორც პოლიტიკოსის!** მე არ ვმუშაობდი იმ მეთოდით, რომ რეკლამირება გამეწია იმისთვის, რასაც ვაკეთებდი და რასაც გუნდის შიგნით ვქმნიდი! ვთვლიდი, რომ ვიდრე გუნდი არსებობს, მის შიგნით უნდა კეთდებოდეს, ირკვეოდეს და იგეგმებოდეს ყველაფერი! ჯერ გუნდში უნდა ირკვეოდეს ყველაფერი, რათა მერე ბრიფინგებზე არ გავრბოდეთ და ვინმეს არ ვასწრებდეთ გაკეთებული საქმეების ჩამოთვლას...

**დიახ! საზოგადოებამ ძალიან ბევრი რამ არ იცის და ყველაფერს ვერც გაიგებს! მე არ ვაპირებ ყველაფრის ლაპარაკს,** რადგან პატივს ვცემ იმ თანამდებობას, რომელიც მეკავა! პატივს ვცემ ქვეყანას და საზოგადოებას, **მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობს რაღაცები, რასაც მე აუცილებლად ვიტყვი!**

**- როგორც ჩანს, არც მომავალში აპირებთ ბევრი რამის თქმას და პირდაპირ გეტყვით: საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ თქვენმა დუმილმა ხელი შეუწყო ამ ქვეყნის დანგრევას! მით უფრო, დუმილმა მაშინ, როცა თქვენ სწორედაც რომ თანამდებობრივად გევალებოდათ საუბარი!**

- ჩემდა სამწუხაროდ, **საზოგადოება ნაწილობრივ მართალია!** მართალია იმაში, რომ მე, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წინ მიტინგს არ ვაწყობდი. მაგრამ მე მართალი ვარ იმაში, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სტატუსით პარლამენტში ვიბრძოდი სწორედ პარლამენტისათვის დამახასიათებელი მეთოდებით! **დიახ! მე ყველაფერზე მქონდა რეაქცია,** რის თქმაც შეიძლებოდა საჯაროდ, თუმცა, იყო საკითხები, რომლებზეც ხმამაღლა საუბარი არც მაშინ შეიძლებოდა და არც ახლა იქნება სასურველი! მეორე პირის მიერ ნათქვამ კრიტიკას, შეიძლება, კიდევ უფრო დაეზიანებინა ქვეყანა!

**- ერთი „ჩამჭრელი" კითხვა, თქვენთვის წყნეთის აგარაკის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადმოცემის შესახებ. დისკომფორტს არ გიქმნით გაუთავებელი საუბრები მის გარშემო? არ აპირებთ სააკაშვილისთვის აგარაკის უკან მიბრუნებას?**

- ... **რაც შეეხება ერთ ლარს, გეტყვით, რომ მე ერთ ლარს არ ვიხდი ამ აგარაკში! მე ვიხდი ძალიან დიდ თანხას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება 2009 წლის 1 აპრილამდე! ეს არის დაახლოებით სამასი ათასი ლარი!**

განკარგულება შედგენილი იყო აბსოლუტურად კანონის ჩარჩოებში. და სხვათაშორის, ფორმულირება, თითქოს „სააკაშვილმა მაჩუქა" ან „სააკაშვილს უნდა დავუბრუნო", არასწორია! ეს არ ყოფილა სააკაშვილის კერძო სახლი, რომელიც შეიძლებოდა მას ეჩუქებინა ვინმესთვის.

**- ერთი ლარი საიდან გაჩნდა განკარგულებაში?**

- ერთი ლარი არის კანონის მოთხოვნა. როდესაც სიმბოლურ ფასად ხდება გადაცემა, იქ სხვა თანხა ვერ ჩაიწერებოდა... შეგიძლიათ, ეს კანონში ნახოთ და გადაამოწმოთ... ამის მიუხედავად, მე მაქვს ვალდებულება, სახელმწიფოს გადავუხადო შესაბამისი თანხა, რომელიც ბიუჯეტში მიდის... **ვადა მაქვს 2009 წლის 1 აპრილამდე! და მიუხედავად იმ ათეული თუ ასეული მილიონებისა, რომელიც, თურმე, მე გამაჩნია, ჩემს ოჯახს არ ჰქონდა სამასი ათასი ერთბაშად, რომ გადაეხადა ასე უცებ...** შეგიძლიათ შეამოწმოთ: ჩემი ოჯახი ყიდის ბინას, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა და რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: **ენგურის ქ. №3, მეორე სადარბაზო, მეექვსე სართული. ეს სახლი იყიდება,** დოკუმენტაცია უკვე ფორმდება...

**- ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევის ფაქტი თუ გახსოვთ?**

- მახსოვს...

**- ამბობენ, გიგა ბოკერიას ბრძანებით დაანგრიესო ტაძარი... თქვენ არც ამ ვანდალურ ფაქტზე აგიმაღლებიათ ხმა...**

- **სამაგიეროდ, პატრიარქმა იცის ჩემი პოზიცია!** ფერიის მთაზე როცა მოხდა ის, რაც მოხდა, მე არ ვიყავი მაშინ საქართველოში, სამწუხაროდ... **მე მქონდა აბსოლუტური შოკი, როდესაც გავიგე ამის თაობაზე და მქონდა უმწვავესი რეაქცია, რაც გამოვხატე პრეზიდენტთან საუბრის დროსაც, ვარშალომიძესთან საუბრის დროსაც...** საგანგებოდ მივედი პატრიარქთან და საგანგებო ზომები მივიღე იმისთვის, რომ ვითარება უფრო არ გამწვავებულიყო!

**- ზოგ-ზოგან იმასაც ამბობდნენ, გიგა ბოკერიამ მუშტები ურტყა მაგიდას პატრიარქთან ყოფნის დროსო...**

- **ასეთი ფაქტი ჩემთვის ცნობილი არ არის და არასოდეს, ჩემთან საუბრისას, პატრიარქს მსგავსი რამ არ უთქვამს! დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ არც გიგა ბოკერიაა ის ადამიანი, რომელიც ვერ მიხვდება იმას, რომ პატრიარქთან მაგ ტონალობაში საუბარი არ შეიძლება!**

**- ქალბატონო ნინო, პარლამენტის ორგზის დეპუტატი, პროფესორი გურამ შარაძე შუა ვერაზე ჩაცხრილეს და თქვენ არც მაშინ მოგითხოვიათ საქმის ობიექტურად გამოძიება...**

- **თქვენ თუ ფიქრობთ, რომ ყველა იმ ფაქტზე და დანაშაულზე, რაც ამ ოთხიხუთი წლის განმავლობაში ხდებოდა, მე უნდა ვაგო-ვაგვცე პასუხი და მე ვარ ის ადამიანი, ვისაც ყველაფერზე კომენტარი უნდა გაეკეთებინა, ძალიან ცდებით!** სამწუხარო ფაქტია, რომ ასეთი გახმაურებული მკვლელობები ხდებოდა, მაგრამ... სამწუხაროდ, მე და ბატონი გურამი ხშირად ვკამათობდით და ოპონენტები ვიყავით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე გულგრილად შევხვდი მის მკვლელობას... რა თქმა უნდა, არა! მაგრამ, რა უნდა გაეკეთებინა ამ დროს ნინო ბურჯანაძეს?

**- მაპატიეთ, კარნახად ნუ ჩამითვლით, მაგრამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, არც პარლამენტს მიუგია პატივი მისი ხსოვნისათვის... არც პანაშვიდზე მისულან პარლამენტის ხელმძღვანელები ან თქვენ... და რომ არ დაგიმალოთ, ბოკერია-რამიშვილი-თარგამაძე-მერაბიშვილისგან განსხვავებით, თქვენგან მაინც მეტს ელოდა საზოგადოება... მეტ ყურადღებას ითხოვდა თქვენგან...**

- **ალბათ, მართებულად... ის კითხვები, რომლებსაც დღეს თქვენ სვამთ, ნამდვილად არის გამოწვეული იმით, რომ საზოგადოება ნამდვილად მეტს მოითხოვდა ჩემგან...** ჩემთვის ეს პასუხისმგებლობაც არის, პატივიც... ხშირად, მტკივნეულიც... მაგრამ გარწმუნებთ: მე ყოველთვის ვცდილობდი, რომ ადამიანების ნდობა არ გამეცრუებინა, მაგრამ ეს ვერ გამოიხატებოდა მხოლოდ ხმამაღალ განცხადებებში. რაც უფრო ხმამაღალ განცხადებებს გააკეთებდა ნინო ბურჯანაძე, მით მალე დაიძაბებოდა ვითარება. ჩემი ამოცანა კი სულ სხვა იყო - უნდა მიმეღწია მეტ-ნაკლებად მაინც პოზიტიური შედეგებისთვის, სტაბილურობისათვის... არადა, სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ჩემი პიროვნული რეპუტაციის შელახვის ხარჯზე ხდებოდა!

**- უფრო ადრე რომ წამოსულიყავით მაგ გუნდიდან, ხალხიც დაინახავდა თქვენს შეურიგებლობას... შეიძლება, გმირადაც ქცეულიყავით...**

- **ვის რაში სჭირდება ასეთი გმირობა?** ჩემი ამოცანა რა უნდა ყოფილიყო? ის, რომ გმირად დავრჩენილიყავი თუ ის, რომ რამდენადაც შემეძლებოდა, პოზიტიური ზეგავლენა მომეხდინა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე? **თქვენ ჩამოთვალეთ ყველაფერი ის, რაც ჩანს და რაც ჩანდა, მაგრამ თქვენ ვერ ჩამოთვლით ძალიან ბევრ რამეს, რაც არ ჩანდა, ვიდრე მე არ ვიტყვი! და რაც არ მოხდა! და რაც შეიძლებოდა მომხდარიყო...**

**- მაშინ, 21 აპრილის შემდეგაც დარჩენილიყავით გუნდური პრინციპის მოთამაშედ და სათქმელიც აღარ გაუჩნდებოდა მავანს, სიებში ხალხი არ ჩაუსვეს და ბურჯანაძე ამიტომ წამოვიდა გუნდიდანო... თან, თუ თქვენსას ვირწმუნებთ, გუნდში თქვენი დარჩენის შემთხვევაში, შეიძლება, აგვისტოს ტრაგედიაც თავიდან აგვეცილებინა...**

- მე ჩემს თავს ბევრჯერ დავუსვი ეს კითხვა... მქონდა თუ არა ის რესურსი, რომ აგვისტოს ტრაგედია აგვეცილებინა თავიდან. უნდა ვაღიარო, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ჩემთვის ამის თქმა, რომ მე ამოვწურე ჩემი შესაძლებლობები სახელისუფლებო გუნდში და ჩავთვალე, რომ ვეღარ შევძლებდი ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენას. ამიტომ, **სინდისიც არ მქენჯნის წამოსვლის გამო,** თორემ ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ამას ჩემს თავს არ ვაპატიებდი არასდროს!

როცა დავინახე, რომ იმ მცირე შესაძლებლობებსაც ვეღარ ვიყენებდი, ხანდახან ჰაერში მოხსნილი გადაწყვეტილებების და ჩემი ნერვების ხარჯზე **გარანტირებულ თავმჯდომარეობაზე ვთქვი უარი!** მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იქ ჩემი ადგილი აღარ იყო და ამიტომ წამოვედი! **მთელი პრობლემა ის გახლავთ, რომ პირობითად, ხუთმა კაცმა გადაწყვიტა, რომ მათ იციან ყველაზე უკეთ, ამ ქვეყანას რაც სჭირდება და გადაწყვიტეს, რომ არავის არაფერი არ უნდა ჰკითხონ! და რასაც თვითონ ჩათვლიან საჭიროდ, ისე უნდა ვიცხოვროთ მეც, თქვენც და მთელმა საქართველომ!**

**- „პირობითად" ჩამოთვალეს ის ხუთი პირობითი ადამიანი... ანუ... ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გივი თარგამაძე, კახა ლომაია, ლევან რამიშვილი, ნიკა რურუა, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა... სწორად ჩამოვთვალე?**

- **სავარაუდოდ, კი...**

**- ქალბატონო ნინო, მწერალთა კავშირიდან მწერლები ქუჩაში გამოყარეს და ნინო ბურჯანაძეს არც ეს დაუგმია! თქვენ არც ის ფაქტი გაგიპროტესტებიათ, სარაჯიშვილის ნაჩუქარი სასახლე უგულავა-სამადაშვილის მერია-საკრებულომ რომ წაართვა მწერლებს...**

- სხვათაშორის, თავიდანვე იყო საჭირო, რომ მწერლების ყველა ჯგუფთან ყოფილიყო კონსულტაციები და ადამიანურად აეხსნათ ხალხისთვის ყველაფერი. იცით, ეს არ არის მთავარი... შეცდომა იყო ყველაფრის იმ ფორმით კეთება, რაც გაკეთდა!

**- თქვენს თავზე თუ იღებთ თქვენს წილ პასუხისმგებლობას, თუ თვლით, რომ თქვენი წილი შეცდომებიც იყო ამ ყველაფერში?**

- ალბათ, იყო... ვინაიდან მე ვერ შევძელი უზრუნველყოფა დიალოგისა მწერლებსა და ხელისუფლებას შორის... ალბათ, რაღაც მეც დავაკელი!

**- რაღაც კი არ დააკელით, პირიქით, არაფერი გაგიკეთებიათ იმისათვის, რომ ჟურნალისტებისთვის „სამშობლო" არ წაერთმიათ სააკაშვილისა და უგულავას მაქაცარიზირებულ სპეცრაზმებს! თქვენ სიტყვაც არ დაგისველებიათ მაშინ, როდესაც გამომცემლობა სამშობლოდან", დილის ხუთ საათზე, წიხლისკვრით გამოყარეს ათეულობით რედაქცია და ათასობით ჟურნალისტი! ნუგეშიც არ გითქვამთ მათთვის!**

- მე არ მახსოვს ყველა დეტალი, რაც **„სამშობლოსთან"** დაკავშირებით იყო... **მე რამდენადაც ვიცი, თქვენ ძალიან კარგად იცოდით, რომ ეს შენობა დიდი ხნის პრივატიზებული იყო!**

**- პირიქით, გაფრთხილებაც არ მოსულა თქვენი ხელისუფლების ჩინოსნებისგან.**

- **ეს ძალიან ცუდია!** კიდევ ერთხელ ვამბობ: მსგავსი მეთოდები ჩემთვის ყოველთვის იყო მიუღებელი!

**მე ვერ დავიწყებდი დროშების ფრიალს! დროშების მოფრიალე პარლამენტის თავმჯდომარე არ არსებობს დედამიწაზე!** ან უნდა მიმეღო გადაწყვეტილება და ადრევე წამოვსულიყავი გუნდიდან, ან უნდა მომეთმინა... თუმცა, მე რომ ადრე წამოვსულიყავი გუნდიდან, ბევრად უფრო მეტი რამ გაფუჭდებოდა და ბევრად უფრო მეტი რამ მოხდებოდა, **რაც თქვენ არ იცით და შეიძლება, ვერც ვერასოდეს გაიგოთ!**

**- რას გულისხმობთ, ქალბატონო ნინო?**

- ძალიან ბევრი რამ! ძალიან ბევრი! თუნდაც, აჭარის რევოლუციის დროს, აჭარაში სისხლი რომ არ დაიღვარა, 90-95 პროცენტი არის პირადად ჩემი დამსახურება! უკაცრავად თქვენთან და მკითხველთან, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: დიახ, ჩემი დამსახურებაა, რომ დაძრული ტანკები უღელტეხილიდან უკან შემობრუნდნენ და, რომ პრეზიდენტმა ასეთი განკარგულება გასცა! ბათუმისკენ წასული ვერტმფრენები მხოლოდ იმიტომ იქნებოდა ჩამოგდებული, რომ ისინი სამხედრო ვერტმფრენები იყო და ამას აუცილებლად სისხლისღვრა მოჰყვებოდა! და პირადად ჩემი დამსახურებაა, რომ ისინი ქობულეთში დასხდნენ! ამ ყველაფრის ცოცხალი მოწმეები არსებობენ და მგონი, ეს ერთი ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ ეს დავინახოთ! **მე არ დამიწყია გულზე მჯი-ღის ცემა, ქულების ჩაწერა და ხალხისთვის დამადლება, ნახეთ, რა მაგარი ვარ-მეთქი!**



მინდა მადლობა გადაგიხადოთ „მამულის" არსებობისათვის. დარწმუნებული ვარ ეს ბევრი ადამიანისათვის სიხარულია. გისურვებთ წარმატებებს, ვისურვებდი, რომ თქვენს ფურცლებზე უმეტესად ყოფილიყოს პოზიტიური და ობიექტური ინფორმაცია. მესმის, რომ ქართველები მიბმული ვართ საკუთარ ქვეყანასთან და ძალიან გვიჭირს განშორება.

ნინო ბურჯანაძე

**- ქალბატონო ნინო, ზურაბ ჟვანიასთან მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაგეძაბათ ურთიერთობა...**

- მე და ბატონ ზურაბს ბოლო პერიოდში, სამწუხაროდ, გაგვიფუჭდა ურთიერთობა და **მე ნამდვილად არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი,** თუმცა, ამ განხეთქილებას ჰქონდა თავისი საკმაოდ ობიექტური მიზეზი... **მე ვერ მივიღე ის მხარდაჭერა „დემოკრატების" გუნდისგან, რომელსაც, ვთვლიდი, რომ ნამდვილად ვიმსახურებდი!** მე მარტო აღმოვჩნდი მაშინ, როცა ვაპროტესტებდი პარლამენტის უფლებამოსილების შეზღუდვას და სხვათაშორის, არც ბევრი თქვენგანისგან მიგრძნია მხარდაჭერა... ისევე, როგორც შემდეგ, სიების დაკომპლექტებისას ვთვლიდი, რომ „ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთ ლიდერს ნამდვილად მქონდა იმის უფლება, რომ პარლამენტში ყოფილიყვნენ ჩემს მიერ რეკომენდირებული ადამიანები... მითუმეტეს, ამაზე წინასწარი შეთანხმებაც არსებობდა... და რომ ეს ადამიანები არ უნდა ყოფილიყვნენ რევოლუციონერები, რომლებიც მხოლოდ რევოლუციური ტვინით აზროვნებდნენ... მაშინაც მე არაერთი გულსატკენი სტატია წავიკითხე პრესაში, რომ, თურმე, მე ქმრის, მამის, მეზობლების მეგობრებს ვწერდი სიაში... მერე აღმოჩნდა, რომ მეგობრობის კი არა, კვალიფიკაციის მიხედვით ვარჩევდი ადამიანებს... მაშინაც ვერ მივიღე „დემოკრატებისგან" მხარდაჭერა! და მიუხედავად იმისა, რომ უკვე მქონდა გუნდიდან წამოსვლის სურვილი, ჩავთვალე, რომ მაშინ ეს არ უნდა გამეკეთებინა. ვიცოდი, მერე ყველაფერს ბურჯანაძის ამბიციებს დააბრალებდნენ! **ძალიან თავმოყვარე ადამიანი ვარ და ძალიან ბევრ რამეს ვითმენდი, ვითმენდი იმიტომ, რომ ჩემი თანამდებობაც მავალდებულებდა ამას!** ჩემი თავმოყვარეობის ფასად მოვითმინე ძალიან ბევრი რამ, რადგან მაშინ ხალხის დაკვეთა არსებობდა, რომ რევოლუციური ერთობა არ დარღვეულიყო! ჩემი კონფლიქტი ბატონ ზურაბთან და „დემოკრატებთან" მაშინ დაიწყო...

**- და თქვენ თვლიდით, რომ 2003 წლის შემოდგომაზე „დემოკრატებმა" ბურჯანაძე „ფარად აიფარეს"?**

- **დიახ! შეიძლება, ასეც ითქვას. და ამიტომაც მქონდა მათ მიმართ წყენა,** თორემ პრეტენზია „ნაციონალების" მიმართ მე არ მქონია. მათ სხვა ლიდერი ჰყავდათ! **ის, რომ ბურჯანაძემ პოლიტიკური პარტია 2003 წელს არ შექმნა, განპირობებული იყო იმითაც, რომ მე გვერდში ამოვუდექი იმ გუნდს, რომელსაც ბატონი ზურაბი ხელმძღვანელობდა.**

**- და რომელმაც, „ნაციონალებთან" ერთად, დააქცია ქვეყანა?**

- **დიახ! დღევანდელი გადმოსახედიდან, ვთვლი, რომ ასე მოხდა! სამწუხაროდ!**

**- ქალბატონო ნინო, თქვენი აზრით, ზურაბ ჟვანია გაზით გაიგუდა თუ მოკლეს?**

- შეკითხვები ამ ტრაგიკულ ფაქტზე პირველივე დღიდანვე გაჩნდა და მე ძალიან აქტიური საუბრები მქონდა არამარტო ჩვენს ხელისუფლებასთან, არამედ უცხოელებთანაც. **მე არ მაქვს არანაირი უფლება, ეჭვის ქვეშ დავაყენო ფედერალური ბიუროს მიერ გამოტანილი დასკვნა!**

**- ზურაბ ჟვანიას ოჯახის პოზიციები თქვენთვის არ არის მნიშვნელოვანი?**

- **მე არ ვიცი, ოჯახი რა ვერსიებს ახმაურებს... ოჯახის ტრაგედია გასაგებია.**

**- ირაკლი ოქრუაშვილმა ცალსახად განაცხადა, პრემიერის გვამი მიიტანესო ნაქირავებ ბინაში...**

- **ოქრუაშვილის გამართლებას არანაირად არ ვაპირებ! თუ მიიტანეს და ეს იცოდა ოქრუაშვილმა, რატომ არ ამოიღო ხმა?** ამ ტიპის ინფორმაცია მე რომ მქონოდა, არანაირი გუნდურობის პრინციპი არ გამაჩერებდა! **არის რაღაცა, რაზე გაჩერებაც არ შეიძლება! შენ თუ ის იცი, რომ შენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მოკლეს, მისი გვამი სადღაც მიიტანეს და შენ ჩუმდები, - უბრალოდ, თანამონაწილე ხარ ამ დანაშაულის! თუ ეს ბატონმა ოქრუაშვილმა იცოდა, ის ისეთივე თანამონაწილეა ამ დანაშაულისა...** რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ეს დანაშაულია და არა უბედური შემთხვევა... ეს ელემენტარული ნორმაა სისხლის სამართლის კოდექსის! კითხვები, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ **მე არ მინახავს არანაირი სხვა ვერსია, გარდა ფედერალური ბიუროს დასკვნისა და რა უფლება მაქვს, არ დავიჯერო?**

**- სამწუხაროდ, ყველა ტრაგედიის დეტალებს, რომლებიც ხელისუფლებაში თქვენი ყოფნის დროს მოხდა, დღეს ვერ გავიხსენებთ, თუმცა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობა ყველაზე გახმაურებულ დანაშაულად მოინათლა. სხვათაშორის, თქვენ დაბლოკეთ პარლამენტში გირგვლიანის მკვლელობის შესახებ საგამოძიებო კომისიის შექმნის მცდელობა... მანამდე თქვენ უარი გითქვამთ ქალბატონ ირინა ენუქიძესთან შეხვედრაზეც... სერიოზული ბრალდებებია თქვენს მიმართ გამოთქმული, დამეთანხმებით...**

- მტკივნეულია, მაგრამ მაინც მოგვიწევს ამ თემაზე საუბარი. არაერთხელ მაქვს ეს ფაქტი შეფასებული უმძიმეს ტრაგედიად და არაერთხელ მაქვს ეს ფაქტი დაგმობილი ძალიან მწვავედ! **მე ვიყავი ადამიანი, რომელიც პირველი დღიდანვე, როგორც დედა, როგორც პიროვნება, ვიყავი კატეგორიულად მომთხოვნი, რომ დასჯილიყვნენ მკვლელები! კატეგორიულად ვითხოვდი ამას პრეზიდენტისგან! შინაგან საქმეთა მინისტრისგან! და ყველა იმ ადამიანისგან, ვისაც ამასთან შეხების წერტილი ჰქონდა!** მე ვიყავი ადამიანი, რომელიც პირველივე დღიდან ვამბობდი, რომ ეს ტრაგედია ხელისუფლებას არ ეპატიება, თუკი ამ უკანასკნელმა ადეკვატური რეაქცია არ გამოხატა... **მე ვიყავი ის ადამიანი, რომლის კატეგორიული მოთხოვნით, გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან ვასილ სანოძე და დათა ახალაია!**

**- და, რომლებიც, შემდეგ ისევ აღადგინეს...**

- **დიახ... აღმოჩნდა, რომ ასეა, თუმცა, ოფიციალური ბრძანება ამის თაობაზე მე არ მინახავს...** მე ვიყავი აღშფოთებული, როდესაც გავიგე, რომ მკვლელობაში ბრალდებულებს სასჯელი შეუმსუბუქეს! სხვათაშორის, **ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ კოტე კუბლაშვილს ძალიან მძიმე ფრაზებით და ძალიან მაღალ ტონალობაში ვესაუბრე! ჩავთვალე, რომ ბრალდებულებისთვის სასჯელის ექვსი თვით შემცირება იყო ცინიზმი, საზოგადოების მასხრად აგდება!** რაც შეეხება კომისიის შექმნას, **ვადასტურებ იმას, რომ მე ვიყავი ამ კომისიის შექმნის წინააღმდეგი!** მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს პრეცედენტი, რომ პარლამენტი ქმნიდეს საგამოძიებო კომისიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, რადგან პარლამენტი ვერ გამოიძიებს მკვლელობას და პარლამენტი ვერ დადებს ობიექტურ დასკვნას! ხელისუფლების კულუარებში, სხვათაშორის, მომხრეები იყვნენ ამ კომისიის შექმნისა, რადგან **პარლამენტის მიერ ჩატარებული გამოძიება აუცილებლად გაამართლებდა და დაადასტურებდა იმ ვერსიას, რომელიც თავად ხელისუფლებას გააჩნდა! დიახ! არ მსურდა, თანამონაწილე გავმხდარიყავი ამ ფარსისა! ტყუილს, ფარსს, გათამაშებას ვერ დავთანხმდებოდი და ვარჩიე არაპოპულარული „არა"!**

**- სანდრო გირგვლიანის მამასაც შეხვედრიხართ გუდაურში...**

- რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს ძალიან მძიმე შეხვედრა იყო ემოციურად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანმა საოცარი კეთილშობილება და შინაგანი კულტურა გამოიჩინა ჩემთან საუბრის დროს... ერთი სიტყვითაც კი არ უთქვამს ჩემთვის საყვედური, თუმცა, მისგან ყველაფრის ღირსები ვიყავით... ხმა არ გვქონდა ამოსაღები, რადგან ხელისუფლებამ ეს ოჯახი გააუბედურა! ვინაიდან ხელისუფლებაში ვიყავი, მე ყოველთვის ვგრძნობდი ამ ტვირთს!

**- ქალბატონ ირინას რატომ არ შეხვდით?**

- მე შევთავაზე მას შეხვედრა, რაზეც მას მაშინ ამის სურვილი არ ჰქონია და მართლა ძალიან კარგად მესმოდა მისი... მას შემდეგ ჩემი პირადი მდივანი, ქალბატონი **ლია ჩქარეული** ესაუბრა მას და ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ფორმატში შეხვედრისთვის, ჩემი მზადყოფნა დაუდასტურა... **„თუ ჩავთვალე საჭიროდ, შემოგეხმიანებითო",** - ასეთი პასუხი იყო ქალბატონი ირინასგან...

**- ქალბატონო ნინო, როდესაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ირინა ენუქიძე საავადმყოფოში იწვა, თუ მოინახულეთ მაშინ?**

- **არა! ან, როგორ უნდა მივსულიყავი, რას მელაპარაკებით? თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, ირინა ენუქიძესთან, როცა ის ცუდად იყო, ხელისუფლების წარმომადგენელი ბურჯანაძე მისულიყო და რა უნდა მეთქვა? „დიდი ბოდიში, ქალბატონო ირინა, ჩემმა ხელისუფლებამ შვილი მოგიკლა"-მეთქი?!... როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ?** არა აქვს მნიშვნელობა, მე რამდენი ვინერვიულე, ცრემლი დავღვარე თუ არ დავღვარე მისი შვილის უბედურებაზე... მივსულიყავი და ამით ის ქალი უკეთესად გახდებოდა? და მოაკლდებოდა მას სიცოცხლე ჩემს დანახვაზე თუ მოემატებოდა?! **თუ ყვავილები გამეგზავნა? ეს ცინიზმი არ იქნებოდა?** მე ქალბატონ ირინას შემთხვევით შევხვდი ერთ-ერთი საერთო ახლობლის ოჯახის წევრის პანაშვიდზე... ამ პანაშვიდზე მე მისული ვიყავი ჩემს უფროს შვილთან ერთად. **მე ვერ მივედი ირინა ენუქიძესთან, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში გვერდით ვიყავი გაჩერებული და ვფიქრობდი, რა მექნა... რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ მე არ მეყო ვაჟკაცობა, და დიახაც, არ მეყო თავხედობა, რომ მივსულიყავი ირინა ენუქიძესთან მაშინ, როცა მისი შვილი ცოცხალი აღარ იყო და მე ჩემი შვილი მედგა გვერდით! და ბოდიში მომეხადა მისთვის! მე ეს ვერ გავაკეთე!** თუმცა, იმავე საღამოს შევუთვალე ქალბატონ ირინას, რომ მე არ მეყო ვაჟკაცობა მასთან მისასვლელად და ამისთვის მოვუხადე კიდეც ბოდიში! არ ვარ იმდენად თავხედი ადამიანი, პოლიტიკაში 15 წლის მანძილზე ყოფნის მიუხედავად, რომ იმ დედასთან, რომელსაც შვილი ჩემმა ხელისუფლებამ მოუკლა, მივსულიყავი და ბოდიში მომეხადა!

**- თქვენ არც ქალბატონი ირინას პანაშვიდებზე ბრძანდებოდით...**

- **ან ირინა ენუქიძის პანაშვიდზე როგორ უნდა მივსულიყავი? როგორ წარმოგიდგენიათ? განა იმის შემეშინდა, რომ იქ ვინმე რამეს მეტყოდა?!** ამის ატანაც შემიძლია, მაგრამ მე იმ ადამიანებს ვეცი პატივი, ვისთანაც უნდა მივსულიყავი!

**- სხვათაშორის, ბოლო დროს ეროსი კიწმარიშვილმაც ხმა ამოიღო... რაღაც შეთანხმების დარღვევაზეც ალაპარაკდა, რომელიც სააკაშვილს, ჟვანიას, კიწმარიშვილსა და თქვენს შორის დადებულა „ვარდების რევოლუციის" დღეებში...**

- ეს იყო მოლაპარაკება, რომელიც შედგა ჩვენს შორის 2003 წლის 23 ნოემბრის ღამეს, როდესაც მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ არ ვიყრიდი კენჭს პრეზიდენტობაზე და სააკაშვილი იქნებოდა პრეზიდენტობის კანდიდატი... **ნამდვილად შევცდი!** მაგრამ მე მაშინაც დაპირისპირებას მოვერიდე, რო-

მელიც აუცილებლად იქნებოდა!

**- და მაშინ, სხვათაშორის, „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ უფრო მეტი რეიტინგი ჰქონდათ, ვიდრე „ნაციონალებს“...**

- გეთანხმებით... და დანამდვილებით გეტყვით, რომ ჩემი კანდიდატურის წამოყენების შემთხვევაში, აუცილებლად შედგებოდა მეორე ტური და დიდი შანსიც იყო **ჩემი გამარჯვების, მაგრამ გამარჯვების შემდეგ პროცესები ძალიან რთულად წარიმართებოდა. გარწმუნებთ, სააკაშვილი ჩემსავით არ გაჩერდებოდა ხელისუფლების შეცდომებზე და შეეცდებოდა იმ ხელისუფლების სწრაფად დანგრევას!**

**- ბოლო-ბოლო, კანონით აგებდა პასუხს ყველა და, მათ შორის, სააკაშვილიც...**

- ქვეყანა არ იყო იმდენად სტაბილური, რომ ამდენი რყევებისთვის გაეძლო... მე იმედი მქონდა, რომ ის შეთანხმებები, რაზეც იმ საღამოს ვსაუბრობდით, შესრულდებოდა და მათი შესრულების შემთხვევაში, ბევრად უკეთესად იქნებოდა ყველაფერი სააკაშვილისთვისაც და ქვეყნისთვისაც!

**- რა შეთანხმებაზე იყო საუბარი?**

- რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვიქნებოდი მე და პარლამენტი იქნებოდა რეალურად დამოუკიდებელი... **სამწუხაროდ, მე დავიჯერე ეს ზღაპარი! ერთი ცუდი ჩვევა მაქვს... მინდა ხოლმე, დავიჯერო, როცა კაცები სიტყვას ამბობენ!**

**- ეს კაცური სიტყვა დაარღვია სააკაშვილმაც და დაარღვია ჟვანიამაც?**

**- რა თქმა უნდა!**

**- და ეროსი კიწმარიშვილმაც?**

- დიახ! თუმცა, შეთანხმება იყო შემდეგი: სააკაშვილი იქნებოდა პრეზიდენტი, ჟვანია - პრემიერ-მინისტრი შესაბამისი უფლებამოსილებით, და არა პარლამენტის შესუსტების ხარჯზე, როგორც ეს მოგვიანებით მოხდა... ბურჯანაძე იქნებოდა პარლამენტის თავმჯდომარე და ისიც კი იყო ნათქვამი, რომ საპარლამენტო სია მთლიანად დაკომპლექტდებოდა ისე, როგორც ამას ჩავთვლიდი საჭიროდ.

**- სხვათაშორის, არავის ავიწყდება თქვენი სახეები შევარდნაძესთან შეხვედრიდან გამოსვლისას... 2003 წლის 21-22 ნოემბერს ვგულისხმობ...**

- ჩვენ მაშინ მართლა არ ვიყავით მზად ხელისუფლებაში ამ ფორმით მოსასვლელად. მახსოვს, ოცი წუთის განმავლობაში ვეხვეწებოდით შევარდნაძეს, დაენიშნა ახალი საპარლამენტო არჩევნები! ჩვენ მაშინ მის გადადგომას ნამდვილად არ ვითხოვდით! თუმცა, არც ის დამავიწყდება, პარლამენტის წინ მყოფი ორმოცდაათი ათასამდე ადამიანი ბატონმა შევარდნაძემ სამი-ოთხი ათასად რომ ჩათვალა... ძალიან მწვავე რეაქცია მქონდა ამაზე...

მიუხედავად ჩემი კრიტიკული გამონათქვამებისა, ნამდვილად არ ვაპირებ, მხოლოდ შავ ფერებში გამოვსახო შევარდნაძის მმართველობის წლები და არ ვთქვა ისიც, რაც მან მართლა გაუკეთა ჩვენს ქვეყანას... ჩამოსათვლელი ბევრი რამ არის... ბაქო-სუფსის პროექტი იყო უმნიშვნელოვანესი პროექტი... შევარდნაძემ დაიწყო **ნატო**-ში გაწევრიანებაზე ლაპარაკი და მისი დამსახურება იყო ჩვენი ჯარების პირველი წვრთნა და აღჭურვა... სხვათაშორის, რევოლუციის შემდეგ, დაახლოებით ორ კვირაში, აღლუმზე გამოვაცხადე, რომ შევარდნაძის დამსახურება იყო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დაწყება! მაშინ საკუთარი ოჯახის წევრებმაც კი საყვედური მითხრეს, მაგრამ **გაგდებულ პრეზიდენტსაც კი, მე ამაგი არ დავუკარგე! თუმცა, ეს ჩემთვის პოლიტიკურად მომგებიანი არ ყოფილა...**

**- ქალბატონო ნინო, როგორ ფიქრობთ, ბადრი პატარკაციშვილი მოკლეს თუ მართლა გულის შეტევით გარდაიცვალა?**

- რას ამბობთ... მაგის თქმა მე როგორ შემიძლია?! სკოტლენდ-იარდის დასკვნაში წერია, რომ გარდაიცვალა... **რას მეუბნებით, ისეთი მაგარია ეს ხელისუფლება, რომ შუა ლონდონში ისეთი ნივთიერებით მოკლა კაცი, რომ სკოტლენდ-იარდმა ვერ აღმოაჩინა?**

**- ისე, არც გლდანის ეკლესიის დარბევისა და მამა ბასილის მიმართ ასეთი მოპყრობის გამო გამოგიხატავთ პროტესტი...**

- სხვათაშორის, მაშინ არ ვიყავი საქართველოში... ეკლესიის დარბევის ფორმა იყო ძალიან ცუდი! **ამ ფორმის დანერგვა იყო ყველაზე დიდი შეცდომა ჩვენი ხელისუფლებისა...** მიმაჩნია, რომ ხელისუფალმა ხალხს უნდა აჩვენოს, რომ მასზე გული შესტკივა...

**- უნდა აჩვენოს თუ აპრიორშივე უნდა შესტკიოდეს?**

- უნდა დაანახოს ის, რაც არის! არ უნდა ითამაშო! **ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა ხალხისთვის ეთქვა: „ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენი აზრი!“** ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა! გლდანის ეკლესიაში იგივე **ახალაია და სანოძე** იყვნენ მთავარი დამრბევები... **მე ვერ მოვერიე ამ ხალხს!**

**- ამას აღიარებთ?**

**- კი! მე ამ ხალხს ვერ მოვერიე! მე მითხრეს, რომ ახალაიები არიან ეროვნული გმირები, რაზეც ვიკითხე - „რაში გამოიხატება, თქვით, იქნებ, ქედიც მოვიხარო მათ წინაშე-მეთქი“. პასუხი არ იყო...**

**- თქვენ ნაკლად გითვლიან იმასაც, რომ ეროვნებისა და მამის სახელის გაუქმება პირადობის მოწმობაში თქვენი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს მოხდა...**

- არა. მაშინ კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი.

**- და მომხრე იყავით ამ გადაწყვეტილების მიღების?**

**- კი, მე მომხრე ვიყავი ამ გადაწყვეტილების მიღების!**

**- დღესაც ემხრობით თქვენს ადრინდელ გადაწყვეტილებას?**

- მამის სახელი არასოდეს ყოფილა საქართველოში დამკვიდრებული, ეს იყო რუსული კალკი... რაც შეეხება ეროვნებას, ისეთ მრავალეროვან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ პასპორტებით არ განსხვავდებოდნენ ადამიანები ეროვნების მიხედვით! ეს ქვეყნის ერთიანობისთვისაა ძალიან მნიშვნელოვანი!

მაშინ, საქართველოს პარლამენტის ისტორიაში პირველად, კომიტეტის გაფართოებული სხდომა ჩატარდა პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში. იქ იყო წარმოდგენილი სრულიად საქართველოს მართლაც საამაყო საზოგადოება... ნაწილი ამ ადამიანებისა ემხრობოდა ამ გრიფის დატოვების, მაგრამ დიდი ნაწილი იყო წინააღმდეგი სწორედ იმიტომ, რომ მათ ესმოდათ, რას ნიშნავდა ამ გადაწყვეტილების მიღება, როცა ქვეყანაში გყავს ძალიან დიდი ნაწილი აზერბაიჯანული, სომხური, აფხაზური, ოსური ეროვნების მოსახლეობისა... **დავით აღმაშენებელს არ ჰქონია პასპორტი და არ ჰქონია ჩანაწერი ეროვნების შესახებ, ისევე, როგორც ცოტნე დადიანს, ქეთევან დედოფალს, ცხრა ძმა ხერხეულიძეს... მაგრამ ამის გამო ისინი ნაკლები ქართველები არ ყოფილან!** ეს არის პოპულიზმი და მეტი არაფერი!

**- სხვათაშორის, ედუარდ შევარდნაძემ „გიწინასწარმეტყველათ“: „ნინო ბურჯანაძე დიდ პოლიტიკაში ველარ მოვაო!“..**

**- მე ვურჩევ, რომ ამაზე ნუ ინერვიულებს!**

ესაუბრა
**გიორგი მამაცაშვილი**

## ახალი ავტორის დებიუტი „მამულში“

„მე 80–იანი წლების შვილი ვარ...

მიყვარს, როცა სწორედ ასე მომიხსენიებენ...

თავს მაბეზრებს 40 წელს გადაცილებული მწერლის მიერ მოგონილი მითი „თაობა X“-ის შესახებ... სკოლიდან მოსულს „სკუბი დუს“ მორიგი სერია მელოდა ხოლმე. დასვენების დღეებს მეგობრებთან ვატარებდი, „თამამი“ Game boy-ები გალაქტიკურ ომებს ვაწყობდით. კუბიკ-რუბიკის აწყობას ვერა და ვერ ვახერხებდი.

რეიგანი მაგარი იყო, გორბაჩოვი კი ის ბიჭი, რომელმაც მოსკოვში „McDonald“-სი ააშენა. ჩემმა ოჯახმა შვებულება მექსიკის ყურეში გაატარა, გზად ვაგროვებდი ჭიქებს „mapped show“-ს გმირების გამოსახულებით, შევაგროვეთ მთელი კომპლექტი. აჩემებული მქონდა სიმღერა პატარა ვარდისფერ სახლებზე... ვსვამდი „Dr. pepper“-ს, დედაჩემი ჩანთას ღვეზელებით მიტენიდა, მე კი ყველიან ჩიფსებს ვანიჭებდი უპირატესობას.

ადამიანებს ჯერ არ უთქვამთ „არა“ ნარკოტიკებისთვის.

აქა-იქ საუბრობდნენ შიდსზე. ყველა ეს კომპონენტი კომპოტში რომ აურიოთ, მიიღებთ ჩემი ბავშვობის სურათს. ასე რომ, ნუ დამიძახებთ „თაობა X“-ს, მიწოდეთ 80–იანი წლების პირმშო.“



მინდა, რომ თქვენც იცნობდეთ, ეს მარი დევიძეა! ჩემი თანაკურსელი, ნიჭიერი ჟურნალისტი, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ [illegible] ჟურნალისტის პროფესიას ორი შვილის დედობა არჩია და დღეს, ჩემი დაჟინებული თხოვნითაც არ ეკარება კალმისტარს.

ისაა, რომ „სკაიპით“ ჩვენი საუბრები, მისი მოგონებები იმდენად საინტერესო მეჩვენება, რომ თქვენთვის გაცნობაც გადავწყვიტე.

რედაქტორი

ზემოთ მოყვანილი ტექსტი გახლავთ თავისუფალი თარგმანი ბრაიან ადკინსის სტატიისა, რომელიც რომელიღაც ჟურნალში ამოვიკითხე სახელწოდებით „ნუ დამიძახებთ თაობა X-ს, მიწოდეთ 80–იანი წლების პირმშო“.

მასში დაცულია ყველა ლოკალური ამერიკული რეალია, რომელიც „იმ“ დროს ახასიათებდა. თუმცა მსგავსი აღქმა „იმ“ პერიოდისა, დამეთანხმებით, უჩვეულო და მიუღებელია ჩვენთვის. ჩვენ, ჩვენი 80-იანები და ჩვენივე 80-იანელები გვყავს, რომელნიც ლოკალური, ქართულ-საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალიებიდან გამომდინარე, სწორედ რომ „თაობა X“ აღმოჩნდნენ, - დაკარგულები დროსა და სივრცეში, გარკვეული მისიით და გაურკვეველი ბედისწერით.

თუმცა ნარკვევის მცდელობა სულაც არ გახლავთ ამ საკითხის, როგორც პრობლემის განხილვა. ისტორია ისეა მოწყობილი, რომ რთულია განსაზღვრო რა არის... რა იქნება... უტყუარია ის, რაც იყო. არც წარსულში სენტიმენტალური მოგზაურობის მოწყობაა ჩემი მიზანი, უბრალოდ ადკინსის მსგავსად, იქნებ უადგილოდაც, ემოციის გარეშე მსურს აღვიდგინო ეპოქა, რომელსაც ჩვენი „თაობა X“-ის ბავშვობა ერქვა. უადგილოდ კი იმიტომ, რომ ახლახან განვითარებულმა მოვლენებმა მგრძნობიარე გახადა ჩვენი სმენა ყოველივე რუსულისადმი. არადა, წარსულს ხომ ვერ გაექცევი...

„არაფერი ქრება ჩვენი ცხოვრებიდან უკვალოდ, თუკი ის კვებავდა ჩვენს სულს, ის ჩვენი სისხლის ნაწილად იქცევა ხოლმე“ (რომენ როლანი). უაზრობაა გაექცე წარსულს, ის დალექილია შენსავე ცნობიერებაში. გაცნობიერებულად თუ გაუთვითცნობიერებლად ის ყოველთვის რჩება ადამიანებში. გახსენება ყოველთვის არ ნიშნავს ნოსტალგიას. ფაქტები, მოვლენები... დროის ამ მონაკვეთს ბევრი უგემოვნობის ხანად მიიჩნევს, საინტერესოა, რა ემოციით აღვიდგენთ ყოველივეს, ჩვენ, უტყუარი მემატიანეები...

* * *

რა გვახსოვს?

პირველ რიგში არცერთი „Gamy boy“ და „Barbie“. გვახსოვს „Mapped show“-ს ანალოგი „Спокойной ночи малыши“ ან უბერებელი ჟანეტა დეიდა. ბევრი კუბიკ-რუბიკი და რაც მთავარია, ჩვენ მას ვერეოდით!

ტელევიზორში დრო და დრო



მორიგი გენმდივნის დაკრძალვის ტრანსლაცია. უკანასკნელმა მათ შორის, ქვეყანაში ზეიმი მოაწყო, - პატარა გადატრიალება ქვეყანას გაუხარდა და ჩაირთო დისკო!!! მუსიკა ფანტასტიური საშუალებაა ატმოსფეროს აღდგენისა.

რას ვუსმენდით? უფრო სწორედ, რას უსმენდნენ ჩვენი მშობლები... როკს ნამდვილად არა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ არსებობდა. პირიქით, სწორედ მაშინ გაჩნდა ჩვენებური, საბჭოთა, ჯმუხი როკი, რომელსაც არასოდეს ჰქონია დაბოლოვება „Roll“, ამას ჩვენ 90-ში შევიტყობთ, როდესაც როკმენებიც დაძველდებიან და ხუმრობის გარეშე „დაბერმუხდებიან“. დღევანდელი გადასახედიდან კი მათი მაშინდელი შემოქმედება საოცრად ალალი და წრფელი ჩანს: „Кино“, „Наутилус“, „Помпилиус“, „Аквариум“, „Машина Времени“, ქართველებიდან ქიტიაშვილი, ვაშალომიძე.

ტელევიზორში ერთმანეთს მიყოლებული Песня 85... 86... 87... კვირაობით „утренняя почта“, ალბანო და რომინა, ტოტო კუტუნიო, რაფაელა კარა, ანტონოვი, ბოიარსკი, ალა პუგაჩოვა კუზმინთან ხელკავით - „Без меня тебе любимый мой“.

ტოლს არც ქართული ესტრადა უდებდა ვინმეს, გზადალოცვილი „ივერია“ საბჭოთა სინამდვილისთვის უჩვეულო მიუზიკლებით, ნანი ბრეგვაძე და, რა თქმა უნდა, სამამულო პოპ ვარსკვლავი ბუბა კიკაბიძე თავისი განუმეორებელი ღიმილით „Мои





года мое богатство“... პოპულარული იყო ბუბას პოსტერები, 80–იანი წლების ბევრ სამზარეულოს ამშვენებდა მისი სურათი.

მაშინ ყველას თავისი მუსიკა ჰქონდა. ვიღაცისთვის იგი Scorpionsით იწყებოდა, ვიღაცა კი დღემდე თვლის, რომ „Boney M“-ს, ABBA–სა და Modern Talking–ს არაფერი სჯობია... სოხუმელი მეზობელი ვალერა ვისოცკის ხრინწიან ბალადებს ატრიალებდა ბაბინებზე (ვისოცკი 80-იანებში უკვე აღარ იყო), მე ეზოს ბავშვებთან „Ricchi e poveri“-ს ფირფიტებს ვრთავდი მშობლების უჩუმრად და დისკოთეკებს ვმართავდი, მამაჩემი კი თავს იწონებდა ახალთახალი მანქანის მაგნიტაფონით და ზედ ხან დობრინინს და ხან კიდევ „ნათია ჩემო ნათიას“







ამღერებდა...

რა ხდებოდა ტელევიზორში? ანუ რას ვუყურებდით?

კონკრეტულად ჩვენ ისევ და ისევ „აბა დამაცადეს“, „ლეოპოლდსა“ და „წუნა და წრუწუნას“, კვირაობით „ცეროდენას ეკრანს“ და „в гостях у сказки“.

შაბათობით „ილუზიონი“ და მისი უცვლელი წამყვანი ოთარ სეფიაშვილი, რომელიც წინასწარ გვიყვებოდა ხოლმე ფილმების შინაარსებს, და იმ დროსაც კი ახერხებდა ჩვენს მსოფლიო შედევრებთან ზიარებას.

„მონანიება“ საშინელი და უინტერესო ფილმი მეგონა, მის ღირებულებასა და მნიშვნელობას მერე და მერე ჩავწვდი.

„პატარა ვერასა“ და „ინტერ გოგონას“ ფილმებს, რომლებმაც დიდი ფურორი გამოიწვიეს, ასევე მოზრდილმა ვუყურე (ვინ გაყურებინებდა დღევანდელი გადასახედიდან უმანკო ეროტიკას?!). სოფელში სტუმრობისას კლუბებში ინდური ფილმები გადიოდა (ოღონდ პოპ-კორნი და კოკა-კოლა გამორიცხეთ).

სევდა კინოში, - ალბათ როლან ბიკოვის „საფრთხობელა“ და ჩვენი ქართული „ჩიორა“ განუმეორებელი ალექსანდრე ბასილაიას Soundtrack-ით: „ყველა გული დამშვიდდება, ამ პატარა გულის გარდა“...

სწორედ ამ დროს დაიწერა კუკარაჩა, აქტიურად მუშაობდა გოდერძი ჩოხელიც, რუსთაველის თეატრის სცენაზე კი კვლავ ჯადოქრობდა რობერტ სტურუა, 70–იან წლებში „კავკასიური ცარცის წრით“ დაწყებულ საქმეს იგი „მეფე ლირით“ აგრძელებდა.

პოპულარული გადაცემა „Взгляд“,

მომაბეზრებელი „გარდაქმნის პროჟექტორი“,

სენსაციები - სილამაზის კონკურსები, აერობიკა, ჩუმაკი და კაშპიროვსკი (რამდენი რამ გადაგვიტანია!),

საგაზეთ ჯიხურებში დიდი Огонек–ი, Комсомольская და Пионерская правдაები.

მაშინდელი „Bazaar“ ჟურნალი „საქართველოს ქალი“, რომელიც დაბეჭდვის დღიდანვე გახუნებული და გაყვითლებული იყო. ასეთივე პოლიგრაფიული ხარისხით გამოირჩეოდნენ ჩვენი სასკოლო წიგნები და რვეულები (თუკი ვინმეს მოსკოვიდან არ ჩამოუტანდნენ უკეთესს). ასე, რომ ჩემი შვილი ვერასოდეს გაიგებს იმ მომენტის საკრალობას, როცა მე მის წიგნებსა და რვეულებს აღფრთოვანებული ვათვალიერებ.

მოდა! 80–იანი წლების საბჭოთა მოდა არის ის, რაც არასოდეს არ უნდა განმეორდეს... ოქსფორდის პროფესორებმა დაადგინეს, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ბუნებრივ წარმოდგენას სექსუალურ მიმზიდველობაზე. ამის მაგალითად მარკუს დე სიუიტა განიხილავს მაშინდელ ვარცხნილობებსა და სილუეტებს... თუმცა, მე სხვა გლობალურ ნოვაციაზე შევაჩერებდი თქვენს ყურადღებას... ანუ 80–იანი წლების მოდის ათვლის წერტილი: სამხრეები.

ისინი 82–ში შემოვიდნენ და 94–მდე გაძლეს... თუმცა, ზოგიერთს დღესაც უჭირს მათთან განშორება. ისინი უმაგრდებოდა ნებისმიერი ტიპის ტანსაცმელს, უთხელესი შიფონიდან შეკერილ კაბებსაც კი... სირცხვილი არ იყო მათი გამოჩენა, ყველანი რეალურად უდგებოდნენ სიტუაციას. თუკი წელიწადის თბილ დროს მათი ზომა არ აღემატებოდა 15 სანტიმეტრს, ზამთრის მოახლოვებასთან ერთად მათი ზომები კატასროფულად იზრდებოდა. ვფიქრობ, სწორედ ამ ატრიბუტმა შთაუნერგა წარმოუდგენელი ენთუზიაზმი რუსს მოდელიორს ვიაჩესლავ ზაიცევს, რომელსაც უნდა ვუ-მადლოდეთ ფართო ბეჭებიანი კოსტიუმების შექმნასა და შესაკრავების მათი ტრადიციული, ცენტრალური ადგილმდებარეობიდან გვერდზე გადატანას.

ბანანები (შარვლები) ცისფერი, ვარდისფერი, კუბოკრული...

აჟურული ან უკან ხაზიანი კოლგოტები...

კენგურუს ჯიბეები, თავზე წაკრული ლენტები, პიჯაკების აკეცილი მკლავები (სარჩული აუცილებლად ზოლიანი)...

სათვალეები, - წვეთები, გულები, მელიები...

კნოპკები, ლიპუჩკები, ბრჭყვიალა სტრაზები...

„ვარიონკები“, კომბინეზონები, დაბერილი კურტკები, ბატონის ფორმის ჩანთები ფირმა წარწერით (მაგალითად „Adidas“ ან „Montana“) და საერთოდ „ფირმა“...

სადღაც დასავლეთში კი მაღალ მოდას ქმნიდნენ ჩვენთვის მიუწვდომელი ლაკრუას, შანელისა და ვერსაჩეს მოდის სახლები. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ მაშინ გვქონდა საშუალება ყოველგვარი ფალსიფიკაციის გარეშე გვესარგებლა ნამდვილი ფრანგული პარფიუმით.

ოოო... სურნელით აღდგენილი წარსული... „ფიჯი“, „ჟოზე“, „კლიმატი“, 80–იან წლებს სწორედ რომ ამ სუნამოების არომატი ასდის.

ვარცხნილობა, - გადაწეული თმები უკან დიდი ბაფთით; ქიმია, ოღონდ არა ცივილიზებული, როცა თმები ზამბარებივით იხვევა... არა... საბჭოთა „პარიკმახერების“ ნახელავი უფრო ატომური ბომბის საცდელ პოლიგონს მოგაგონებდათ. დაუმატეთ ამას მკვეთრი და აგრესიული მაკიაჟი ცისფერი ჩრდილებით ქუთუთოებზე და ვარდისფერი ლოყებით. მოკლედ...

კოკა-კოლას ნაცვლად მსხლის ლიმონათი, ადგილობრივი პეპსი...

„მაგარი“ სიგარეტი „კოსმოსი“ და მართლა მაგარი „Marlboro“, რომელიც ჩუმად იყიდებოდა და რომლის რეალიზაციის პუნქტები ყოველთვის კონტროლდებოდა მილიციის მიერ.

„ჩუმად“, ანუ დახლქვეშ! ეს მოვლენა ცალკე ფენომენია მაშინდელი სინამდვილისა...




როგორ შეიძლება ის აიხსნას? როგორი ენციკლოპედიური განმარტება შეიძლება მოეძებნოს მას დღეს თავისუფალი ეკონომიკის ეპოქაში?

აქ ერთი კონკრეტული სიტყვა საკმარისი არ არის. საჭიროა მაგალითი.

მაგალითად, „ჩუმად“, ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი ადგილობრივი წარმოების ბროლი შეგეძინათ ამა თუ იმ უნივერმაღსა და უნივერსამში (სუპერ და ჰაიპერ მარკეტები), ნებისმიერ „ბოჰემისთვის“ საჭირო იყო ნაცნობობის და გავლენის გამოყენება. და თუკი თქვენ ეს [illegible] გზა გაიხსნებოდა, მაშინ ერთ ყველაზე მოდურ „მადონას“ სერვიზსაც კი გამოკრავდით ხელს. მსგავსი ტენდენცია ვრცელდებოდა გასტრონომიულ, პარფიუმერიულ და საერთოდ საყოფაცხოვრებო სფეროებზე.

კიდევ ერთი პარადოქსი (პირადი დაკვირვება), - ადამიანები, რომელნიც 80–იანი წლებში ჩამოყალიბებული პრიორიტეტებით ცხოვრობენ. ამ „სამუზეუმო ექსპონატებისთვის“ დღემდე ათვლის წერტილად ითვლება საძინებელი „ლუდოვიკო“, „ფილიპე“, სასტუმრო „რენესანსი“ ან სულაც რუმინული „სტენკა“, ჭაღი ჩეხური ან უკეთესს შემთხვევაში ვენეციური. ქურქი „ნორკა“, სერვიზი ისევ და ისევ „მადონა“ ან „კობალტი“. მოკლედ, ეს აუცილებელი ატრიბუტებია, რომლებიც ადამიანს მაღალი საზოგადოების სტატუსს მიაკუთვნებს მათ თვალში (აქ დიდი სიამოვნებით გამოვიყენებდი 21–ე საუკუნეში შემოსულ, პოპულარულ სასვენ ნიშნებს, ე.წ. სმაილიკებს, თანაც ბევრს).

როგორები ვიყავით?

მობილურებისა და ინტერნეტის გარეშე... მიამიტები...

მაშინ ჯერ კიდევ წერილებს ვწერდით და სადღესასწაულო ბარათებს ვხმარობდით...

რისი გვჯეროდა?

თავიდან ნათელი მომავლის, მერე ინფორმაციის ნაკადი გაიზარდა, უცებ გავიზარდეთ ჩვენც, დავბრძენდით, გავხდით პატრიოტები... გაჩნდა ახალი გმირები: გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია... ახალი მცნება - თავისუფლება...

მერე ყველაფერი აირია და ჩვენ დღემდე ვცხოვრობთ აუტანელ რეჟიმში, - ხვალ ყველაფერი გამოსწორდება...

თუმცა ეს ნაწილი გაცილებით რთული დასაწერი გამოდგა... იქნებ ადკინსი ცდება და ამაოდ საყვედურობს ჩემთვის უცნობ 40–წელს გადაცილებულ მწერალს, რომელსაც არც არასოდეს უფიქრია ჩვენს 80-იანებსა და ჩვენს 80–იანელებზე...

მაგრამ, სწორედ მან მოიგონა მითი „თაობა X“-ის შესახებ.

ჩემთვის X-ით უცნობია ის, თუ ვის გულისხმობდა იგი... ეს მითი ჩემს თაობას მოვარგე... სწორედ მას... დაკარგულს დროსა და სივრცეში... გარკვეული მისიითა და გაურკვეველი ბედისწერით.

**მარი დევიძე**



# აგვისტო 2008



რეზერვისტი კახა ლაბაძე ცხრა საათზე გამოცხადდა დანიშნულების ადგილზე.

ახლა, როცა ომის ქარიშხალი თითქმის ჩამცხრალია, ალბათ, შეიძლება „დანიშნულების ადგილის“ ნაცვლად პირდაპირ ვაზიანის ბაზა ვთქვათ.

არა მგონია, ეს „განთქმა“ სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნებად ჩაგვითვალონ.

დილიდანვე ცხელოდა.

შორს, ჰორიზონტთან, საფრენ ბილიკზე გახურებული ჰაერი ვარვარებდა.

საწყობთან რეზერვისტთა გრძელი მწკრივი სწრაფად მოკლდებოდა.

რეზერვისტები ავტომატის მიღებისთანავე მეორე რიგისკენ გარბოდნენ, მეორე რიგთან ჯავშანჟილეტებს არიგებდნენ.

კახას წინ ორიოდე რეზერვისტი ედგა, როცა სამხედროფორმიანი მოხდენილი გოგო აივანზე გადმოდგა და გამოაცხადა.

**- ჟილეტები აიღეთ და სასწრაფოდ ჩასხედით ავტობუსებში!**

**- ავტომატები?!** - ჰკითხა კახამ.

**- გორში დაგირიგებენ. სწრაფად, სწრაფად, დროს ნუ ჰკარგავთ!**

საჟილეტო რიგთან მაღალი, უწვერო ბიჭი იდგა და რეზერვისტებს აფრთხილებდა:

- ჟილეტი კარგად დაათვალიერე. გახვრეტილი არ იყოს.

შემკრთალი რეზერვისტი ჟილეტს გაშლიდა თუ არა, უწვერო კატეგორიულად ეუბნებოდა:

**- ა, ნახე, გახვრეტილია, მიუბრუნე ახლავე და სხვა გამოართვი.**

**- რამ გახვრიტა?** - კითხულობდა სასოწარკვეთილი რეზერვისტი.

**- მე რა ვიცი, ხომ ხედავ, ნახმარი ჟილეტებია, ერაყიდანაა ჩამოტანილი.**

რეზერვისტი, რომელსაც სამშობლო, მართალია, ძალიან უყვარდა, მაგრამ წუნიანი ჟილეტის მიზეზით სიკვდილს ჯერჯერობით არ აპირებდა, საწყობისკენ გარბოდა, რათა შემოტყუებული გახვრეტილი ჟილეტი მიებრუნებინა. ამის გამო საჟილეტო საწყობთან ორი რიგი იდგა - ჟილეტის ამღებთა და ჟილეტის უკან დამბრუნებელთა.

საოცარი ის იყო, რომ დამბრუნებელთა რიგი უფრო გრძელი გახლდათ.

თორმეტს აღარაფერი უკლდა, როცა ამერიკის სამხედრო ფორმიანი, პენსიონერი კალათბურთელის ტანის პატრონი, უპაგონო პოლკოვნიკი გამოვიდა და გამოაცხადა:

**- ვილაცა ბოროტად ხუმრობს და მოვიცლით მისთვისაც, არცერთი ჟილეტი გახვრეტილი** [illegible]

**- ჟილეტები დამთავრდა! ჩასხედით ავტობუსებში, გორში დაგირიგებენ ყველაფერს!** - ჩასძახოდა ვიღაც მიკროფონს.

უიარაღო და უჟილეტო ოციოდე რეზერვისტი ბოლო ყვითელ ავტობუსს მიურიგდა. გასასვლელიდან ეს ავტობუსი პირველი იყო. სხვა ყვითელ ავტობუსებში ამაყად ისხდნენ კბილებამდე შეიარაღებული რეზერვისტები და უიღბლო „მებრძოლებს“ ცოტა არ იყოს, ირონიით და ნიშნის მოგებით გადმოსცქეროდნენ.

ყვითელი კოლონა გორის გზაზე გაიჭიმა.

გზაში რამდენჯერმე გადაუფრინა თავზე ყვითელ კოლონას ნაცრისფერმა წყვილმა ავიაგამანადგურებელმა, მაგრამ არც ნახევრადსამხედრო მძღოლებს და არც საგულდაგულოდ გაწვრთნილ რეზერვისტებს, ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ მტრის თვითმფრინავები დაჰბზუოდნენ თავზე, თორემ ასე არხეინად არ იქნებოდნენ. შეშინებით ცოტა მაინც შეეშინდებოდათ.

**კახას გორის ციხეზე ცას შეყენებული სატელევიზიო ანძა გადახრილი მოეჩვენა, სამაგიეროდ, ქვემეხების დგანდგარში და თვითმფრინავების ყრუ გუგუნში სტალინის ძეგლი იდგა ძველებურად, მყარად, გამართულად.**

ლიახვის პირიდან ცხელი სიო ქროდა.

გორის ბაზასთან მწვანე, ოთხსართულიან შენობას მიადგნენ კახა და მისი უთოფო ამხანაგები.

- **რა გნებავთ?!** - პარმაღზე სახეალეწილი კაპიტანი იდგა.

- **ავტომატები! ჟილეტები! რეზერვისტები ვართ!** - ყვირილით შესძახა კახამ.

- **რა გაყვირებს?!** - კაპიტანს გაეცინა, - **თბილისში უნდა მოეცათ!**

- **აბა რა ვქნათ?!** - ცრემლი გაერია ხმაში ქართველ მეომარს.

**- კარგი, მომისმინეთ! ამ მანქანაში ჩასხდებით და ცხინვალში წახვალთ! იქ მოგცემენ ყველაფერს!**

**- რომელ მანქანაში?!**

ჭიშკართან ბეტონის ამრევი, მბრუნავავზიანი მანქანა იდგა, ავზი, რა თქმა უნდა, არ ბრუნავდა.

**- ნუ გეშინიათ, ეს უფრო საიმედოა. აბა ჩქარა! ჩქარა! კარგად იყავით!**

ბიჭები ავზში შეცვივდნენ. ავზს თავი ნახევრად ღია ჰქონდა საჰაეროდ.

ბეტონმზიდი ბაზის რკინის ჭიშკარს რომ გამოცდა, სწორედ მაშინ შემწკრივდა გორში ყვითელ ავტობუსთა ქარავანი.

ნახევარი საათი იარეს, ჰა, ჰა ორმოცი წუთი, მეტი არა.

ხმა არ ამოუღიათ. ისხდნენ გასუსულები, ერთმანეთს მიყრდნობილები, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

- **შემთხვევით ხელი რომ მოუხვდეს და დაგვატრიალოს, ხომ აგვდღვიბავს ერთმანეთში ბეტონივით,** - ხუმრობა სცადა ვიღაცამ, მაგრამ არავის გასცინებია.

სიცილის დრო არ იყო.

ჯერ ბეტონმზიდს რაღაც მიასკდა და მერე გაისმა გამაყრუებელი გრიალი. მანქანა გადაყირავდა.

გასკდა მეორეჯერ, მესამეჯერაც...

ავზიდან პირველმა კახამ ამოყო თავი. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. ცეცხლი ეკიდა კაბინასაც.

გადაბრუნებული მანქანიდან ამოსვლა არ გაჭირვებიათ.

გარბოდნენ... ეცემოდნენ... გარბოდნენ... ბალახს თხრიდნენ და თავზე იფარებდნენ... ჭურვისგან ამოთხრილ ორმოში წვებოდნენ...

აღარც ახსოვს, ავტომატი ვინ მიაჩეჩა.

- **ცხინვალი შორს არის?** - ჰკითხა კოჭლობით მიმავალ კასკიან ჯარისკაცს.

- **ცხინვალში ვართ!** - ჯარისკაცმა განზე გაიხედა.

მოიერიშეთა ათეულს შეეკედლა.

- **რეზერვისტი ხარ?** - ჰკითხა შავწვერა კაპრალმა.

- კი.

[illegible]

**- თურმე, რო წამოვა ბრძანება: წავედით „ატაკაზეო“! მაშინ უნდა შეატრიალო ქუდი და უკან გამოიქცე. რომ გიბრძანებენ, უკან ვიხევთო. ეს იმას ნიშნავს, რომ იერიშზე უნდა გადახვიდე. ასეთი სტრატეგია შეუმუშავებია ჩვენს სარდლობას.**

**- რას ლაპარაკობ?**

**- ეს ცუდი როდია, მოწინააღმდეგეს აბნევს, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა გვცოდნოდა. სამიდან - ექვსამდე შესვენება რომ გამოგვიცხადეს, გამიკვირდა, ომში „პერერივი“ ვინ გაიგონა-მეთქი. თურმე, ეს მტრის მოსატყუებლადაა. მაგრამ მე ხომ უნდა მცოდნოდა. კინაღამ შევაწყვიტე ბიჭები.**

კაპრალს ხარხარი აუტყდა და კახა მიხვდა, რომ მეთაურს კონტუზია ჰქონდა და მეტი შეკითხვა აღარ დაუსვამს.

რომ მოსაღამოვდა, გარაჟიდან გამოლაგდნენ.

**- ეს ქუჩა უნდა დავაუთოოთ! - საბრძოლო ამოცანა მოკლედ განმარტა კაპრალმა.**

**- რა უნდა ვქნათ?** - ჰკითხა კახამ.

**- უნდა გავაუთოოთ, გავჩხრიკოთ, ასეთია ბრძანება!**

**- პირდაპირ გავიგო თუ უკუღმა?!** - დაიბნა კახა.

**- პირდაპირ. იმ ორსართულიანში შედი. ფრთხილად იყავი.**

კახამ ჭიშკარი შეაღო. ეზოში არავინ ჩანდა. კიბეზე ავიდა, თითქოსდა ეს-ესაა, გაიკრიფნენ მასპინძლები.

ქალაქს ქვემეხების გრუხუნი და ავტომატების კანონადა აზანზარებს. ღამით უფრო შემზარავია წითელონოვანი ტყვიების წვიმა.

სარდაფის კარზე დააკაკუნა.

არავინ გაუღო.

კარს ფეხი ჰკრა და ავტომატი შემართა.

„ჟუკი“ ამოიღო და შეანათა.

სარდაფი სავსე იყო ადამიანებით.

**- ოსები ხართ?**

- **კი**, - ქართულად უპასუხა ვიღაცამ,

- **რა მნიშვნელობა აქვს,** - კახამ ჩაილაპარაკა.

- **არ დაგვღუპო,** - ქალის ხმა იყო.

კახას უნდოდა, ჩამოევლო და ყველა მათგანისთვის სახეში მიენათებინა, შეშინებული ადამიანების თვალები დაენახა, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ, თავს დამესხანო.

„ჟუკი“ გამორთო, სარდაფის კარი გამოიხურა და გამოვიდა.

შუაღამისას დაბომბვა რომ განახლდა, კაპრალმა ბრძანება გასცა, დავიმალოთ და ცარიელ სახლებში ცალ-ცალკე დავიძინოთო.

კახა ისევ იმ სახლს მიადგა. სარდაფის კარს ზემოდან ჩასძახა:

**- ნუ გეშინიათ. კარი არავის გაუღოთ, მე ამაღამ აქ ვიქნები, ზევით დავიძინებ.**

დილით კვლავ დააცხრა ქალაქს ნაღმების გლეჯა-გრიალი და ავიაგამანადგურებლების ავი წუილ-სკდომა.

კახა ჯერ ქუჩაში გამოვარდა, მერე სასაფლაოზე შეუხვია, ავტომატი გადააგდო და საფლავებს შორის დამალვა სცადა.

სასაფლაოზეც ვერ დაიმალა.

სასაფლაოც დაბომბეს.

არადა იქ, სასაფლაოზე, ერთმანეთის გვერდით მშვიდად იწვნენ ოსებიც და ქართველებიც.

ჭურვისგან კედელშელეწილ საყდართან კაპრალს გადააწყდა.

**- რა ვქნათ, ბატონო კაპრალო!**

**- წაი, ბიძია, სახლში! თავს უშველე, დამთავრდა ომი!**

**- პირდაპირი გაგებით?!** - კახას ყელი გაუშრა.

**- კი... კი... მგონი, პირდაპირი გაგებით!**

კახამ ახლაღა შეამჩნია, რომ ამერიკულფორმიანი ბიჭები ეზოებიდან, შუკებიდან, სახლებიდან, ჯიხურებიდან გამორბოდნენ. გამორბოდნენ ქამარშეხსნილები, უავტომატონი, ზოგი ჯავშანჟილეტს ღობეზე ტოვებდა, ზოგი სამხედრო ფორმას ქუჩაშივე იხდიდა და ნიფხავ-პერანგისამარა გამორბოდა.

**- ბატონო კაპრალო!** - გზაში დაეწია კახა მარათონულ სირბილზე გადასულ კაპრალს **- სადაა უფროსობა?**

- **მცხეთაში, ხინკალს ჭამს!** - კაპრალმა გაიცინა კონტუზიანი კაცის საზარელი, კბილღრჭიალა სიცილით.

თვითმფრინავმა გადაიწუილა და ბომბი სულ ახლოს გასკდა.

იწვა ჭურვის ნამსხვრევისგან ფერდშელეწილი რეზერვისტი კახა ლაბაძე და შეყვარებულთან გუშინდელ საუბარს იხსენებდა. არა, ეს გახსენება არ იყო:

**- რომ არ წახვიდე?**

**- არ შეიძლება, რეზერვისტი ვარ.**

**- მითუმეტეს, თუ რეზერვში და თადარიგში ხარ, რას მიძვრები, კახა.**

**- დამალვისთვის 2000 ლარი ჯარიმაა.**

**- იცოდე, თუ დაგჭრეს, ჩემს სიცოცხლეში ხმას არ გაგცემ. სამ დღეში დაბრუნდი. დღეს ოთხშაბათია. კვირას აქ, ამ ადგილას დაგელოდები.**

**- კარგი.**

●

წითელ ხიდთან, აზერბაიჯანის საბაჟოსთან, ჯიპი გაჩერდა.

სამხედრო პირი ჯიხურისკენ გაიქცა. ჯიპ-მერსედესთა გამწკრივებულ ქარავანს თავში მოექცა და ბეჭემოთისსახიან დევნილს ყურში ჩასძახა:

**- დაბრუნდითო! თბილისში არ შემოვლენ.**

**... მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე 41 უცნობი ჯარისკაცი დაასაფლავეს.**

**ღმერთო, შეგცოდე და, თუ დაღუპვა ბიწერია, იქნებ უცნობ ჯარისკაცად დაკარგვა ჯობდეს.**

გოგოს მცირე იმედი მაინც დარჩა.

**რევაზ მიშველაძე**

ამერიკული პრესა ალაპარაკდა!

# ობამა, მიშა და დათვი

The New York Times

**ნიკოლას კრისტოფი**

**დაჭრილი ბოროტი დათვი მთებში დაეხეტება და ხალხს აშინებს. დათვმა ააოხრა ეს მშვენიერი ქვეყანა, კაპიტალიზმის აყვავებული ანკლავი, სადაც ეთაყვანებიან ამერიკას, სარგებლობენ საშემოსავლო გადასახადის ერთიანი შკალის სიკეთით და თითქმის თვალის დახამხამებაში ამოძირკვეს კორუფცია (გარკვეულწილად ყველა საგზაო პოლიციელის დათხოვნის წყალობით);**

მთავარ ქუჩას ჯორჯ ბუშის სახელი უწოდეს, რომელიც ამ ქვეყანას 2005 წელს ეწვია. ყველა ინგლისურს სწავლობს - ზოგჯერ ადგილობრივ „მაკდონალდსში“, და, როგორც ჩანს, ყველას უკვირს დასავლეთის დაეჭვება რუსეთის მიმართ მათი საქციელის გამო.

**„გვეგონა, რომ მათ თავი დავაღწიეთ, ისინი კი დაბრუნდნენ და ძალა იხმარეს ჩვენზე,** - ამბობს თბილისის ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი **ალექსანდრე რონდელი,** - დასავლეთში კი გვეუბნებიან, რომ ისინი ჩვენ მოვიწვიეთ“.

თანამედროვე საქართველოს არქიტექტორია მიხეილ სააკაშვილი. **მიშა - როგორც ყველა მოიხსენიებს - ახალგაზრდა, ნიჭიერი, ქარიზმატული პოლიტიკოსი, რომელმაც განათლება აშშ-ში მიიღო, მთავრობაშიც თავისნაირებს ილებს. ისეთი ბრწყინვალეა, თითქოს საქართველოს მთავრობის ნებისმიერი ჩინოვნიკი მის ამერიკელ კოლეგაზე ორჯერ ახალგაზრდაა, IQ კი ორჯერ მაღალი აქვს.**

ახლა, როცა ქართველები დათვისგან დაზარალდნენ აგვისტოს ხანმოკლე ომში, ისინი გამალებით მიისწრაფვიან **ნატო**-სკენ თავდასაცავად, და ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი პუნქტებიდან, რაზეც ობამასა და მაკ-კეინს წინასაარჩევნო კამპანიისას საერთო აზრი აღმოაჩნდათ, იყო საქართველოს ნატო-ში მიღების პროცესის გაგრძელების აუცილებლობა.

სინამდვილეში, ეს საშინელი აზრია. **არჩეული პრეზიდენტი ობამა რუსეთს ახლებურად უნდა მიუდგეს, თუ გვინდა, თავიდან ავიცილოთ ახალი „ცივი ომი“, ჩვენ კი უფრო ფხიზლად უნდა შევხედოთ მიშას.**

დაუკვირდით და დაინახავთ, რომ საქართველო სულაც არ არის დემოკრატიის მანათობელი შუქურა, როგორც ზოგჯერ ჰგონიათ ამერიკელებს.



**„ჟურნალისტებს აკრძალული გვაქვს იმაზე საუბარი, რაც სინამდვილეში ხდება,** - ამბობს ტელეჟურნალისტი **სოფო მოსიძე** - ქართული ტელევიზია არაფრით განსხვავდება რუსულისაგან. ეს სამთავრობო პროპაგანდაა“.

**მოსიძე გაბრაზებულია, რადგან ტელევიზიაში, სადაც იგი ერთი წლის წინათ მუშაობდა, შეიარაღებული სპეცრაზმელები შეიჭრნენ მაშინ, როცა ახალ ამბებს გადასცემდა. მისი სიტყვებით, სპეცრაზმელებმა გამორთეს ტელესიგნალი, შემდეგ კი რამდენიმე ჟურნალისტი სცემეს. მალე არხმა განაახლა მაუწყებლობა, მაგრამ უკვე სამთავრობო გახდა. უფრო მეტიც, დღეისთვის ყველა ძირითადი ტელეარხი, ფაქტობრივად, ხელისუფლებისგან კონტროლირდება.**

შემდეგ იყო აგვისტოს ომი. დღესაც კი ბოლომდე გარკვეული არ არის, როგორ დაიწყო, თუმცა, ერთი რამ აშკარაა:

მიშას ვერსია, თითქოს ეს იყო რუსეთის არაპროვოცირებელი შეჭრა, რომელმაც ქართველებს საკუთარი ტერიტორიის დაცვა აიძულა, - ნონსენსია.

**სინამდვილეში, ალბათ, ასე იყო: მიშას მობეზრდა რუსეთის გაუთავებელი პროვოკაციები** და აშშ-ის მხარდაჭერით გამხნევებულმა იმ ტერიტორიების დაბრუნების შანსი იგრძნო, რომელსაც რუსეთმა თვალი დაადგა. ეს იყო დიდი უგუნურობა და, Human Rights Watch-ისა და Amnesty Internationals-ის მტკიცებით, ქართული არმიამ (ისევე, როგორც რუსულმა) გამოიყენა კასეტური ბომბები, რის გამოც მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა.

**„ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა,** - *აცხადებს* **ნინო ბურჯანაძე** - *მიშას ყოფილი თანამოაზრე, რომელმაც ოქტომბერში ოპოზიციური პარტია შექმნა,* **- არასწორი გათვლების გამო ჩემი ქვეყანა ჩათრეული აღმოჩნდა ომში, რომელშიც გამარჯვების შანსი არ ჰქონდა“.**

რუსეთმა გამოიყენა ომი საქართველოს ერთ-ერთ განდგომილ რესპუბლიკაში, რათა შეჭრილიყო საკუთრივ საქართველოში, და რომ არა ამერიკისა და ევროპის ენერგიული პროტესტი, რუსული ჯარი თბილისის აღებასაც შეძლებდა.

მოგვიანებით შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა საქართველოსთვის მილიარდდოლარიანი დახმარების გამოყოფის შესახებ. უნდა გვახსოვდეს, რომ სამხედრო დახმარება ფულის უაზრო ფლანგვა იქნება, რადგან **ქართული ჯარი ვერასოდეს გახდება ისეთი ძლიერი, რომ წინ აღუდგეს რუსეთს.** თუმცა, ვაჭრობა და ინვესტიციები საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ წონას აძლევს და შეიძლება, შემდგომში რუსეთს თავდასხმის სურვილი გაუქროს.

**შენიშვნა ობამასათვის: ნატო-ს ფარგლებში ჩვენი ჯარების მიშასთან დაკავშირება საშინელება იქნება. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ საქართველო ვერ აკმაყოფილებს ნატო-ს წევრობის კრიტერიუმებს, რადგან სრულად ვერ აკონტროლებს თავის ტერიტორიებს, ამავე დროს ნატოზე საუბარი რუსეთში ნაციონალისტურ განწყობას აძლიერებს.**

**„საქართველოს მომავალი არ არის ნატო-ში,** - *ამბობს საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის აღმასრულებელი დირექტორი* **ემი დენმანი. - საქართველოს მომავალი - ეკონომიკური წინსვლაა. თუ ქართველები შეძლებენ ზრდის დღევანდელი მაჩვენებლის შენარჩუნებას, ისინი უსაფრთხოდ იქნებიან“.**

რადგან რუსეთი უპასუხისმგებლოდ იქცევა - შეგახსენებთ მის ბოლოდროინდელ მუქარას პოლონეთის საზღვართან რაკეტების განლაგების შესახებ - **ობამას ადმინისტრაციას ექნება ნატო-ს გაფართოების და შეიძლება ევროპის საჰაერო დაცვის უაზრო გეგმის განხორციელების ცდუნება** (არადა, ფულის უკეთ ხარჯვის მრავალი საშუალება არსებობს). **ამის ნაცვლად, უმჯობესია, ისევე ვითანამშრომლოთ რუსეთთან, როგორც ჩინეთთან - მაგრამ არ შევწყვიტოთ რუსების გაკიცხვა არაცივილიზებული ქმედებებისთვის.**

არ შეიძლება, ფხიზელი დიპლომატიის გატარების ნაცვლად უზრდელი დათვები გავაღიზიანოთ. **ჩვენ არ გვინდა, რომ ბარაკი ახალი მიშა გახდეს!**

**„ნიუ-იორკ ტაიმსი“**

**2007 წლის 19 ნოემბერი**

# მოვიშოროთ მითები საქართველოს შესახებ

ასე მოიქცა New-York Times; მის კვალდაკვალ ასევე მოიქცნენ ევროპელი დამკვირვებლები, BBC და NPR. მათ - და კიდევ მრავალმა სხვამ - გამოიძიეს 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთზე საქართველოს თავდასხმის გარემოებანი, ინციდენტისა, რომელმაც გამოიწვია რუსების ფართომასშტაბიანი შეჭრა საქართველოში 8 აგვისტოს.

**არ არის მთავარი დასკვნა? წამომწყები იყო საქართველო, მის სინდისზეა მშვიდობიანი მოქალაქეების სიკვდილი. ჩემი დასკვნა? ჩვენ ეს უკვე ვიცოდით. ასევე დიდი ხანია, ვიცით, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ახასიათებს დანაშაულებრივი გაბედულების გამოვლინებები.**

ერთი წლის წინ მან დაარბია დემონსტრაცია თბილისში, დააპატიმრა ოპოზიციის ლიდერები და ის ტელევიზიაც კი დაარბია, რომელიც რუპერტ მერდოკს ეკუთვნოდა - მაშინ ვწერდი, რომ ეს, ალბათ, არ არის საუკეთესო საშუალება, მსოფლიო მედიაში პოზიტიური რეზონანსი გამოიწვიო.

მეუბნებიან, რომ სააკაშვილს - რომელმაც მართლაც დაამხო ხელისუფლებაში მყოფი კორუმპირებული საბჭოთა ნომენკლატურა - მრავალი ღირსება აქვს. **თუმცა, მათ შორის არ არის სიფრთხილე, სიმშვიდე, მშვიდობიანი ხალხისა და დემოკრატიული ნორმების პატივისცემა.**

ეს ყველაფერი ჩვენც ვიცოდით და რუსებმაც. სწორედ ამიტომ თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამუდმებით აღიზიანებდნენ და აგულიანებდნენ ქართველებს, მათი თვითმფრინავების ჩამოგდებით, პოლიციელებისთვის სროლით, მათ სოფლებზე თავდასხმით - ეს ყველაფერი იმისთვის, რომ შეექმნათ კაზუს ბელი (თავდასხმის ფორმალური მიზეზი) სამხრეთ ოსეთში ან აფხაზეთში (საქართველოს კიდევ ერთი ნახევრადავტონომიური მინი-ანკლავი, რომელსაც რუსეთი აკონტროლებს). ხოლო როცა სააკაშვილმა ის გააკეთა, რასაც მისგან ელოდნენ, რუსები მზად იყვნენ. **როგორც აღნიშნა ერთ-ერთმა რუსმა ანალიტიკოსმა, მოსკოვის პასუხი არ იყო იმპროვიზირებული რეაქცია საქართველოს მოულოდნელ შეტევაზე: „ის სისწრაფე, რომლითაც რუსეთის მსხვილი კონტინგენტი შევიდა საქართველოში, შავი ზღვის ფლოტის ოპერაციული სწრაფი წინსვლა, მსხვილი კონტინგენტის გადასროლა აფხაზეთში, რომელსაც ქართველები თავს არ დაესხმიან - ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, მიუთითებს საბრძოლო მოქმედებების გულდასმით დამუშავებულ გეგმაზე“.** თუმცა, როგორც ჩანს, ერთ რამეში შეცდნენ. როგორც ერთმა რუსმა დიდჩინოსანმა ჩინოვნიკმა ევროპელ ასევე დიდჩინოსანს უთხრა, **„ჩვენ ველოდით ქართველების შემოტევას რვაში და არა შვიდში“.**

რა მნიშვნელობა აქვს: კარგად დაგეგმილი შეჭრის შემდეგ რუსულმა ჯარმა ააოხრა საქართველოს სოფლები, გამუდმებით ანადგურებდა პორტებსა და ქარხნებს, და ხოცავდა მშვიდობიან მოსახლეობას. მისი ტანკები ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში შევიდნენ, თითქოს თბილისის დანარჩენი ნაწილისგან მოწყვეტა უნდოდათ. თუმცა, საბოლოოდ **მათ არ აიღეს დედაქალაქი. ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ მათ სურდათ დაემტკიცებინათ, ამის გაკეთება შეუძლიათ, თუ მოინდომებენ - და შემდგომში გააკეთებენ.** ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა: რუსები სახლებში დაბრუნდნენ, თავი გამოაცხადეს სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დამცველებად, 20-ჯერ გააზვიადეს ცხინვალში დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქეების რიცხვი და გაკიცხეს სააკაშვილი, უწოდეს რა მას **„სოროსის კმაყოფაზე მყოფი ცეერუს მარიონეტი“.**

The Washington Post

**ენ აპელბაუმი**

ეს ყველაფერი დიდი ხანია, ცნობილია, მაგრამ, ვიმეორებ, რადგან მნიშვნელოვანია - არა ერთხელ, არამედ კვლავ და კვლავ - ყურადღება გავამახვილოთ ამ სიტუაციის ნიუანსებზე, წვრილმანებზე და მრავალრიცხოვან შრეებზე; მისი მოყოლა ტრანსატლანტიკურ სიტყვიერ ომში პროპაგანდის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. მოსახერხებელია, წარმოსახო საქართველო პატარა, მამაც და უმანკო დემოკრატიულ ქვეყნად, რომელიც ამაყად შეეწინააღმდეგა ბოროტ რუს დათვს, - როგორც მაშინ აკეთებდა ზოგიერთი. **„ჩვენ ქართველები ვართ“,** - განაცხადა ჯონ მაკ-კეინმა. ასევე მოსახერხებელია, წარმოსახო საქართველო მცირე დიქტატურად, ამერიკელი ნეოკონსერვატორების ბოროტ ლაქიად და დიდი სამხედრო დამნაშავის პირად საკუთრებად, - როგორც ზოგიერთი აკეთებს ახლა. უფრო მეტიც, მათთვის, ვინც ისწრაფვის, „საქმე აწარმოონ რუსეთთან ადრინდებულად“, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო იყო იმის აღმოჩენა, რომ ბრალი, პირველ რიგში, ედება საქართველოს.

სამწუხაროდ, არცერთი გავრცელებული ვერსია არ არის ზუსტი, და ასეთად ვერ აქცევს ვერცერთი „გამოძიება“ და „აღმოჩენა“, რომელიც აგვისტოს ომს შეეხება. **სამხრეთ ოსეთზე სააკაშვილის თავდასხმა იყო კატასტროფა, რომელიც გააღრმავა პრეზიდენტის ორგანიზებულმა შემდგომმა ტრაბახა**



**ზარ-ზეიმმა, რუსების აღმაშფოთებელი პასუხიც საშინელი იყო - როგორც ქართველებისთვის, ისე რუსებისთვის, რომლის მეზობლებმა** (და ინვესტორებმა) **ახლა ზუსტად იციან, რას უნდა ელოდონ მედვედევ-პუტინის რეჟიმისგან.**

ეს არადამაკმაყოფილებელი, ბუნდოვანი სურათი რთული დასკვნებისკენ გვიბიძგებს, სხვანაირად არც შეიძლება.

**უახლოეს ხანებში ქართველებმა უნდა მოახერხონ, რომ სააკაშვილი არავინ მოკლას ან ჩამოაგდოს გადატრიალების შედეგად რუსების ხელშეწყობით.** ხოლო უფრო შემდგომ კი **ქართველებმა უნდა აირჩიონ ისეთი ლიდერი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას.** მანამდე კი დასავლელმა ლიდერებმა მხარი უნდა დაუჭირონ ქართულ დემოკრატიას და არა კონკრეტულ ქართველ დემოკრატებს და მოამზადონ ერთიანი პასუხი რუსების მომავალ სამხედრო ესკაპადებზე. ხოლო სანამ პროპაგანდისტული ომი მძვინვარებს, ყურადღებით დააკვირდნენ გვერდიდან.

**„ვაშინგტონ პოსტი“**

**2008 წლის 20 ნოემბერი**









სტუმრად ქეთი ხამიცაშვილის კინო-დარბაზში

# ᲐᲑᲘ ᲒᲚᲣᲙᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲦᲔᲡᲐᲐ!

**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ**, *მსახიობი:*

- **ვასილ ჩხაიძე ჩემი მამობილი იყო. შვილთან ერთად ვერის უბანში, ზემელზე ცხოვრობდა.** „არაჩვეულებრივი გამოფენის" გადაღების დროს გავიცანით ერთმანეთი. ფოთის თეატრის მოყვარული მსახიობი იყო, თან სკოლაში ასწავლიდა გერმანულ ენას. **ᲛᲔ** და **ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐᲛ** იგი გურიაში, სოფელ აცანაში „აღმოვაჩინეთ" - აივანზე საუთოო მაგიდა ჰქონდა გაშლილი და შარვალს აუთოებდა - აუჰ, ელდარ, ნამდვილი **პიპინიაა-მეთქი,** ვთქვი. შემდეგ იყო **„ᲨᲔᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲘ" - ქრისტეფორე, სხვა როლები.** მახსოვს, ბოლოს ახალ წელს ერთად შევხვდით ჩემს სახლში. მაშინ მამაჩემიც ცოცხალი იყო. იმავე ღამეს **ჯანო კახიძის** მამასთან ვიქეიფეთ. უმრავლეს როლებში **ეროსი მანჯგალაძე** ახმოვანებდა, მაგრამ თვითონაც საოცარი ხმა ჰქონდა. მაგალითად, „პირველ მერცხალში" თავის პერსონაჟს თავად ახმოვანებს... **ვასილ ჩხაიძე დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე, გარდაიცვალა მისი ერთადერთი ვაჟიც - გოგი (სხვათაშორის, გოგი ჩხაიძე თამაშობს ფილმში „ცისფერი მთები ანუ ტიანშანი", ხომ გახსოვთ რედაქციის თანამშრომელი, ფირფიტებს რომ უსმენს და ფრანგულს მეცადინეობს). გული მტკივა, რომ ვასილ ჩხაიძის საფლავი მოსაპირკეთებელია. იქნებ, კინოკავშირმა იზრუნოს ამაზე. ვასილ ჩხაიძეს მემკვიდრე არ დარჩა, ისეთი მეოცნებე კაცი იყო, როგორიც „ᲨᲔᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡ" ფილმის გმირია...**



ᲔᲠᲗᲐᲝᲖᲘ – ᲓᲐᲗᲝ ᲥᲚᲔᲜᲢᲘ

**ᲑᲘᲐ ᲬᲘᲤᲣᲠᲘᲐ**, *ბორის წიფურიას ძმისშვილი:*

— **როგორც ბატონი ელდარისგან ვიცი, ხუტას როლზე არაერთი ცნობილი მსახიობი გაუსინჯავთ. სასინჯ გადაღებებზე მისულებს კოსტიუმებს ურჩევდნენ ჯგუფის ორგანიზატორები. ბორისს ეს კოსტიუმები არ მოსწონებია, სტუდიის გარდერობში თვითონ შეურჩევია ის ტანსაცმელი, საგრიმიოროში ულვაშებიც გაუკეთებია და ბაკენბარდებიც. ელდარი აღფრთოვანებული დარჩენილა. ფილმში ბორისი 40 წლისაა. ჩემთვის დიდი დანაკლისია მისი გარდაცვალება.** ინფარქტი მოუვიდა, უფრო სწორად, ფილტვი არ გაეხსნა, რამაც ინფარქტი გამოიწვია. ნაოპერაციევი გული ჰქონდა, ბევრს ეწეოდა. ბოლო ორი კვირა ჩემი მეუღლე უვლიდა, არ მოუწევია, შედარებით გამოკეთდა. შემდეგ აბასთუმანში გაემგზავრა. იქ ისევ დაუწყია მოწევა. იმ საღამოს, სანამ გარდაიცვლებოდა, ჩემს მეუღლეს დაურეკა, ვერ ვარ კარგადო, უთქვამს. მაგრამ ცოტა ხანში ისევ შეხმიანებია: — არ წამოხვიდე, წამალი დავლიე და უკეთ ვარო. ღამე ცუდად გამხდარა, სასწრაფო თვითონ გამოუძახებია, „03"-ის ბრიგადას მორფინი არ ჰქონია, მათვე გამოუძახებიათ „კარდიოექსპრესი"...

**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, *კინოდრამატურგი:*

— **40 წლის ვიყავი, როდესაც ამ ფილმში მიმიწვიეს. თავიდან ელდარს გადაღებაზე უარს ვეუბნებოდი — არტისტი არა ვარ-მეთქი.** ან შენ გადაგიღებ, ან შენს ძმასო — მითხრა. ბოლოს მაინც მე გადამიღო. ის სახლი, სადაც მარგალიტა და ტრიფონი ცხოვრობენ, სოფელ მუხრანშია გადაღებული, თავადის სახლის ეზოში. იმ ეპიზოდის გადაღების დროს, კარტოფილებს რომ ვესვრი ქრისტეფორესა და ერთაოზს, გლეხებთან ჩხუბიც კი მომივიდა. კარტოფილმა შიფერები დაგვიმტვრიაო, გაიძახოდნენ. რა უნდა გვექნა, გადავიხადეთ იმ შიფერების ფული.. უკვე 74 წელი შემისრულდა, „მიხაილოვის" საავადმყოფოსთან ახლოს მდებარე **მთავარანგელოზის ეკლესიაში წირვაზე ვმსახურობ, დიაკვანი გახლავართ. ვლოცულობ ყოველი ქართველის კეთილდღეობაზე, ჩვენს სამშობლოზე.**

**ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲥᲚᲔᲜᲢᲘ**, *დავით ქლენტის და:*

- **ჩემი ძმა ამ ფილმში 19-20 წლის ყმაწვილია. ბავშვობიდანვე კინოთი იყო გატაცებული. ბატონმა ელდარმა ფილმში რომ მიიწვია, სიხარულით ცას ეწია, შემდეგში ისევ ელდარი დაეხმარა მას და თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა.** სამ ფილმშია გადაღებული. ერთხანს გლდანში კინოთეატრის დირექტორი იყო, მაგრამ, ყველაფერი აირია, ცხოვრება გაჭირდა. ახლა უმუშევარია. ექიმი მეუღლე ჰყავს, სამი შვილი. უფროსმა უმაღლესი დაამთავრა, შუათანა — სტუდენტია, უმცროსი მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა. ყოველ წელს ჩამოდიოდა ოზურგეთში ჩემთან, მაგრამ ახლა ჩამოსვლა ვერ მოახერხა. განვიცდი მის მდგომარეობას, **ხუთი დედმამიშვილი ვართ, დათო ჩემი მშობლების ნაბოლარა შვილია, უკვე 53 წლისაა.**



ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ – ᲕᲐᲡᲘᲚ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ



ᲢᲠᲘᲤᲝᲜᲘ – ᲛᲔᲠᲐᲑ ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

**„შერეკილების" ნახვის შემდეგ ცნობილმა იტალიელმა კინოვარსკვლავმა ჯინა ლოლობრიჯიდამ აღფრთოვანება ვერ დამალა: „მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ ვნახე ელდარ შენგელაიას „შერეკილები". ეს ფილმი საბჭოთა ფილმის გამარჯვებაა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მსახიობი ბორის წიფურია".**



ᲐᲑᲠᲔᲙ ᲤᲮᲐᲚᲐᲫᲔ



ᲮᲣᲢᲐ ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ – ᲑᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲤᲣᲠᲘᲐ

***ჩვენი სტუმრები არიან «შერეკილების» დრამატული გმირები — შეუდარებელი ერთაოზი, პატიოსანი მხალი ქრისტეფორე, ტრიფონი და მარგალიტა და ციხის უფროსი ხუტა, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს შემოვიდნენ ჩვენს ცხოვრებაში და აღარ მიგვატოვეს...***



**ᲐᲑᲠᲔᲙ ᲤᲮᲐᲚᲐᲫᲔ**, *მსახიობი:*

— **ფილმში ელდარმა მიმიწვია, სინჯებიც არ გამივლია, როლზე ისე დამამტკიცეს. სცენარის მიხედვით, ჩემი გმირი ყველა პაციენტს ერთსა და იმავე წამალს უნიშნავს. ელდარმა მკითხა, იქნებ რაღაც წამლის სახელწოდება მოიფიქრო, კარგად იცნობ მედიცინას, კარაბადინსო. კარაბადინში, მაგალითად, ნახსენებია — ᲐᲑᲘ ᲗᲣᲠᲑᲣᲗᲘ-ᲛᲔᲗᲥᲘ... ჩვენს საუბარს რეზო გაბრიაძე ესწრებოდა. უცებ ჩაერთო ლაპარაკში და თქვა: ᲐᲑᲘ ᲒᲚᲣᲙᲝᲖᲐ! ასეც დარჩა ფილმში — ᲐᲑᲘ ᲒᲚᲣᲙᲝᲖᲐ! ნოშრევანის საავადმყოფოს ტერიტორია გადაღებულია მუხრან ბატონის სასახლის ეზოში, ნოშრევანის შლაპა დღესაც სახლში მაქვს შენახული. ამ ფილმში 50 წელს გადაცილებული ვარ, ახლა 88 წლის გახლავართ. დღესაც გატაცებული ვარ სპორტით, მედიცინით.**

**ᲐᲠᲘᲐᲓᲜᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ**, *მსახიობი:*

- **ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გმირია მარგალიტა „შერეკილებიდან".** მიყვარს როგორც კლასიკური, ისე სახასიათო როლები. მოსკოვის მკვიდრი ვარ, მაგრამ ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოში გავატარე. ბოლოს ფილმში 1997 წელს გადამიღეს. ახლა, როგორც იქნა, სოფელში ხის სახლი ავაშენე. სიამოვნებით ვმუშაობ ჩემს ნაკვეთში. **მიწა ხომ სიწმინდისა და სიმართლის სიმბოლოა. ბევრი ადამიანი დაუბრუნდა სოფელს, რწმენას. ასე მგონია, ამაშია პიროვნებისა და მთელი ერის განწმენდის დასაწყისი.**



ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲐ – ᲐᲠᲘᲐᲓᲜᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ

## ᲗᲔᲛᲣᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ:

# ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲘ!

**ᲗᲔᲛᲣᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი ხელოვნებით ხალხის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურეს. მისი ყოველი გამოჩენა სცენაზე ზეიმია, მისი სიმღერა მსმენელთათვის - სულის მალამო. თვითონაც სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, გულშემატკივარი, გაჭირვებულთა შემწეა. ახლაც არაერთ ლტოლვილს გაუწია დახმარება, გაიზიარა მათი ტკივილი, ავადმყოფებს წამლის შესაძენი თანხა გადასცა. პირადად ვნახე ეს ყველაფერი. ასეთი უანგარო და გულწრფელი ადამიანი იშვიათად შემხვედრია.**

- საქართველოს ტკივილი ჩემი ტკივილია. განვიცდი მის მძიმე მდგომარეობას - თითქოს მე მგლეჯენ ხორცს. მთელი ცხოვრება ჩემს სამშობლოს ვუმღერი, ვეფერები. სანამ ომი დაიწყებოდა, მეგობარმა საფრანგეთში დამპატიჟა, ნიცაში. ოჯახთან ერთად გავემგზავრე. იქ გავიგე ჩვენთან დატრიალებული უბედურების შესახებ. მეორე სამშობლო მე არა მაქვს. იმ დღესვე გადავცვალე ბილეთები და უკან გამოვემგზავრე. ცოლ-შვილი მაინც არ წაიყვანოო, ჩემი ახლობელი მეუბნებოდა, მაგრამ თვითონ მათ არ ისურვეს სამშვიდობოს დარჩენა - ერთად დავბრუნდით. არ მიომია, მაგრამ ჩემს ლტოლვილებს მხარში ამოვუდექი.

**- თქვენი სიმღერა „იყიდება საქართველო" წინასწარმეტყველებად ექცა ჩვენს ქვეყანას...**

- ვეღარ დაწყნარდა საქართველო - რა არის ასეთი, რომ ვეღარ გაიყიდა... ჩვენი გაქრობა უნდათ, მაგრამ ვერ გაგვაქრობენ! „იყიდება საქართველო" 1987 წელს ვიმღერე. ეს იყო უბედნიერესი წუთები ჩემს ცხოვრებაში, როდესაც ფილარმონიის დარბაზში ორი ათას ხუთასი კაცი ფეხზე იდგა ანთებული სანთლებით. ეს სიმღერა შეიქმნა მიუზიკლ „ფიროსმანისთვის" - ფიროსმანს უნდა ეთქვა მძიმე სათქმელი. მორის ფოცხიშვილის ნაფიქრი და ნაწვალებია ეს ლექსი. იქ ეწერა კიდევ ასეთ რამ: **ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ, ᲐᲭᲐᲠᲐ.** გავჯიქდი, ეს არა თქვა-მეთქი. **ᲔᲰ, ᲨᲔᲜ ᲠᲐ ᲘᲪᲘ, ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘᲝ.** ჭკვიანი კაცი იყო, იცოდა ყველაფერი. ბოლოს სხვას დავაბრალეთ ეს გამყიდველობა, სხვას მივაწერეთ: „ყიდის არაბი თუ მონღოლი", - ასე ვთქვით. მახსოვს, როგორ მოხვდა ხალხს გულში მართალი სიტყვა. მერე ტელევიზიაშიც აკრძალეს ამის გაჟღერება - ეტყობა, სიმღერა ცეცხლზე ნავთს ასხამდა. თვითონ „ფიროსმანში" როდესაც აჟღერდა „იყიდება საქართველო", ისე ჩანდა, თითქოს ფიროსმანი საკუთარ თავს დასტიროდა.

**- ამ როლის გამო ოცდაერთი დღე გიშიმშილიათ კიდეც...**

- დიახ, გადავწყვიტე, მეშიმშილა. მინდოდა, მიმეღწია იმ ფიზიკური და სულიერი მდგომარეობისთვის, რასაც ფიროსმანი განიცდიდა. ავლაბარში მივედი ერთ მეთევზესთან - ლადოსთან (თევზი და ხიზილალა მაშინ არ იშოვებოდა. მას სულ ჰქონდა), შენი სახლის კიბის ქვეშ უნდა დამაძინო-მეთქი. მივიტანე ნაბადი, გადაწყვეტილი მქონდა, ორი-სამი ღამე დავრჩენილიყავი. - სანამ კიბის ქვეშ შეხვალ, სახლში შემოდიო, - მიმიპატიჟა. გავიარე დერეფანი. უცებ სინათლე აინთო და რას ვხედავ: გაშლილია სუფრა, ერთი ორმოცი კაცი ფეხზე დგას. ესენი იყვნენ იმუბნელები, ლადოს მეგობრები, მეზობლები, მედუდუკეები. უცებ აღმოვჩნდი ფიროსმანის ეპოქაში. ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება - აქ დავინახე ფიროსმანი, მთელი მისი ცხოვრება. სახლში დაბრუნებულმა უკვე ვიცოდი, როგორ გამეცოცხლებინა ჩვენი დიდი მხატვარი. ოცდაერთი დღე მარტო წყალი ვსვი, ვკითხულობდი სახარებას, ფიროსმანის ბიოგრაფიას, განვიცადე მისი დიდი ხელოვნება. ერთს მივხვდი - ხელოვანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, მხატვარია თუ მომღერალი, მთავარია საქმისადმი პასუხისმგებლობა, თავდადება. **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ „ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲔᲑᲘ" ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲧᲝᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ.** გული მწყდება ჩვენი ქართული ბედოვლათობის გამო - ერთმა კაცმა ოთხასი თუმანი ჯიბეში ჩაიდო, წავიდა და, ფიროსმანი ვერ ვიპოვეო, შეგროვილი ფული არ გადასცა. სად უნდა ყოფილიყო: ან - დუქანში, ან - იმ კიბის ქვეშ.

**- ბატონო თემურ, ამბობენ, მომღერლები ხელისუფლების მძევლები არიანო. თქვენ კონცერტებზე არ ჩანხართ...**

- ჩემთვის არავის დაუძახია. ორმოცი წელია, ხალხს ვემსახურები. მე არ ვყოფ მათ პოზიციად და ოპოზიციად - ყველა ისინი ქართველები არიან, ჩვენი ქვეყნის შვილები. **ᲐᲠᲪ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲐᲠᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲔᲠᲗᲡ ᲛᲘᲕᲔᲛᲮᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲢᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝ. ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲪᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲫᲚᲔᲑ ᲨᲕᲘᲚᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲣᲜᲓᲝᲗ.** თუ ვინმე მტერია, მაშინ უნდა დაისაჯოს - მტერს თავი უნდა მოჰკვეთო! ჩვენ ერთნი ვართ, ბედკრული საქართველოს შვილები. რაღაც ეშმაკი გვსპობს, ერთმანეთს წაგვკიდა. ერთმანეთის გვეშინია. განა შეიძლება, ოჯახში ეშინოდეს ცოლს ან შვილს?! საქართველო ხომ ერთი დიდი ოჯახია. **ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲕᲠᲔᲙᲓᲘ ᲖᲐᲠᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ. ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲨᲔᲕᲗᲮᲝᲕᲓᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲥᲕᲐ: ᲠᲐ ᲓᲐᲒᲘᲨᲐᲕᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲬᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ?!** გავაღვიძოთ ჩვენში სიყვარული და არა მტრობა. ეტყობა, თვითონ მსოფლიოშია რაღაც სიმძიმე. თავს ნურავის მოვატყუებინებთ. ვიყოთ რწმენით და **„ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲧᲣᲗᲡ"** - ტელევიზორს, რომელსაც ათქმევინებ რასაც გინდა, სიმართლის რელსებიდან თავს ნუ გადავაყვანინებთ.

**- ბევრმა მომღერალმა უარი განაცხადა რუსეთში მიწვევაზე. თქვენ თუ იმღერებდით რუსი მსმენელისთვის?**

- მე წავიდოდი და ვიმღერებდი. რაც სათქმელია, პირში უნდა უთხრა. **ᲩᲕᲔᲜᲪ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲡᲪᲔᲜᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲐ.** შენ ავტომატი გიჭირავს? - მე ავტომატზე უარესი - **ᲡᲘᲢᲧᲕᲐ!** მუსიკაში ჩაქსოვილი სიტყვა უძლიერესი იარაღია. ხომ ვისაუბრეთ - რატომ არ უნდათ, რომ „იყიდება საქართველო" ვიმღერო? იმიტომ რომ იარაღია! იგი აფხიზლებს, დააფიქრებს ადამიანს - **ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ?**

ხუთი წელია, რუსეთში არ ვყოფილვარ, არც მეძახიან. **ᲬᲐᲕᲘᲓᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ. ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲑᲐᲑᲣᲢᲕᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ.** მტერი გვერდით უნდა გყავდეს და თვალებში უყურო, უნდა იცოდე, რას აკეთებს. შორს თუ არის, შეიძლება რაღაც მოგიხერხოს და დაგამარცხოს. ვერ გაიგებ, რას აპირებს. ბევრ ცნობილ ლიდერს ამიტომ ჰყავდა მტრები ყველაზე ახლოს. მჯერა, ჩვენი სიმღერებით რუსიც და ქართველიც დაფიქრდებოდა მომავალზე. აგერ სახლში ორმოცი სიმღერა მაქვს ჩაწერილი - ვწერ და თაროზე ვაწყობ. ვიცი, არ გაუშვებენ და იმიტომ - სხვა თემატიკაა, ღრმა ფილოსოფიური. მე ვარ კომბლე, ვთლი კომბლებს და ჭერში ვაწყობ, იქნებ როდისმე გამოდგეს.

მე და გივი ბოლაშვილმა ჩავწერეთ სიმღერა, რომელიც ჩვენს პატრიარქს მივუძღვენით. კახა კახაბრიშვილმა გადაიღო კლიპი. მივალთ პატრიარქთან და მივართმევთ. **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲠᲝᲛ ᲰᲧᲐᲕᲡ.** დღეს ის არის მიჩნეული ჩვენს ერთ-ერთ მფარველად და გადამრჩენად. მისი ქმედება არც რევოლუციაა, არც გადატრიალება, ის ხალხს აძლევს იმედს. და ეს არის ყველაზე მთავარი. ომი არ გვჭირდება. მკვლელობა არ დაუშვია უფალს, გიყვარდეთ ერთმანეთიო, ბრძანა.

უფალმა მოგვცა ჩვენი ცხოვრებისთვის მზა რეცეპტი: „ათი მცნება" არც ისეთი რთული შესასრულებელია, რომ ვერ შევძლოთ. ერთმანეთის სიყვარულშია შველა. განსაცდელს რომ გვიგზავნის უფალი, ეს კარგია. უნდა გადავლახოთ და გავძლიერდეთ. ვაი მას, ვინც ბოროტებას სჩადის, სხვას ჩაგრავს. ეს უკვალოდ არ ჩაივლის მის ცხოვრებაში. ეს ცხოვრების კანონია, უნდა გვახსოვდეს...



იგი არ ფიქრობდა გზაზე, იგი ფიქრობდა უკვე ნათელზე, ფერადოვანი ღრუბლების სიქათქათეზე და არა ჭუჭყზე, საიდანაც მოდიოდა, ღრუბლებზე, რომელიც არათუ თქეშით, არამედ თბილი სხივ-ჩქერალების ჟინჟღლით უკურნებდა წყლულებს და ჭუჭყს ჩამორეცხავდა. იგი ოცნებობდა ცისარტყელასთან თამაშზე, ზღვის ნიავი რომ სულს ჩაუდგამდა მომაკვდავს. ზღაპრული ჩიტები უგალობდნენ მის ბავშვურ პატიოსნებას და აღარ იქნებოდა მის შეგნებაში არაფერი ცუდი. მზე ყოველ დილით გაუღიმებდა და ლოყაზე აკოცებდა მისი სხივები და ერთობ გაათბობდა სითბომონატრებულს. საღამოთი კი ნამგალა მთვარე ძილისპირს უმღერებდა და ვარსკვლავებს დაასიზმრებდა.

ისე მოენატრა ბავშვს ძილი, რომ მთლად გადაავიწყდა ტკივილებიც და სიცივეც და დედის მკლავებში მიდო თავი. თვალები მიაფარა სიბნელეს და მალევე მიეცა ძილს. ძილმაც სიზმრების ტალღებში გადააცურა ბავშვის დაღლილი გონება და სუნთქვასავით მშვიდმა უცხოობამ შეიფარა მისი ნატანჯი გონება. ბავშვი მშვიდადვე სუნთქავდა და იხილა სინათლე.

ბავშვი სიზმარმა ვერძად აქცია, მზესთან მოთამაშე ვერძად. ახლა იგი ოქროს საწვიმისი იყო და ოქროს აფრქვევდა. ზესკნელითგან იყო მოვლენილი, თითქოსდა მთელს უსასრულობას სივრცეში ვერძის თვალებით ჭვრეტდა. ასე კარგად არასოდეს უგრძვნია თავი, არასოდეს განუცდია სხეულის ასეთი სიმსუბუქე. სულმა სრული ნეტარება განიცადა, უმზერდა რა ქვემოთ განფენილ თეთრ ფაფუკ ღრუბლებს და ზემოთ უცნაურობამდე განსპეტაკებულ კოსმიურ ჰარმონიას, შორეთში რომ ფერად წინწკლებად ელავდნენ ვარსკვლავები. მეტეორები მაშხალებივით იფრქვეოდნენ ვერძის თავზე და ოქროვან მიზიდულობას ანიჭებდნენ მას. მზე მნათის წვიმებში ათამაშებდა, მთვარე კი სიმშვიდის მომხიბლაობას ანიჭებდა. დაცურავდა ოქროს ვერძი არაადამიანურ სივრცეში და მას უხაროდა, რადგან სიზმარში არ არსებობდა წუხილი, ფილტვები თავისუფლად სუნთქავდნენ მთელი სამყაროს ჰაეროვნებას. ეს სიზმარი სიხარულის წყურვილი იყო, იმდენად ჩარჩა გონებას. ტკივილის მარწუხებისაგან გათავისუფლების სურვილით უსმენდა რაღაც ჯადოსნურ ჰანგებს და მან არ იცოდა საიდან მოდიოდა ის, მაგრამ გრძნობდა, რომ ჰანგები სწორედ მისთვის იყო განკუთვნილი. სიზმარახდენილივით ცდილობდა მეტი სიამოვნება გამოეტანა ზმანებიდან, რადგან ბინდს მიღმა დარჩენილი კოშმარი დიდხანს არ მისცემდა საშუალებას დამტკბარიყო სრული შვებით. ლაღი და გულადი იყო სიზმარში და მან არ იცოდა სიზმარში შიშის გემო, შიშს გამოექცა სიცხადიდან, და მიტომ,- და თავს გრძნობდა თავშესაფარში - ისე, როგორც დაბადებისას, როცა დედის მკერდზე თბილად მიხუტებულს არაფერი ადარდებს, გარდა შიმშილისა, რომელსაც მალევე იკლავს. თითქოს ყველაფერი ახარებს. ახარებს, თან სწყინს, ტირილს იწყებს, ტირილს გულის წასვლამდე, სანამ დედა არ შეუძახებს, არ დაუყვავებს, ტკბილ ტუჩებს არ შეახებს მის პატარა შუბლს, არ ეტყვის ტკბილ სათქმელს, მერე კი იყურებს და თვალებს ჭყეტს და იცის, რომ არც სიზმარში და არც სიკვდილში მას დედა თან არ ეყოლება, სიზმარშია, და მიტომ.

იგი ღმერთთან ლაპარაკობდა, ღმერთის ხმა ესმოდა და ამით უსაზღვროდ ბედნიერი იყო. მან იცოდა უკვე, რომ ღმერთი ისეთი არ იყო, როგორც ელადელები ხატავდნენ და თხზავდნენ. იგი უფრო კეთილი, სამართლიანი და ყოვლისმომცველია და ფიქრობდა გალვიძებას, რათა ყველასთვის ეუწყა ამის შესახებ, დავიწყებოდა რა სიზმრის სიტკბოში თავისი სიცხადისმიერი ტანჯვა. ამიტომ სიზმარმა ოქროს ვერძად აქცია და იგი შორეული სამშობლოს ერთი მშვენიერი ჩანჩქერის ქვეშ ცხრამუხას საკურთხეველზე იყო და მას დარაჯობდნენ ცეცხლისმფრქვევლები. საწმისად მოვლენილმა ბედნიერება აწვიმა კოლხეთს. მეფე და ქურუმი თავს ევლებოდნენ. სეფე-ქალები ეალერსებოდნენ და უფლისწულები მუხლს იდრეკდნენ მისი დიდების წინაშე. შორიდან ზღვის მონაბერი ნიავი ელამუნებოდა სასუნთქს და მიმზიდველი მარილოვანი ჰაერით ივსებოდა სხეული, იფიქრებდი, რომ ზღვის ნაზი ტალღები იწვევენ საწვიმისად საწმისს ოქროს წვიმების საწვიმრადაო. და იყო სილაჟვარდით მოსილი და დიადემად ეფინა ერთი პატარა ოქროსფერი ღრუბელი ქუთქუთა ოქროს ვერძის ნიშნად და ამ ღრუბელში დაბუდებული სისპეტაკე მარადი გაზაფხულად ეპკურებოდა კოლხეთის მიწას. ყველა ნადირი, ყველა ფრინველი, ყველა ქვეწარმავალი, ყველა მწერი და ყველა თევზი მოდიოდა ზოგი ვაშას ჭალიდან, ზოგიც კიდევ ფაზისიდან ოქროს ვერძის ჩანჩქერთან და ეწაფებოდნენ მადლიან წყალს და ეზიარებოდნენ ოქროს ვერძის საშუალებით ღვთიურობას. ასე გადიოდა ჟამსაქცევარის ტკბილი ფეერია.

მაგრამ, საიდან არ იყო, მეზღვაურები მოეძალნენ კოლხეთს. ოქროს ვერძი გულის ფანცქალით ისმენდა მეზღვაურთა მეთაურის მოთხოვნას, ოქროს საწმისი დამითმეთო. მან იცოდა, რომ მეფე ვერ შეელეოდა თავისი სულის საბუდარს და გულის მესაიდუმლეს. გული კი ცუდს უგრძნობდა ვერძს და სურდა მეფისთვის გაეზიარებინა თავისი გულისნადები. ყველაფერი კი დროის რაღაც უმოკლეს მონაკვეთში მოხდა - ცეცხლისმფრქვევლები დააძინეს და იგი გაიტაცეს და ყველაფერი სეფექალის წყალობით. შეკრთა საწმისი, უცხო ხელი რომ იგრძნო სხეულზე და თავისი ღვთაებრივი ელვარება გაფანტა და აპკურა ოქროს საწვიმისმა ოქროს წვიმად მადლი ღალატით დაჩაგრულ მიწას და არ წაიღო გადასაკარგავში სწორედ ის, რისთვისაც მოვიდნენ ქურდები კოლხეთში. და უთხრა ვერძმა სეფექალს:

„მე დავიბერტყე ჩემი განსაკუთრებულობა და გავფანტე ამ მიწაზე, რათა გადამთიელებს არ რგებოდათ მადლი, რადგან ულირსად დამიპყრეს მე... და შენც“.

„ჰოდა, წყევად დამიტოვებია ჩემი სიტყვა,- უთხრა სეფე-ქალმა ვერძს,- ეძიებდნენ ამ მადლს კოლხთა მოდგმაში და ვერ პოულობდნენ და ვინც იპოვის, შენსავით განდევნილ იქნეს ამ მიწიდან. ერთმანეთს უყურებდნენ და ვერ სცნობდნენ, ქურდებად მოსულნი კი „ერთმანეთად“ ალიქვან. არც იმ ქურდს ჰქონდეს შენძიერი ოქროს მოპოვების იმედი. შენთან ყველაზე ახლოს მოსულ ქურდს ბედისწერის ლახვარი დაეცეს და განგმიროს. ასე ყოფილიყოს დღეის იქით დღის ბოლომდის, რადგან მეც მსურდა დაცვა შენსავით. უამრავი პატრონის გარემოცვაში უპატრონო და მიუსაფარი დავრჩი. იქ, იმ გადამთიეთში რა ბედი მოგველის, თუ იცი?!!“.

„ვიციო“,- უპასუხა დანანებით ვერძმა.

„თავდახსნის სხვა გზა ხომ არ არისო?!!“- იკითხა სეფექალმა.

„არაო“,- დაუდასტურა ოქროს საწმისმა.

„მაშ წავედითო,“ - თქვა მედეამ. ხელი მოკიდა ოქროს ვერძს, გადასცა იგი ქურდს და წავიდნენ.

ქურდებმა ისინი გემზე შესვეს, ყველაზე გამოსაჩენ და საპატიო ადგილას ვერძს მიუჩინეს ბინა, ნიჩბები მოიმარჯვეს და გზას გაუდგნენ. მიცურავდნენ ფაზისით და მედეა და ოქროს საწმისი ეთხოვებოდნენ მშობლიურ ალაგებს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერასოდეს ველარ იხილავდნენ მშობლიურ სავანეს. გონება დაძაბა ვერძმა, რათა მეხსიერებაში ღრმად ჩამჯდარიყო ხსოვნა სამშობლოსი. თვალსაწიერს მიეფარა აია-ქალაქი. ამის შემდეგ, გაიარეს რა აია-ქალაქიდან ორასიოდე სტადიონის მანძილი მდინარით, გავიდნენ ზღვაში. საიდან არ იყო, იქიდან გამოჩნდა მდევარი და გულშემატკივარი, მაგრამ ვერც მათ უშველეს- მდევარი მოკლეს. სანაპიროს ზოლი ნისლში იმალებოდა და არ უყურებდა გემს, მხოლოდ შუქურა ანათებდა ღამღამობით, ვიდრემდის ღია ზღვაში არ გავიდნენ მგზავრები და თვალს არ მოეფარა ნაპირი. ნაოსნებს წვიმა წამოეწია. და ალელდა პონტო და თავის ზვირთებში ათამაშებდა გემს, მზე კიდევ ნაცრისფერი ღრუბლებიდან იმზირებოდა დროდადრო. იგი ჯერ კიდევ სიცივის ფერადოვნებას აძლევდა ზღვაურ სივრცეს. გემი კი მიცურავდა სიცივის შეგრძნების მიუხედავად. ზღვაოსნები მღეროდნენ შორეული ნაპირების საოცნებო ქალწულზე და ნიჩბებს დაუღალავად უსვამდნენ ტალღებს. ღამით შავი ღრუბლებიდან აქა-იქ გამონათებული მთვარის შუქის ანარეკლი თამაშობდა ტალღებზე ისე, რომ ასხლეტილი ნათელი ტალღების ამაღლებულ ტეხილებში წყდებოდა და წყლის შეხებასთან ერთად იფანტებოდა მთვარის თვალსაწიერიდან მოშორებით სიბნელეში. გემიც მიჰყვებოდა მთვარის ნათლით ბილიკად გაფენილ სამგზავროს. ერთ რომელიღაც საღამოს მიაღწიეს პონტოს გაღმა ნაპირს და დაბრკოლების გარეშე გაიარეს მოძრავი კლდეები, შევიდნენ ბოსფორის სიღრმეში და გამთენიისას თრაკიის სანაპიროსთან დაივანეს. მერმე ქალაქ დარდანიისკენ გასწიეს და მომდევნო საღამომდე ეგეოსის წყლებში შესცურეს არგონავტებმა.

უცხო ნაპირები იგრძნეს მედეამ და ვერძმა და მიხვდნენ, რომ ხსნა აღარსაიდან იქნებოდა და ბედს დაემორჩილენ, როგორც ტყვეები და არა როგორც სასურველნი. არც საწმისს ჰქონდა ძველებური მომხიბლაობა და ღვთაებრივი ძალა, ასე რიგად რომ იხიბლებოდნენ ელადელნი არ-ხილულის მიმართ. „ღირდა კი ღირებული დიდი ან მცირეო“,- ერთმანეთს ეკითხებოდნენ იმედგაცრუებული არგონავტები, ორმოცდაათნიჩბიანი გემი კი ნავსადგურს მიადგა.

თავდაპირველად იყო აღფრთოვანება ნადავლით. ყველა არგონავტთა და იაზონის გმირობაზე ლაპარაკობდა. ოქროს საწმისიც ყველაზე გამოჩენილ ადგილას დაუსვათ, მაგრამ დროთა მდინარებისას გაუფერულდა ხიბლი ვერძისა. ვერძს კი ჯერ სიამის ღიმილი ეფინებოდა, რასაც უორკეცებდა მისი სათნო გამომეტყველება, გულუბრყვილო და მიუსაფარი რომ ჩანდა უცხოეთში. შემდეგ კი მის სახეს მოუსვენრობა დაჩემდა, თავსაც ვერ გრძნობდა თავისუფლად. ღამეები არ ეძინა, ხოლო თუ თვალს მოატყუებდა, თან მიჰყვებოდა სიზმარში დღის სატკივარი. თანდათანობით დაკარგა უცხოელთა თვალში საწმისმა მომხიბლაობა და იგი ბნელ კუთხეში მიაგდეს. სრული სიმარტოვე იგრძნო ოქროს ვერძმა. აღარც სულის მესაიდუმლე ჰყავდა ვინმე და აღარც ამბის მომკითხავი. მხოლოდ ფიქრებში ოცნებობდა და სიზმრებში ხედავდა თავის ნაცნობ ალაგებს. აუტანელი გახდა ამიტომ ოქროს საწმისის ყოფა ცხრა მთას იქით. არც არავინ ეძალებოდა არაფერში.

ერთხელ ვიღაც აბეზარმა კაცმა დანა გამოუსვა კისერში ოქროს ვერძს და ზღვისკენ მოისროლა. სულს ღაფავდა მომაკვდავი და სისხლში ამოსვრილიყო მისი ლამაზი ბეწვი. მედეამ დაიტირა თავისი ოქროს ვერძი:

„ეს რა დაგმართეს ჩემდა საოხად და სავაებოდო,- დაუჩოქა მომაკვდავს ქალმა და ხელში აიყვანა სულთმობრძავი,- სად წამოგვეწია ბედისწერა ორთავეს, რომ ვერ მოგეშველე, ისე...“

მერე იგვ-ნანა უმღერა საწმისს გულმოკვდარმა მედეამ. ასე მოთქვამდა დაუსრულებლად. პირველად იხილა, ისიც სიზმარში, შვილმა დედის ცრემლები. გამოღვიძება კი აღარ ეწერა. დაიხურა სიცხადის კარიბჭე ჩვილისთვის, ტკივილმა სიზმარშიც არ დაანება თავი. სიზმრის სარკმლიდან გადახედა დედას და ძმას, დაუძახა დედას, ვერ გააგონა. დედის მკერდზე მიკრულმა სიმწრისაგან ტუჩუზე უკბინა და სული განუტევა. სიზმარი მარადი ცხოვრებად გადაიქცა. მედეას თვალებში ენით გამოუთქმელი შიში ამოიკითხა და ვერ მიაწვდინა ხმა. ბავშვისთვის დახურული იყო კარიბჭე სიცოცხლის, ვერ გააღო იგი და ტირილი დაიწყო სულმა. სიმარტოვე შეიგრძნო, მაგრამ იცოდა იმთავითვე, რომ იგი მარტო აღარ იქნებოდა. გაღმა მხრიდან უყურებდა დედის ტანჯვას, როგორ უკბინა სიმწრისგან მიწას და არაადამიანური ღრიალი მორთო, რადგან შვილი არაადამიანად გადაქცეოდა.

თხრიალებდა ვერძის გადაჭრილი ყელიდან სისხლი და ხროტინებდა სიზმრად გადაქცეული ოქროს საწმისი, მაშინაც კი, როცა ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო და სიცოცხლის ნიშანწყალი გამქრალიყო. დიდხანს იყო ვერძი ასე, სანამ გულმა გრძნობებს არ უთანაგრძნო, სანამ სათქმელმა გრძნობები არ გამოხატა. ბოლოს კი ამოხდა საოცარი ხმა, ქვესკნელის ღრმულიდან ამოძახილი, ხმა გადმონთხეული სისხლიანი შადრევნიდან. თავისი დაბადების უდღეური უსუსურობა განასახიერა ბოლოს, როცა დედის მკერდზე მიეძინა სამარადისოდ. აღარ იყო აღარც ვერძი და აღარც სიზმარი, იყო მხოლოდ სულისა და ხორცის ერთმანეთისგან გაყრა... და უყურებდა იგი დედას და საკუთარ თავს გაღმა ნაპირიდან.

სიზმარმა ახლა მედეას უფროს შვილს შეასხა ფრთები და მღელვარე ზღვაში გაიტყუა, სიზმარმა გემად აქცია იგი, და მიტომ. გემი დიდი იყო - სიგრძით ორმოც ნაბიჯს აჭარბებდა, ხოლო განით ზუსტად შვიდ ნაბიჯს შეადგენდა. მიუხედავად ამისა იგი მაინც პატარა და მიამიტი ბავშვივით სათუთად მოსაპყრობი, თითქოს უსულო, მაგრამ სულდგმულივით მგრძნობიარე იყო. გემი იყო და მთელი არსებით უყვარდა წყალი. გემთმშენებელმა ოსტატმა არგომ ქალღმერთ ათენას დახმარებით ააგო „არგო“- მისი ხერხემალი მუხისგან გააკეთა, გარსში სიმაგრისათვის გარდი-გარდმო გადებული მრუდე ძელი აკაციისა იყო, სრულ აღჭურვილობაში კი სხვა ძელთა ერთობლიობა ფიჭვისგან შეჭედა, მთლიანი ჩონჩხი კი წიფელასაგან შეფიცრა. გაძლიერებული ჰქონდა შემონაკერი, რომელსაც წყვილ-წყვილი ნაწიბურებით ცვალებადი სისქე ჰქონდა - უფრო სქელი სარტყელი მიედინებოდა ხერხემლისაკენ გემბანის დონეზე. გემის ძირითად ბირთვზე სარტყელები მორიგეობით დაამაგრა ხის სოლებითა და ბრინჯაოს ლურსმნებით. „არგოს“ ხერხემალი წარმოადგენდა კიჩო ნაწილის კოჭის სახით გადაგრძელებას, ხოლო ცხვირის წაწვეტებული კონტურის გასწვრივ გადებული ძელი აერთებდა ხერხემალსა და შეფიცრულ ნაკრებს. გემის ბირთვის შუა ნაწილი შედარებით დაბალი იყო. მოსასმელი ნიჩბები დაეჭირა წინ წამოწეულ ბალკებს. საჭესთვის გამოიყენა გემის კიჩოზე დამაგრებული ორი დიდი ნიჩაბი. ქიმზე წყლის დონის ცოტა მაღლა გაჭრა ხვრელი ქვედა რიგის ნიჩბებისათვის, ხოლო ზედა გემბანზე ჩვეულებრივ დადგმული ჰქონდა ვიწრო პლატფორმა, რომლის კიდეებში დაყენებული იყო მესამე რიგის მენიჩბეთა ადგილები. ამათ შორის გადებულ იარუსზე განლაგებულიყო შუა რიგი ნიჩბებისა. მოაჯირით გამოეყო იმ მეზღვაურთა ადგილიც, რომლებიც მართავდნენ იალქნებს. ჰოდა, გემს ერთი ანძა ჰქონდა, სადაც დახვეული იყო და საჭიროების შემთხვევაში იშლებოდა ტრაპეციული კვეთის იალქანი, ნაცვლად ეგვიპტური სწორკუთხა იალქნებისა. გემს გააჩნდა ერთიანად მთლიანი სამარი გემბანი, რომლის ქვემოთაც გემის ფსკერსა და ქვედა გემბანს შორის ცარიელი ადგილი საბარგულის დანიშნულებას ახორციელებდა. კიჩოში მოთავსებული იყო მეთაურის ჯიხური. ხერხემალი ცხვირის ნაწილში გადაზრდილიყო ოთხი ნაბიჯის სიგრძის ტარანად სპილენძის დაბოლოებით. წყალქვეშ გამოზიდული ტარანი წაწვეტილი იყო, ზედა ტარანს კი გააჩნდა ელეგანტური კაუჭი, რომელიც გედის მოღერილ ყელს ჰგავდა. წყალქვეშა წამახული შვერილის ზემოთ გემის ხერხემლის გასწვრივ დაეყენებინა მეტალის ბალკები, რათა დაემტვრია მოწინააღმდეგეთა ნიჩბები. ზღვის ტალღებისგან დასაცავად ზედა გემბანის ზევით ტილოსგან გააკეთა გემის გვერდითი კედლების მსუბუქი გარსსამოსი. „არგო“ ნაირ-ფერებში შეღება და ცხიმეულით აპრიალა, ხოლო წყალხაზს ქვემოთ იგი შემოსა ტყვიის ფირფიტებით. სიზმრისეული „არგო“ განასახიერებდა ცხად „არგოს“, თუმცაღა გარკვეული სახესხვაობით, და ისიც უმნიშვნელოთი, არსებითად რომ არაფერს ცვლის, სიზმარი იყო ყველაფერი, და მიტომ. ამადაც ლამაზი იყო „არგო“.

ზღვაში იგრძნო მან თავი თავისუფლად და იხილა ლაჟვარდოვანი ცის მშვენიერება, მთელი არსებით გაიხარა და ზღვის შეხებამ სამუდამოდ მიაჯაჭვა წყლის სტიქიას. ნაპირმაც მიიქცია ყურადღება - გასცქეროდა „არგო“ მწვანეში ჩაფლულ ნაპირს და შორეულ ჰორიზონტებში განფენილ კუნძულების ლაჟვარდოვან ანარეკლებს. შინაგანი გრძნობების მოჭარბება იგრძნო და შეუცნობადის შეცნობისაკენ მიისწრაფოდა - ჰორიზონტის იდუმალებისაკენ. ბუნების წიაღმა მიიზიდა. ზღვა და ხმელეთი მისთვის თვალსაწიერში ჩამჯდარი მომხიბლაობა იყო. ყველაფერს ერთბაშად მიხვდა - ის, რაც მის უკან რჩებოდა მისი დამბადებელი სამყარო იყო და ის, რაშიც ის ცხოვრობდა, მისი წარმართვის სიმდიდრეს წარმოადგენდა, რომელიც უნდა გამდიდრებულიყო მოგზაურობით, ანუ სიზრმისეული სიუხვით.

მეხომალდენი ავიდნენ „არგოზე“. ორფეოსმა ქნარზე ხელი ჩამოჰკრა და გაისმა ზღვის ნიავივით ჰაეროვანი ჰანგები, გაიშალა აფრები, გემი ღია ზღვაში გავიდა. შეუცნობადი ჰორიზონტისკენ სწრაფვას ქალკედონიისა და სამოთრაკიის სანაპიროები ულოცავდა. რაც უფრო იწევდა გემი უსასრულობის მარადიული შეუცნობადობისაკენ, თავისთავად მით უფრო შორდებოდა ნაპირს და უახლოვდებოდა ახალ-ახალ თავგადასავლებს. ვინც ნაპირებიდან უყურებდა ზღვის ტალღებში მოლივლივე „არგოს“, გაიფიქრებდა - ან წარსულს მისტირისო ეს ხომალდი, ან მომავალს ჭვრეტსო, ან კიდევ აწმყოს შეჰხარის და თავისი ბედით კმაყოფილიაო. მერე ქარიშხალი იგემა „არგოს“ აფრებმა და კუნძულ ლესბოსის ნაპირთან დაივანა. იქ ტურფა ქალები დახვდნენ მოგზაურებს. შეიცადეს კარგა ხნით, ამ ქალებით ერთობოდნენ მეზღვაურები და რომ არა სანუკვარი მიზანი მოგზაურობისა, მისტიკურად იდუმალი განაზრახი, „არგოს“ ცურვის მომხიბლაობაც აქვე დასრულდებოდა. მერე ისევ მოუსვეს ნიჩბებს, ისევ აუშვეს იალქნები. შორეულ წერტილად გადაიქცა ლესბო და იქაური თავაწყვეტილი ვნება, ბოლოს კი თვალთაგან გაქრა და ჰორიზონტის წრეხაზის ერთ წერტილში ჩაინთქა. იყო გულუხვი სტუმრობა კიზიკოსზე. „არგო“ უყურებდა, თუ როგორ ხოცავდნენ არგოელნი გეას ნაშობ ექვსხელა ბუმბერაზებს. მერე სამწუხარო გაუგებრობა მოხდა - ქარიშხალმა „არგო“ ისევ უკან მოაბრუნა. მასპინძლებმა გასტუმრებული სტუმრები მტრად ჩათვალეს სიღამის გამო და ბრძოლა გაუმართეს. ამ ბრძოლას კეთილი მეფე შეეწირა. დილით სტუმარ-მასპინძელი ორივე გლოვობდა და ასე დარცხვენით გავიდნენ ზღვაში და კიოსის შესართავთან შეისვენეს მიზიაში. მერე ბითვინიისკენ გაიკვლიეს გზა და ბებრიკების ქვეყანაში მოხვდნენ ბოლოს. იქ კრივი გამართეს, კრივს ომი მოჰყვა, მაგრამ ამ ომში აღარ იყო ჰერაკლე, რადგან იგი თესალიაში დატოვეს, გემმა დაიჩივლა „ჰერაკლე მამიმეხსო“, და მიტომ. ასე ნაოსმარი მეზღვაურები შევიდნენ ბოსფორის სრუტეში და მიადგნენ კუნძულ თინიასს, სადაც მათ მასპინძლობა გაუწია მეფემისანმა. მას შმაგი ქარიშხლების ურჩხულ-ქალღმერთები ტრაპეზს ართმევდნენ, სიბრმავის გამო დაჩაგრეს საბრალო მეფე-მისანი. დაუთქვეს კიდეც მის ქალაქს - „ქალაქს გალავანს ვერ შემოავლებთ, ვიდრე შიმშილით ისე არ გამწარდებით, რომ მამიდასაც კი დახრავთო“. შიმშილმა დახრა მამიდა, არგოელები შეეწიენ მეფე-მისანს და ურჩხულ-ქალღმერთებისაგან იხსნეს მისი ტრაპეზი. გაიარეს მოძრავი კლდეები - სიმპლეგადები პოსეიდონის შემწეობით, კლდემ „არგო“ დააზიანა, მაგრამ მაინც გადარჩა და შევიდა პონტოს ზღვაში. მეზღვაურებმა გაიარეს ფილორთა და მაკრონთა ქვეყნები და საბოლოოდ ფაზისისა და პონტოს შესაყართან მიცურდნენ.

შევიდნენ ფაზისის წყალსწრაფ ჩქერალებში. ნაპირის მარჯვნივ თვალუწვდენელი ბაღები და ზვრები გამოჩნდა, აქაიქ მაღალ ხეებზე აზიდული სურო-ვაზი ხარობდა. ვარდობის თვე იყო და ბაღებში ვარდის სურნელი ტრიალებდა და ნიავსაც გადაჰქონდა იგი შორეულ ადგილებში. წყაროთაგან სიცოცხლის ფერადოვანი წინწკლები ილვრებოდა. თანდათანობით იხიბლებოდა „არგო“ კოლხეთის ბაღ-ვენახებით და რაც უფრო ღრმად შედიოდა კოლხთა შუა გულში, მით უფრო მომნუსხავად მოქმედებდა ოქროს საწმისის ქვეყანა. ფაზისის ნაპირის მარცხენა მხარეს თვალუწვდენი მთები იყო ნისლებში შემოხვეული და აქა-იქ ჩანდა მათი დათოვლილი გოროზად ამოწვერილი კლდეები და გულდაგულ გამოშვერილი მკერდი ქიმებად წამომართულნი. კლდეებს შეზრდილი კოშკები კავკასიისა და აია-ქვეყნის გულგოროზობას ადასტურებდა. მთათა სიღრმეში, საიდანაც ნისლი ღრუბლეულ აფრებად გადაქცეოდა თვალუწვდენელ მწვერვალებს, დათოვლილი ფერდობების რომელიღაც მიუვალი სიშორიდან წამოზიდულიყო კლდეზე მიჯაჭვული ამირანი, როგორც დაუძლურებული მოხუცი თოვლით დაფიფქული ჭაღარით, უხსოვარობის შთაბეჭდილებას რომ ტოვებს სითეთრე და ჯაჭვების დაჟანგული მიუკარებლობა, ამირანის გმინვა რომ მთათა ბუბუნად მოისმოდა. მდინარემ მგზავრებს გზა უჩვენა კოლხეთის სიღრმისკენ და „არგომ“ ფასის დინების საწინააღმდეგო ცურვით მიაღწია სატახტო ქალაქის კარიბჭეს.

ოქროს გალავნის მიღმა გადაშლილიყო ომის ღვთაება - „ვაშას“ ჭალა, სადაც მკვდართა მებრძოლთა მუზარადები ეყარა, ხმლები მიწაში ვადამდე იყო ჩასმული, ჭალის სიღრმიდან კი მიწიდან ნაომარის ოხშივარი ადიოდა და ვაშას საკურთხეველთან საყნოსებლად იფრქვეოდა. იქვე წამომართულიყო ღვთაების ბრინჯაოს ქანდაკება. ჭალის გაღმა ბალახოვანი მდელო იყო, მის უკან მოჩანდა მუხნარის ტყე, ტყის ბოლოს კი ფიჩხით მოფენილი გორაკი. მუხნარის მისასვლელთან ღორების კოლტი მიმოფანტულიყო, რადგან ის ადგილები საღორიად გამწესებინათ. ქალაქის გადაშლილ დაბლობზე, სადაც ბალახოვანი მდელო გადაშლილიყო, იქ მდინარე ფართოდ მიედინებოდა, ხოლო შუა ქალაქში კლდეზე აღმართული სამეფო სასახლის, თეთრი გიორგისა და ადგილის დედის სამლოცველოთა გაყოლებაზე ვიწრობში მდინარეც ვიწროვდებოდა. ამ კლდის სიმაღლიდან ხელისგულივით ჩანდა აია-ქალაქი და არც ერთ გუშაგს არ გამოეპარებოდა ფაზისით შემოსული არც ერთი სტუმარი, თვით ქალაქიდან საკმაოდ დაშორებული კალაპოტიდან მოყოლებული. ერთგან მწვანე ყვავილები ყვაოდა, ისეთი გასაოცარი ყვავილები, რომ „არგოს“ და მის მეზღვაურებს მსგავსი სილამაზე არა-სად ენახათ. ჭოროხით გამოწვეული მდინარის სისწრაფის ერთიანად შენელების ადგილას, სადაც იშლებოდა ფაზისი, გაეკეთებინათ ბორანი და ქალაქის ორი სანაპირო ამ ბორანით უერთდებოდა ერთმანეთს. იქვე მოეწყოთ სამდინარო ნავსადგური და იქ დაივანა „არგომაც“. მდინარის ვიწრობში ხალიბებს რვალისგან შეეკრათ სახელდახელო ხიდი, იქვე გაემართათ სახალიბოები და იჭედებოდა ხალიბური რკინა. კოლხთა დაბლობის ყოველი მხრიდან ჩანდა სიმტკიცესავით წამომართული ხომლის პლატო, აია-ქალაქიდან კი ნისლეული ბურანიდან მკაფიოდ ჩანდა ხომლზე წამომართული ბედგაუტეხელი ციხე, რომელიც ბურჯად იდგა კოლხთა ფესვების სადარაჯოზე და იმასაც ამბობდნენ, ბედგაუტეხელი ციხე თუ დაინგრევა, მხოლოდ მაშინ, როცა აღარ დარჩება კოლხური სიმდიდრე კოლხეთში და იგი გათითოკაცდება თითოეულ კაცშიო. კლდიდან წამოფრენილი არწივი გადაევლო ბარში აიაქალაქს და ჰაეროვან სივრცეში მიიკარგა. რამდენიმე დღე იდგა „არგო“ ქალაქის ნავსადგურში ბორანის მახლობლად.

მერე მთვარიან ღამეში გემზე ამოიპარენ ნაოსნები და თან ქალი წამოიყვანეს. ჩუმად გავიდნენ ნავსადგურიდან. დინებას ჩქარა მიჰყავდა „არგო“ და მენიჩბეები უფრო უმატებდნენ გემის სიჩქარეს და გამთენიისას უკვე ღია ზღვაში შესცურეს. აიას ჭერ-ბელელზე მდგომმა ანგელოზმა მდევარი დააწია და ომი გაიმართა. მუხთლობის წყალობით არგოელებმა გაიმარჯვეს. ყმაწვილი უფლისწული შემოაკვდათ ხელში ქურდებს, „არგო“ კი გაჩერებული იყო. წყალში გადააგდეს ცხედარი და ქალმა ცრემლი დაღვარა.

„შენ დატყვევებული ხარ და ტირილს გიკრძალავო“,- უბრძანა მეზღვაურთა მეთაურმა ქალს.

„შენ მე ვერასოდეს ვერაფერს ვერ მიბრძანებო, ჩემთან შენ ხელი და ხელმწიფება არა გაქვსო“,- უპასუხა ტყვედქმნილმა.

„რატომო,- გაიკვირვა მეთაურმა,- მე ვიტყვი, რომ ეს ღალატი ჩემი სიყვარულით ჩაიდინეო“.

ვუძღვნი **დედის ლამაზ სულს**

„მე თვითონ ვარ ოქროს საწმისიო,- უთხრა ქალმა,- და ეს სისხლი შენ თვითონ დაგახრჩობს მოგებულს და არა გამარჯვებულსო“.

„მეც ყველანაირი მეცადინეობით ვეცდები შენს განადგურებასო“,- დაჰპირდა მეთაური.

„და მაინც, ჩემი განადგურებით ჩემს სრულ თავისუფლებას ვერ დაეუფლებიო, მე როცა, როგორც და რაც დამჭირდება, იმას ვიზამ და შენ ამაში ხელს ვერასოდეს ვერ შემიშლიო“.

„ვითომ რატომაო“,- იკითხა ირონიული ღიმილით მეთაურმა.

„იმიტომ, რომ მე მედეა ვარ და ჩემში ოქროს საწმისიაო,- მერე შეულოცა მამიდას ცრემლმორეულმა,- ორბი მოჯდა ორასი, ფრთა გაშალა სამასი, ნისკარტი ჰკრა ოთხასი, კლდე გააპო ხუთასი“.

შეაშინა მეთაური ასეთმა მედეამ და ვიდრემდე „არგო“ არ დაბრუნდა შინ, ხმა არ ამოუღია. არგო კი თავისი ფიქროვანი იალქნებით ტალღებს შეერწყა. გიჟმაჟი იყო ამ დროს ზღვა. მერე როცა თავადაც მოიღალა, მოეშვა და დაცხრა იმ განწყობათა თანამგზავრ ტალღებივით. გზად ვერავის ამჩნევდა გემი, მხოლოდ ოქროს ვერძს უყურებდა, თუ როგორ გაჰყურებდა უკიდეგანო ჰორიზონტს და დასტიროდა დაღუპულ ძმას. და თვალთაგან სისხლი დიოდა ცრემლების ნაცვლად. „არგოსაც“ გული აუჩუყდა და მანაც გრძნობები გადმოაფრქვია და მოუბოდიშა ოქროს ვერძს:

„მაპატიეო, - უთხრა,- არ მეგონა ჩემით ამდენ ტკივილს თუ მოგაყენებდნენ. მე მოვიყვანე ესენი შენამდეო. ამიტომ მაპატიეო“.

ოქროს ვერძმაც აპატია შეცოდება „არგოს“ და ნაღვლიანად გაუღიმა გემს ქალმა. ეს ქალი არ ჰგავდა ტყვედქმნილს, უფრო პირიქით, მან დაატყვევა მთელი გემი და ელადის რჩეული გმირ-მეზღვაურები თავიანთი მეთაურით... და ამ დამორჩილებას არ დასჭირვებია ქურდობა, თუნდაც რაიმეს ან ვინმეს დაპყრობა, ამას დასჭირდა მხოლოდ დამორჩილება მოძალადეზე, მთელი სადავეები რომ ხელთ მოეგდო. ასე უბრად ჩავიდნენ ელადაში მოგზაურები.

მერე იყო და, არგო ნაპირზე გამორიყა ტალღებმა და მთელი სხეული ზეზეულად გამოაშრო და გამოფიტა მზის მცხუნვარებამ. აფრებიც დაწვეს არგოსია, როგორც ქარში გაფრენილი ოცნებათა უსასრულო ვნებათა ღელვა. ერთ დღესაც „არგოს“ დიდების ნარჩენების ჩრდილს შეფარებული დაღლილი ცალსანდლიანი კაცი დაასამარა არგოს სიკვდილმა - გადატყდა ანძა და იგი თავში დაეცა ამ კაცს და სამუდამოდ დარჩა არგოს ჩეროში ეს კაცი. არგოსავით ველარ გამოიღვიძა ბავშვმა და გაღმა მხრიდან დაინახა დედა. ძმა ელოდა მას, ისიც მარად სიზმარში დარჩენილი. ანძა მოტყდა და ძირს მოწყვეტით დაეშვა, ამიტომ კვნესოდა ვიღაც, რადგან ტკიოდა, ტკივილი ძვლებმაც იგრძნო... იგრძნო წყალმაც. ბავშვი სიზმრიდან უყურებდა დედას. დაფრთხა კიდეც, მაგრამ დაბინდული მზერა დაეწმინდა. გაუღიმა შვილის სულმა დედას, დედას, რომელიც მის უგრძნობ სხეულს ეფერებოდა და ხელში მისი ძმის გაციებული სხეული ეჭირა. რა ტკბილი იყო დედა, რა მიუსაფარი და უმწეო ეს ძლიერი ქალი უამთოდ.

## მეოთხე სათქმელი: ქვეყნად ყველაზე ლამაზი განთიადის სურნელება

დედამ უსასრულო სივრცეში მკრთალ ვარსკვლავს მიაპყრო გამჭოლი მზერა. შეხედა და დაინახა, რომ წვიმამ იკლო, ცაც მოიწმინდა და ძვირფას სამკაულებივით გაბრჭყვიალდა იდუმალი შორეთი. მთავრდებოდა ქვეყნიერებაზე ყველაზე გრძელი ღამე, დაუსრულებლობამდე რომ გადაიშალა თავისი დამთრგუნველი მარწუხებით. უკიდეგანო ცის დასალიერი წამიერი ნათებით გადასერა სინათლის ვიწრო ზოლმა და ისევ გაქრა. ისევ გახდა წვიმაგადასულ ზეცას, თითქოს ცისკიდეს ეძებს საშველად. ცისკრის ვარსკვლავმა გამოანათა ისე, როგორც ჩრდილოეთის ნათება გადააბრწყინებს ციდან ცამდე გვირგვინად დადგმულ ზესკნელს. ირგვლივ ისეთი სილამაზე იყო, როგორც ღვთაებრივ სამყაროში შეუცნობადი მშვენიერება. ნალამევ სამყაროში გასაოცარი ჰანგები შემოესმა მედეას.

სიბნელე გამკრთალიყო და განთიადის რიჟრაჟა ნაცრის-ფერები თანდათან სხეულქმნილი ცოცხალი ფერადოვნებით შევსებულიყო. დაღლილი იყო მედეა და ერთბაშად მოითენთა, და მიწაზე ხის ძირას ძალადა-კარგული და ენერგიაწართმეული მიწვა, როგორც უგრძნობი. ქარმაც იკლო და მთელი მისი ღამეგადატანილი ძალა დაცხრა, სადღაც მიიმალა მისი ცივი გრძნობები, მთელი ღამით რომ ასე რიგად დაჰქროდა კიდით კიდემდის.



გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული“ №48,49, 2008



3070 Brighton 1st st,
Brooklyn, NY, 11235
Tel:718-490-3179;
Fax: 347-713-5386;

# ქართველ ემიგრანტთა მომსახურების ცენტრი
## ამერიკასა და კანადაში

- საემიგრაციო სამსახური;
- თარგმანი (დოკუმენტების და სხვ.) ნოტარიზებული;
- თარჯიმანი (სასამართლოში, ციხეში, საემიგრაციო და სხვა სახის ინტერვიუზე);
- მინდობილობა და თანხმობა აპოსტილით (ერთ დღეში!);
- დაბადების და სხვა სახის მოწმობები აპოსტილით (უმოკლეს ვადაში);
- საქართველოს პასპორტი (ვადის გაგრძელება 3 დღე; ახალი - 1 თვე; ვეხმარებით აშშ-ში ვიზის გარეშე შემოსულებსაც);
- ორმაგი მოქალაქეობა;
- ნიუ-იორკის მართვის მოწმობა (თეორიის გამოცდაზე გაყვანა, საჭიროა ფლობდეთ Social Security-ს);
- განქორწინება ნიუ-იორკში და საქართველოში (სასამართლოს გარეშე!);
- ნოტარიუსი, ფაქსი (მიღება-გაგზავნა) ნებისმიერ დროს

qartveliemigrantiusa@yahoo.com


## მილოცვები, განცხადებები „მამულში“ ◆ მილოცვები, განცხადებები ◆ მილოცვები, განცხადებები




ჩვენს ლამაზ ქალბატონს **ნანა ნაკაშიძეს** ვულოცავთ შვილთაშვილის, **სანდროს** დაბადებას.. პატარას კი, -

„ვუსურვებთ ცხათვალა მზეს,
მზის შუქის ყველა ფერს,
სიხარულს, სიყვარულს ბევრს
და მაინც ვუსურვებთ ერთს:
უზომოდ უყვარდეს ღმერთს!“

გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, ეცხოვროს ბედნიერ და აყვავებულ საქართველოში.

სიყვარულით: **მანუჩარ კაჭახიძე, იამზე გოგუაძე, ნანა ანთიძე, ნარგიზა ბიბიჩაძე, ნათელა მოსიაშვილი, დალი ხოფერია, ნინო ხარაბაძე.**

* * *

ჩვენს **ელდარ ლაბაძესა** და **მანანა კერვალიშვილს** ვულოცავთ ტყუპების, პატარა **ნიკოლოზის** და **ქეთევანის** ამერიკაში დაბადებას. ეს სასიხარულო თარიღი - 2008 წლის 18 დეკემბერი უკვე გაცდა თქვენს ოჯახს და საერთო სიხარულად გადაიქცა ამერიკულ ქართულ ემიგრაციაში.

ღმერთი და დიდ წმიდანთა კრებული წმიდა ნიკოლოზის, ქეთევანისა და ბარბარეს მეოხებით მფარველად ეყოს თქვენს ოჯახს.

თქვენს სიხარულს უერთდებიან: **ჯემალ ჯანიაშვილი, გრიშა მელიქიშვილი, გოგი ცქიფურიშვილი, დემურ ცინცაძე, გელა ჯოხაძე, გურამ გუაჩიძე, ალექსანდრე ყუფუნია, გივი გოგია, რამაზ ნებიერიძე, სოსო ბიკუტიშვილი, მანუჩარ კაჭახიძე.**

* * *

ჩვენს საყვარელ ქალბატონს, სანიმუშო მეუღლესა და ძვირფას დედას **მარინა ორჯონიკიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას მონატრებულ ოჯახთან ერთად, ამერიკაში კი მალე ნანატრი ბებიობა მოგველოცოს თავის ლამაზ თეონასთან ერთად.

**აზა ბერგვაძე, მიმოზა ახალაია, ლეილა მჭედლიშვილი, ნანა ჩახნაშვილი, თამილა ზატიკაშვილი, ნანა ანთიძე**

* * *

ჩვენს **თინიკო ყენიას**

გილოცავთ დაბადების დღეს! უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ჯანმრთელობას, მხეგრძელობას და ულევ სიხარულს გისურვებთ.

**მეგობრები „მამულიდან“**


ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით. 347-738-5265

გთავაზობთ სატრანსპორტო მომსახურებას მინი-ვენის საშუალებით, ბარგის გადაზიდვას, ინტერვიუზე წაყვანას:
დარეკეთ: 646-886-8857

Discount plus YOUR STORE!



2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn

სატელეფონო ბარათები ფასდაკლებით


## სამძიმარი

ნათელა და ვაჟა მოსიაშვილები ოჯახით, ნარგიზა და ზურაბ ბიბიჩაძეები ოჯახით ღრმა გულისტკივილით თანაუგრძნობენ **ნანა ბერაძესა** და **თამაზ ყაჭეიშვილის** უდიდეს მწუხარებაში ძმისა და ცოლისძმის
**თამაზ( ჯიბო) ბერაძის**
გარდაცვალების გამო

ნაზი ჩხიკვაძე, მარინა გიორგაძე, ცისმარი კეჭაღმაძე, გოგი ცქიფურიშვილი, ნანა ქათამაძე, ლალი ჯანიკაშვილი იზიარებენ **ნანა ბერაძეს** მწუხარებას ძმის **თამაზის**
**გარდაცვალების გამო**

მარინა გელაშვილი, დალი ხოფერია, იამზე გოგუაძე, ნანა ნაკაშიძე, ნინო ხარაბაძე, ნაირა ლორია, ცირა ცქიფურიშვილი თანაუგრძნობენ **ნანა ბერაძეს** უდიდეს ტკივილში
**ძმის**
გარდაცვალების გამო

ნანა ჯღერია, ენდი კაპანაძე, მარიამ ნადარეიშვილი, იზოლდა ცერცვაძე და ინგა გიგაური თანაუგრძნობენ **ნანა ბერაძეს** უდიდეს ტკივილში, ძმის
**თამაზის**
გარდაცვალების გამო

მანუჩარ კაჭახიძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს **ნინო გედენიძეს** დის
**ირინას**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო

ნათია კობერიძე, ლალი დგებუაძე, ნათია ვაჭაძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ **თამარ სიხარულიძეს** მეუღლის
**საშა სიხარულიძის**
გარდაცვალების გამო

გიული წერეთელი თანაუგრძნობს ვიოლეტა და შუქური ტუღუშებს შვილის **პაატას**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო





GELANY DESIGN STUDIO
GELANY USA

- დაგიმზადებთ ვებ-საიტებს, ყველანაირი სახის, მათ შორის ანიმაციურსაც (FLASH);
- ფლაიერებს, პლაკატებს, ბიზნეს-კარტებს, გრაფიკული დიზაინს, პროფესიონალური ლოგოებს,
- ფოტო-ვიდეო გადაღებას და მონტაჟს;
- ვიზრუნებთ თქვენი ბიზნესის ინტერნეტ სივრცეში გავრცელებისთვის.

დაგვიკავშირდით:
718-263-9030,
ან მოგვწერეთ:
gelany@gelanyusa.com

WWW.GELANYUSA.COM

თქვენი ბიზნესი იმუშავებს მაშინაც კი, როცა გძინავთ...

უკრაინელი დოქტორის **ვიქტორ გრიბენკოს კლინიკა**

გიწვევთ სამკურნალოდ და გთავაზობთ თბილ, მეგობრულ მომსახურებას, მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას

იჩქარეთ! დაავადების დროული პროფილაქტიკა და მკურნალობა ჯანმრთელობის საწინდარია. ვღებულობთ ყველა სახის სამედიცინო დაზღვევას.

*დიაგნოსტიკა და მკურნალობა:*
ძვალ-სახსროვანი სისტემის; ოსტეოქონდროზის; დისკოზების; ნევროზის; ვენური უკმარისობა; ბლოკადა ქრონიკული დაავადებების დროს; აკუპუნქტურა-რეფლექსოთერაპია; ნარკომანიის ანონიმური მკურნალობა; სამედიცინო ექსპერტიზა; ტრავმები; მოტეხილობები; ავტოავარიები; სამუშაო კომპენსაცია



170 Avenue S
(Corner West 7th Street)
Brooklyn, NY 11223
Tel: (718)382-8282

242 East 19th st, S3
Manhattan, NY 10003
Tel: (212)475-6249
(Office of Dr. Ostrowski)

მაია ნინოშვილის სააგენტო
GEORGIA-USA TRAVEL

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214



ANDREW P. JOHNSON, ESQ.

# ანდრიუ ჯონსონი

(ყოფილი სახელმწიფო ადვოკატი, რომელიც ახლა ემიგრანტთა უფლებებს იცავს აშშ-ს მთავრობის წინააღმდეგ ბოლო 10 წელი)

## გილოცავთ ახალ წელს!

## პოლიტიკური თავშესაფარი
## უკვე შესაძლებელია
## ქართველებისათვის!*

* რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების საქართველოში შემოჭრისა და საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს უჩნდებათ სამართლიანი საბაბი და თავშესაფრის მოთხოვნის უფლება შეერთებულ შტატებში, განპირობებული იმ საფრთხეებთან, რაც სამშობლოში დაბრუნებულებს ემუქრებათ!

- უფასო კონსულტაცია;
- ადვოკატის ასისტენტი ყაზახეთიდან, რომელიც საუბრობს რუსულად;
- ჩვენ წარვმართავთ თქვენს ემიგრაციულ საქმეს, დეპორტაციას, Asylum-ის გასაჩივრებას და ოჯახურ პეტიციებს

1-212-693-3355



ასავალ დასავალის პარტნიორობით

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

რედაქცია მადლობას უხდის ქალბატონებს ინგა გელენიძეს, ნინო ხარაბაძეს, მანანა ჯიქიას და დალი ხოფერიას